საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №17

2020 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-14 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ თანდართულ დანართებთან ერთად.

2. ამ ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისას იხელმძღვანელონ:

ა) საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციებმა – 2020 წლის და შემდგომი წლების ეკონომიკური მოვლენების ასახვისათვის;

ბ) საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციებმა – 2021 წლის და შემდგომი წლების ეკონომიკური მოვლენების ასახვისთვის.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი

საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქცია

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ინსტრუქციის მიზანი

1. წინამდებარე ინსტრუქცია საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე განსაზღვრავს საბიუჯეტო ორგანიზაცი(ებ)ის (შემდგომში – „სახელმწიფო ერთეულ(ებ)ის“ ან „ერთეულ(ებ)ის“) ბუღალტრულ ანგარიშთა გეგმას და მისი გამოყენების მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

2. ინსტრუქციის მიზანია სახელმწიფო სახსრების სწორი და გამჭვირვალე აღრიცხვა - ანგარიშგების უზრუნველსაყოფად საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ერთიანი უნიფიცირებული ანგარიშთა გეგმის განსაზღვრა.

3. აღნიშნული ინსტრუქცია უზრუნველყოფს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს) საფუძველზე შემუშავებული ბუღალტრული ანგარიშების თავსებადობას სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2014 წლის მეთოდოლოგიის (GFSM 2014) ეკვივალენტურ ანგარიშებთან.

4. აღნიშნული ინსტრუქცია მომზადებულია შემდეგი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე:

ა) სსბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა;

ბ) სსბასს 2 – ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება;

გ) სსბასს 3 – სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები;

დ) სსბასს 4 – უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები;

ე) სსბასს 5 – ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები;

ვ) სსბასს 12 – მატერიალური მარაგები;

ზ) სსბასს 14 – ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები;

თ) სსბასს 16 – საინვესტიციო ქონება;

ი) სსბასს 19 – ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები;

კ) სსბასს 20 – დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები;

ლ) სსბასს 21 – ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება;

მ) სსბასს 24 – ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში;

ნ) სსბასს 26 – ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება;

ო) სსბასს 31 – არამატერიალური აქტივები;

პ) სსბასს 32 – შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი;

ჟ) სსბასს 34 – ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება;

რ) სსბასს 35 – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;

ს) სსბასს 36 – ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში;

ტ) სსბასს 37 – ერთობლივი შეთანხმებები;

უ) სსბასს 38 – სხვა ერთეულებში წილების გამჟღავნება;

ფ) სსბასს 39 – დაქირავებულთა სარგებელი;

ქ) სსბასს 40 – საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებები;

ღ) სსბასს 43 – იჯარა;

ყ) სსბასს 44 – გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები;

შ) სსბასს 45 – ძირითადი აქტივები;

ჩ) სსბასს 46 – შეფასება;

ც) სსბასს 47 – შემოსავალი;

ძ) სსბასს 48 – ტრანსფერული ხარჯები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №355 - ვებგვერდი, 31.12.2025 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 20.10.2026 წ.

მუხლი 1^1. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 20.10.2026 წ.

მუხლი 2. მოქმედების სფერო

1. ერთეულები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ ამ ინსტრუქციით განსაზღვრული ანგარიშთა გეგმის შესაბამისად.

2. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ოპერაციებისა და სხვა მოვლენების შედეგად მომხდარი ცვლილებების ასახვას ერთეულები ახდენენ წინამდებარე ანგარიშთა გეგმის საშუალებით.

2^1. სახელმწიფო ერთეულები აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახავენ როგორც საკუთარი სახელით ფლობილ აქტივებს, აღებულ ვალდებულებებს, მიღებულ შემოსავლებსა და გაწეულ ხარჯებს, ასევე, სახელმწიფოს სახელით ფლობილ აქტივებს, აღებულ ვალდებულებებს, მიღებულ შემოსავლებსა და გაწეულ ხარჯებს (შემდგომში – ადმინისტრირებად კატეგორიებს).

3. ერთეულს, ერთიანი მეთოდოლოგიისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვით, სააღრიცხვო პოლიტიკის ფარგლებში უფლება აქვს ერთიანი უნიფიცირებული ანგარიშთა გეგმის საფუძველზე შეიმუშაოს და დაამტკიცოს სამუშაო ანგარიშთა გეგმა, რომელიც წარმოადგენს იმ ანგარიშების სტრუქტურიზებულ ჩამონათვალს, რომლის შესაბამის ეკონომიკურ მოვლენებსაც აქვს ადგილი ერთეულის საქმიანობის პროცესში და რომელიც, ანალიზის მიზნებისათვის, შეიძლება დამატებით ჩაშლილი იყოს დეტალური ანგარიშების სახით. ამასთან, კონტროლირებულმა ერთეულმა შესაძლებელია გამოიყენოს მაკონტროლებელი ერთეულის მიერ შემუშავებული სამუშაო ანგარიშთა გეგმა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 3. ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა

1. ანგარიშთა გეგმა შედგება ანგარიშების სისტემატიზებული ჩამონათვალისგან, სადაც ყოველ ანგარიშს თავისი კოდი (შიფრი) აქვს მიკუთვნებული.

2. ანგარიშები განზოგადებისა და დეტალიზაციის ხარისხის შესაბამისად, იყოფა მაჯგუფებელ (სინთეზურ) და დეტალურ (ანალიზურ) ანგარიშებად. მაჯგუფებელი (სინთეზური) ანგარიში

წარმოადგენს შინაარსობრივად დაახლოებულ ბუღალტრული ანგარიშების ჯგუფს. დეტალური (ანალიზური) ანგარიშები შედის მაჯგუფებელი (სინთეზური) ანგარიშის შემადგენლობაში და გამოიყენება აქტივების, ვალდებულებების, წმინდა აქტივების/კაპიტალის, შემოსავლების და ხარჯების, ასევე, საცნობარო ანგარიშების დეტალიზაციისთვის.

3. თითოეულ ანგარიშს აქვს დასახელება და უნიკალური შვიდნიშნა კოდი (შიფრი), სადაც პირველი ციფრი აღნიშნავს შესაბამისად აქტივების, ვალდებულებების, წმინდა აქტივების/კაპიტალის, შემოსავლების ან ხარჯების კლასს, მეორე და მესამე ციფრი აღნიშნავს აქტივების, ვალდებულებების, წმინდა აქტივების/კაპიტალის, შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის ჯგუფს, ხოლო ბოლო ოთხი ციფრი აღნიშნავს აქტივის, ვალდებულების, წმინდა აქტივების/კაპიტალის, შემოსავლების ან ხარჯების დეტალურ (ანალიზურ) ანგარიშებს.

4. წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად, 1-ით წარმოდგენილია აქტივების, 2-ით ვალდებულებების, 3-ით წმინდა აქტივების/კაპიტალის, 4-ით შემოსავლების და 5-ით ხარჯების კლასები.

5. კლასები იყოფა ჯგუფებად, ხოლო ჯგუფები - ანალიზურ ანგარიშებად. თითოეული დეტალური (ანალიზური) ანგარიშის კოდში (შიფრში) მოცემულია კლასისა და ჯგუფის აღმნიშვნელი შესაბამისი ციფრები.

მუხლი 4. ბუღალტრული ჩანაწერები

1. წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად, ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის (ბუღალტრული გატარების) საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს.

2. ეკონომიკური მოვლენების მოკორესპოდენტო ბუღალტრულ ანგარიშებზე (ბუღალტრულ გატარებებში) ასახვა ხდება პირველად დოკუმენტებში მითითებული ოპერაციების და სხვა მოვლენების მოხდენის თარიღით და მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, რომელსაც უკავშირდება აღნიშნული მოვლენა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

2[1]. ერთეული ბუღალტრულ ჩანაწერებს აკეთებს ეკონომიკური მოვლენის შინაარსიდან გამომდინარე, ბუღალტრული გატარების ზოგადი პრინციპების დაცვით, ფულად გამოსახულებაში.

3. მუდმივ (აქტივების, ვალდებულებების და წმინდა აქტივები/კაპიტალის) და დროებით (შემოსავლების და ხარჯების) ანგარიშებზე ჩანაწერები კეთდება ორმაგი ჩაწერის პრინციპის (წესის) გამოყენებით, ფულად გამოსახულებაში. დროებით ანგარიშებზე ასახული

შემოსავლები და ხარჯები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხურება წმინდა აქტივების/კაპიტალის შესაბამის ანგარიშებზე.

4. ერთეულის მიერ საცნობარო ანგარიშები რეკომენდებულია გამოყენებულ იქნეს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის დამატებითი ფინანსური ინფორმაციის უზრუნველსაყოფად. ერთეულს შეუძლია შექმნას იმდენი საცნობარო ანგარიში, რამდენიც დასჭირდება. საცნობარო ანგარიშებზე ჩანაწერები კეთდება ორმაგი ჩაწერის პრინციპის (წესის) გამოყენების გარეშე, ფულად გამოსახულებაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 4[1]. ადმინისტრირებადი კატეგორიები

1. ადმინისტრირებადი კატეგორიები წარმოადგენს სახელმწიფოს სახელით ფლობილ აქტივებს, აღებულ ვალდებულებებს, მიღებულ შემოსავლებსა და გაწეულ ხარჯებს.

2. ერთეული აღრიცხვა-ანგარიშგებაში საკუთარი სახელით ფლობილ აქტივებთან, აღებულ ვალდებულებებთან, მიღებულ შემოსავლებთან და გაწეულ ხარჯებთან ერთად ასახავს ასევე, სახელმწიფოს სახელით ფლობილ აქტივებს და აღებულ ვალდებულებებს, მიღებულ შემოსავლებსა და გაწეულ ხარჯებს – ადმინისტრირებად კატეგორიებს.

3. ერთეული ადმინისტრირებადი კატეგორიების აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვას ახდენს იგივენაირად, სსბასს-ების მოთხოვნების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც საკუთარი სახელით ფლობილი აქტივების, აღებული ვალდებულებების, მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების. ერთეულის საბუღალტრო ჩანაწერებში ადმინისტრირებადი კატეგორიები უნდა აისახოს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი მკაფიო იდენტიფიცირება და ცალსახა გამიჯვნა საკუთარი სახელით ფლობილი აქტივების, აღებული ვალდებულებების, მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯებისაგან. ამასთან, ადმინისტრირებადი კატეგორიების საკუთარი სახელით ფლობილი აქტივების, აღებული ვალდებულებების, მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯებისაგან გამიჯვნის მიზნებისათვის, შესაძლებელია სამუშაო ანგარიშთა გეგმის ფარგლებში შემოღებულ იქნეს შესაბამისი ქვეანგარიშები.

4. ადმინისტრირებადი კატეგორიებია:

ა) ფულადი სახსრები განთავსებული ხაზინის ერთიან ანგარიშზე, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციების შემთხვევაში აღრიცხვა-ანგარიშგებაში აისახება სახაზინო სამსახურის მიერ, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტების შემთხვევაში – ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების მიერ;

ბ) სახაზინო სამსახურის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტები;

გ) სახელმწიფოს სახელით მართვაში არსებული ფინანსური და არაფინანსური აქტივები (გაცემული სესხები, გზები, ხიდები, ეროვნული პარკები და სხვ.);

დ) სახელმწიფოს სახელით ნასესხები თანხები და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები (ფინანსთა სამინისტროს მიერ აღებული სესხები, ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა, საპროცენტო ხარჯები და სხვ.);

ე) სახელმწიფოს სახელით მართვაში არსებული აქტივების გასვლით მიღებული მოგება/ზარალი;

ვ) სახელმწიფოს სახელით განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდებით შემოსავლები;

ზ) სახელმწიფოს სახელით გადასახადებით და მოსაკრებლებით მიღებული შემოსავლები;

თ) სახელმწიფოს სახელით მიღებული ჯარიმები, სანქციები და საურავები;

ი) სახელმწიფოს სახელით მესამე მხარეებისათვის გადარიცხული თანხები – უმუშევრობის კომპენსაციები, სოციალური დახმარებები, პენსიები, გრანტები, სუბსიდიები;

კ) სახელმწიფოს სახელით სხვა ადმინისტრირებადი კატეგორიები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

თავი II

აქტივები

მუხლი 5. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული თავი განმარტავს აქტივების ანგარიშებს.

2. წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად, აქტივების კლასი (1-00-0000) მოიცავს აქტივების შემდეგ ჯგუფებს: მოკლევადიან (მიმდინარე) აქტივებს (1-10-0000) და გრძელვადიან აქტივებს (1-20-0000).

3. მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების ჯგუფი (1-10-0000) მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს (1-11-0000), მოკლევადიან (მიმდინარე) ინვესტიციებს (1-12-0000), მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს (1-13-

0000), მატერიალურ მარაგებს (1-14-0000) და სხვა მოკლევადიან (მიმდინარე) აქტივებს (1-15-0000).

4. გრძელვადიანი აქტივების ჯგუფი (1-20-0000) მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: გრძელვადიან ფინანსურ აქტივებს (1-21-0000), ძირითადი აქტივებს (1-22-0000), საინვესტიციო ქონებას (1-23-0000), არამატერიალურ აქტივებს (1-24-0000), შეღავათიანი მომსახურების აქტივებს (1-25-0000), ფინანსური იჯარის ფარგლებში აქტივებს (1-26-0000), სხვა არაფინანსურ აქტივებს (1-27-0000), აკუმულირებულ ცვეთას და ამორტიზაციას (1-28-0000) და აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-29-0000).

მუხლი 6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

1. ანგარიში – ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები (1-11-0000) მოიცავს: ფულად სახსრებს სალაროში (1-11-1000), 2. მიმდინარე ანგარიშებს ბანკში (1-11-2000) და ფულადი სახსრების ეკვივალენტებს (1-11-3000).

2. ანგარიში – ფულადი სახსრები სალაროში მოიცავს: ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში (1-11-1100) და ნაღდ ფულს უცხოურ ვალუტაში (1-11-1200).

3. ანგარიშზე – „ფულადი სახსრები სალაროში ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-1100)– აღირიცხება სალაროში არსებული ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში.

4. ანგარიშზე – „ფულადი სახსრები სალაროში უცხოურ ვალუტაში“ (1-11-1200)– აღირიცხება სალაროში არსებული ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტის ნომინალით და შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში.

5. ანგარიში – ანგარიშები ხაზინასა და კომერციულ ბანკებში (1-11-2000) მოიცავს: ხაზინის ერთიან ანგარიშს ეროვნულ ბანკში (1-11-2100), ხაზინის ანგარიშებს უცხოურ ვალუტაში ეროვნულ ბანკში (1-11-2200), ხაზინის ანგარიშებს კომერციულ ბანკებში (1-11-2300) და საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშებს კომერციულ ბანკებში (1-11-2400).

6. ანგარიში – ხაზინის ერთიანი ანგარიში ეროვნულ ბანკში (1-11-2100) მოიცავს: სახელმწიფო ბიუჯეტის ფულად სახსრებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2110), ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების ფულად სახსრებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2120), მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ფულად სახსრებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2130), დეპოზიტებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2140) და სხვა ანგარიშებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2190).

7. ანგარიში – „სახელმწიფო ბიუჯეტის ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-2110) მოიცავს: სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო ფულად სახსრებს ხაზინაში ეროვნულ

ვალუტაში (1-11-2111) და სახელმწიფო ბიუჯეტის არასაბიუჯეტო (საკუთარ) ფულად სახსრებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2112).

7[1]. ანგარიშზე – „სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-2111) აღირიცხება ეროვნულ ბანკში სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე არსებული საბიუჯეტო ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში.

7[2]. ანგარიშზე – „სახელმწიფო ბიუჯეტის არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-2112) აღირიცხება ეროვნულ ბანკში სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში.

7[3]. ანგარიში – „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-2120) მოიცავს: ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო ფულად სახსრებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2121) და ავტონომიური რესპუბლიკების არასაბიუჯეტო (საკუთარ) ფულად სახსრებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2122).

7[4]. ანგარიშზე – „ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-2121) აღირიცხება ეროვნულ ბანკში სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე არსებული ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში.

7[5]. ანგარიშზე – „ავტონომიური რესპუბლიკების არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-2122) აღირიცხება ეროვნულ ბანკში სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე არსებული ავტონომიური რესპუბლიკების სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში.

7[6]. ანგარიში – „მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-2130) მოიცავს: მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ფულად სახსრებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2131) და მუნიციპალიტეტების არასაბიუჯეტო (საკუთარ) ფულად სახსრებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2132).

7[7]. ანგარიშზე –„მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-2131) აღირიცხება ეროვნულ ბანკში სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე არსებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ფულადი სახსრები, ეროვნულ ვალუტაში.

7[8]. ანგარიშზე – „მუნიციპალიტეტების არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-2132) აღირიცხება ეროვნულ ბანკში სახელმწიფო

ხაზინის ანგარიშზე არსებული მუნიციპალიტეტების სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში.

8. ანგარიშზე – „დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ – აღირიცხება ეროვნულ ბანკში ხაზინის ანგარიშებზე დროებით განთავსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში.

9. (ამოღებულია - 23.08.2022, №281).

10. ანგარიშზე – „სხვა ანგარიშები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-2190) აღირიცხება ხაზინაში გახსნილ ანგარიშებზე განთავსებული ნებისმიერი სხვა სახსრები, რომელთა აღრიცხვა არ არის გათვალისწინებული ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში გახსნილი ანგარიშების ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში.

11. ანგარიში – „ხაზინის ანგარიშები უცხოურ ვალუტაში ეროვნულ ბანკში – მოიცავს ხაზინის სავალუტო ანგარიშს ეროვნულ ბანკში“ (1-11-2210) და დეპოზიტებს ხაზინაში უცხოურ ვალუტაში (1-11-2220).

11^1. ანგარიშზე – „ხაზინის სავალუტო ანგარიში ეროვნულ ბანკში“ (1-11-2210) აღირიცხება ეროვნულ ბანკში სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტის ნომინალით და შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში.

11^2. ანგარიშზე – „დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში“ (1-11-2220) აღირიცხება ეროვნულ ბანკში ხაზინის ანგარიშებზე დროებით განთავსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტის ნომინალით და შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში.

12. ანგარიში – ხაზინის ანგარიშები კომერციულ ბანკებში (1-11-2300) მოიცავს: ხაზინის ანგარიშს კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2310) და ხაზინის ანგარიშს კომერციულ ბანკში უცხოურ ვალუტაში (1-11-2320).

13. ანგარიშზე – „ხაზინის ანგარიში კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-2310) აღირიცხება კომერციულ ბანკში სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში.

14. ანგარიშზე – „ხაზინის ანგარიში კომერციულ ბანკში უცხოურ ვალუტაში“ (1-11-2320) აღირიცხება კომერციულ ბანკში სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტის ნომინალით და შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში.

15. ანგარიში – საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშები კომერციულ ბანკებში (1-11-2400) მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშს კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში (1-11-

2410); საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშს კომერციულ ბანკში უცხოურ ვალუტაში (1-11-2420) და საბიუჯეტო ორგანიზაციის სხვა ანგარიშს კომერციულ ბანკში (1-11-2430).

16. ანგარიში – „საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიში კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-2410) მოიცავს: საბიუჯეტო ორგანიზაციის მიმდინარე ანგარიშს კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2411) და საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშს დეპოზიტებით კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2412).

17. ანგარიშზე – „საბიუჯეტო ორგანიზაციის მიმდინარე ანგარიში კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2411) აღირიცხება ორგანიზაციის არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობასთან და საბიუჯეტო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე ანგარიშზე კომერციულ ბანკში.

18. ანგარიშზე – „საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიში დეპოზიტებით კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში (1-11-2412) აღირიცხება ორგანიზაციის არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობასთან და საბიუჯეტო საქმიანობასთან დაკავშირებული დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში კომერციულ ბანკში.

19. ანგარიშზე – „საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიში კომერციულ ბანკში უცხოურ ვალუტაში“ (1-11-2420) აღირიცხება ორგანიზაციის არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობასთან და საბიუჯეტო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში კომერციულ ბანკში, უცხოური ვალუტის ნომინალით და შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში.

20. ანგარიშზე – საბიუჯეტო ორგანიზაციის სხვა ანგარიში კომერციულ ბანკში (1-11-2430) აღირიცხება საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრები კომერციულ ბანკში.

21. ანგარიშზე – ფულადი სახსრების ეკვივალენტები (1-11-3000) აღირიცხება სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში (1-11-3100) და სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში (1-11-3200) .

22. ანგარიში – „სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-3100) მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით სამ თვემდე ვადიან საბანკო დეპოზიტებს ეროვნულ ვალუტაში (1-11-3110) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით სამ თვემდე ვადიან საბანკო დეპოზიტებს ეროვნულ ვალუტაში (1-11-3120).

23. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-3110) აღირიცხება საბიუჯეტო სახსრებით ერთეულის სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში.

24. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში“ (1-11-3120) აღირიცხება არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთეულის სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში.

25. ანგარიში – „სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში“ (1-11-3200) მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით სამ თვემდე ვადიან საბანკო დეპოზიტებს უცხოურ ვალუტაში (1-11-3210) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით სამ თვემდე ვადიან საბანკო დეპოზიტებს უცხოურ ვალუტაში (1-11-3220).

26. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში“ (1-11-3210) აღირიცხება საბიუჯეტო სახსრებით ერთეულის სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში.

27. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში“ (1-11-3220) აღირიცხება არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთეულის სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 7. მოკლევადიანი (მიმდინარე) ინვესტიციები

1. ანგარიში – მოკლევადიანი (მიმდინარე) ინვესტიციები (1-12-0000) მოიცავს: ერთ წლამდე ვადით გაცემულ კრედიტებს და სესხებს (1-12-1000), გრძელვადიანი კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილს (1-12-2000), ფინანსური იჯარიდან გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებების მიმდინარე ნაწილს (1-12-3000), მოკლევადიან (მიმდინარე) ფასიან ქაღალდებს, გარდა აქციებისა (1-12-4000) და სხვა მოკლევადიან (მიმდინარე) ინვესტიციებს (1-12-9000).

2. ანგარიში – ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები (1-12-1000) მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით ერთ წლამდე ვადით გაცემულ კრედიტებსა და სესხებს (1-12-1100), არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთ წლამდე ვადით გაცემულ კრედიტებსა და სესხებს (1-12-1200).

3. ანგარიში – საბიუჯეტო სახსრებით ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები (1-12-1100) მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემულ კრედიტებსა და სესხებს (1-12-1110) და საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემულ კრედიტებსა და სესხებს (1-12-1120).

4. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები“ (1-12-1110) აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები, ეროვნულ ვალუტაში.

5. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები“ (1-12-1120) აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები, უცხოურ ვალუტაში.

6. ანგარიში – არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები (1-12-1200) მოიცავს: არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემულ კრედიტებსა და სესხებს (1-12-1210) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემულ კრედიტებსა და სესხებს (1-12-1220).

7. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები“ (1-12-1210) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები, ეროვნულ ვალუტაში.

8. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები“ (1-12-1220) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები, უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტის ნომინალით და შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში.

9. ანგარიში – გრძელვადიანი კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილი (1-12-2000) მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილს (1-12-2100) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილს (1-12-2200).

10. ანგარიში – საბიუჯეტო სახსრებით გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი (1-12-2100) მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილს (1-12-2110) და საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილს (1-12-2120).

11. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი“ (1-12-2110) აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ეროვნულ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი, რომლის დაფარვა მოსალოდნელია ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

12. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი“ (1-12-2120) აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი (რომლის დაფარვა მოსალოდნელია ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში), უცხოური ვალუტის ნომინალით და შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში.

13. ანგარიში – არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი (1-12-2200) მოიცავს: არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილს (1-12-2210) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილს (1-12-2220).

14. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი“ (1-12-2210) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ეროვნულ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი, რომლის დაფარვა მოსალოდნელია ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

15. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი“ (1-12-2220) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი (რომლის დაფარვა მოსალოდნელია ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში), უცხოური ვალუტის ნომინალით და შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში.

16. ანგარიშზე – „ფინანსური იჯარიდან გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებების მიმდინარე ნაწილი“ (1-12-3000) აღირიცხება ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებით გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებების გადასახდელი მიმდინარე ნაწილი.

17. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა“ (1-12-4000) აღირიცხება აქციების გარდა ყველა სხვა სახის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდი.

18. ანგარიშზე – „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ინვესტიციები“ (1-12-9000) აღირიცხება ერთეულის მფლობელობაში არსებული სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 8. მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

1. ანგარიში – მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები (1-13-0000) მოიცავს: სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებულ მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს (1-13-1000), მოკლევადიან (მიმდინარე) საგადასახადო დებიტორულ დავალიანებებს (1-13-2000), მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს საპენსიო სქემაში შენატანებით (1-13-3000), მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს დარიცხული პროცენტებით (1-13-4000); მოკლევადიან (მიმდინარე) მისაღებ დივიდენდებს (1-13-5000), საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს (1-13-6000), მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ (1-13-7000), მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს არაფინანსური აქტივების გასვლით (1-13-8000) და სხვა მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს (1-13-9000).

2. ანგარიში – სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები (1-13-1000) მოიცავს: ხაზინის მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს (1-13-1100) და საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს ხაზინის მიმართ (1-13-1200).

3. ანგარიშზე – „ხაზინის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები “ (1-13-1100) მოიცავს: ხაზინის მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს საგადასახადო შემოსავლებიდან (1-13-1110); ხაზინის მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს არასაგადასახადო შემოსავლებიდან (1-13-1120) და ხაზინის მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს შემოსულობებიდან (1-13-1130).

3[1]. ანგარიშზე – „ხაზინის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საგადასახადო შემოსავლებიდან “ (1-13-1110) აღირიცხება საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით ხაზინის მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები.

3[2]. ანგარიშზე – „ხაზინის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები არასაგადასახადო შემოსავლებიდან“ (1-13-1120) აღირიცხება არასაგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით ხაზინის მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები.

3[3]. ანგარიშზე – „ხაზინის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები შემოსულობებიდან“ (1-13-1130) აღირიცხება შემოსულობებთან დაკავშირებით ხაზინის მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები.

4. ანგარიში – საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ (1-13-1200) მოიცავს: საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს ხაზინის მიმართ, საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში (1-13-1210); საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით ეროვნულ ვალუტაში (1-13-1220); საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან

(მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს ხაზინის მიმართ, არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში (1-13-1230); საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს ხაზინის მიმართ, საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში (1-13-1240); საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით უცხოურ ვალუტაში (1-13-1250); საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს ხაზინის მიმართ, არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში (1-13-1260) და საბიუჯეტო ორგანიზაციების სხვა მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს ხაზინის მიმართ“ (1-13-1270).

5. ანგარიშზე – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში“ (1-13-1210) აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ერთეულის მიერ წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები ეროვნულ ვალუტაში.

6. ანგარიშზე – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით ეროვნულ ვალუტაში“ (1-13-1220) აღირიცხება აღირიცხება კანონმდებლობით განსაზღვრულ მიზნობრივ გრანტებთან და მიზნობრივ დაფინანსებასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში.

7. ანგარიშზე – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, არასასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში“ (1-13-1230) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ერთეულის მიერ წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები ეროვნულ ვალუტაში.

7^1. ანგარიშზე – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში“ (1-13-1240) აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ერთეულის მიერ წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში.

7^2. ანგარიშზე – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით უცხოურ ვალუტაში“ (1-13-1250) აღირიცხება კანონმდებლობით განსაზღვრულ მიზნობრივ გრანტებთან და მიზნობრივ დაფინანსებასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში.

7^3. ანგარიშზე – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, არასასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში“ (1-13-1260) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ერთეულის მიერ წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში.

7[4]. ანგარიშზე – „საბიუჯეტო ორგანიზაციების სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ“ (1-13-1270) აღირიცხება ერთეულის სხვა მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, რომელთა აღრიცხვა არ არის გათვალისწინებული ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, მათ შორის, მოთხოვნები ბანკში დროებით განთავსებულ სახსრებზე.

8. ანგარიში – მოკლევადიანი (მიმდინარე) საგადასახადო დებიტორული დავალიანებები (1-13-2000) მოიცავს: საშემოსავლო გადასახადით მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს (1-13-2100), მოგების გადასახადით მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს (1-13-2200), ქონების გადასახადით მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს (1-13-2300), დამატებითი ღირებულების გადასახადით მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს (1-13-2400), აქციზის გადასახადით მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს (1-13-2500), იმპორტის გადასახადით მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს (1-13-2600) და სხვა გადასახადებით მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს (1-13-2700).

9. ანგარიშზე – „საშემოსავლო გადასახადით მოთხოვნები“ (1-13-2100)“ აღირიცხება საშემოსავლო გადასახადით წარმოქმნილი მოკლევადიანი საგადასახადო აქტივები.

10. ანგარიშზე „მოგების გადასახადით მოთხოვნები“ (1-13-2200)“ აღირიცხება მოგების გადასახადით წარმოქმნილი მოკლევადიანი საგადასახადო აქტივები.

11. ანგარიშზე – „ქონების გადასახადით მოთხოვნები“ (1-13-2300)“ აღირიცხება ქონების გადასახადით წარმოქმნილი მოკლევადიანი საგადასახადო აქტივები.

12. ანგარიშზე – „დამატებითი ღირებულების გადასახადით მოთხოვნები“ (1-13-2400)“ აღირიცხება დამატებული ღირებულების გადასახადით წარმოქმნილი მოკლევადიანი საგადასახადო აქტივები.

13. ანგარიშზე – „აქციზის გადასახადით მოთხოვნები“ (1-13-2500)“ აღირიცხება აქციზის გადასახადით წარმოქმნილი მოკლევადიანი საგადასახადო აქტივები.

14. ანგარიშზე – „იმპორტის გადასახადით მოთხოვნები“ (1-13-2600)“ აღირიცხება იმპორტის გადასახადით წარმოქმნილი მოკლევადიანი საგადასახადო აქტივები.

15. ანგარიშზე „სხვა გადასახადებით მოთხოვნები“ (1-13-2700)“ აღირიცხება ზემოთ ჩამოთვლილი გადასახადებისაგან განსხვავებული გადასახადებით წარმოქმნილი მოკლევადიანი საგადასახადო აქტივები.

16. ანგარიშზე – „სხვა გადასახდელებით მოთხოვნები“ (1-13-2800) - აღირიცხება გადასახადების გარდა სხვა გადასახდელებით ბიუჯეტის წინაშე წარმოქმნილი მოთხოვნები.

17. ანგარიში – მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში შენატანებით (1-13-3000) მოიცავს საპენსიო სქემაში შენატანებთან დაკავშირებით მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების შემდეგ ანგარიშებს: მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს საპენსიო სქემაში დამსაქმებლის შენატანებით (1-13-3100); მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს საპენსიო სქემაში დასაქმებულის შენატანებით (1-13-3200); მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს საპენსიო სქემაში ბიუჯეტის შენატანებით (1-13-3300).

18. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში დამსაქმებლის შენატანებით“ (1-13-3100) აღირიცხება დამქირავებლის მიერ საპენსიო სქემაში შენატანით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები.

19. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში დასაქმებულის შენატანებით“ (1-13-3200) აღირიცხება დაქირავებულების მიერ საპენსიო სქემაში შენატანით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები.

20. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში ბიუჯეტის შენატანებით“ (1-13-3300) აღირიცხება საპენსიო სქემაში ბიუჯეტის შენატანით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები.

21. ანგარიში – მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით (1-13-4000) მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით გაცემული სესხებისათვის მოკლევადიან (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნებს (1-13-4100), არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემული სესხებისათვის მოკლევადიან (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნებს (1-13-4200), ანგარიშებზე, დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხულ მოკლევადიან (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნებს (1-13-4300), ფინანსური იჯარისათვის დარიცხულ მოკლევადიან (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნებს (1-13-4400), სესხზე დაკისრებულ ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს (1-13-4500) და სხვა ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს (1-13-4600).

22. ანგარიში – საბიუჯეტო სახსრებით გაცემული სესხებისათვის მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები (1-13-4100) მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხებისათვის მოკლევადიან (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნებს (1-13-4110) და საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხებისათვის მოკლევადიან (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნებს (1-13-4120).

23. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხებისათვის მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები“ (1-13-4110) აღირიცხება საბიუჯეტო

საქმიანობის ფარგლებში ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე დარიცხული მოკლევადიანი საპროცენტო მოთხოვნები.

24. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხებისათვის მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები“ (1-13-4120) აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე დარიცხული მოკლევადიანი საპროცენტო მოთხოვნები.

25. ანგარიში – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემული სესხებისათვის მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები (1-13-4200) მოიცავს არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემული სესხებისათვის მოკლევადიან (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნებს ეროვნულ ვალუტაში (1-13-4210) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემული სესხებისათვის მოკლევადიან (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნებს უცხოურ ვალუტაში (1-13-4220).

26. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემული სესხებისათვის მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები ეროვნულ ვალუტაში“ (1-13-4210) აღირიცხება ერთეულის მიერ მისაღები მოკლევადიანი საპროცენტო მოთხოვნები ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში, ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხებისათვის.

27. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემული სესხებისათვის მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში (1-13-4220) აღირიცხება ერთეულის მიერ მისაღები მოკლევადიანი საპროცენტო მოთხოვნები ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხებისათვის.

28. ანგარიშზე – „ანგარიშებზე, დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები“ (1-13-4300) აღირიცხება ერთეულის ანგარიშებზე, დეპოზიტებზე, ასევე, აქციებიდან გარდა ფასიანი ქაღალდებისა, პროცენტიანი ობლიგაციებიდან და დებიტორული დავალიანებებიდან მისაღები მოკლევადიანი საპროცენტო მოთხოვნები.

29. ანგარიშზე – „ფინანსური იჯარისათვის დარიცხული მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები“ (1-13-4400) აღირიცხება ფინანსური იჯარით გაცემული აქტივების შემთხვევაში მოკლევადიანი საპროცენტო მოთხოვნები.

30. ანგარიში – სესხზე დაკისრებულ ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები (1-13-4500) მოიცავს: სესხზე დაკისრებულ ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს ეროვნულ ვალუტაში (1-13-4510) და სესხზე დაკისრებულ ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს უცხოურ ვალუტაში (1-13-4520).

31. ანგარიშზე – „სესხზე დაკისრებულ ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები ეროვნულ ვალუტაში“ (1-13-4510) აღირიცხება სესხზე დაკისრებულ ჯარიმებთან, სანქციებთან და საურავებთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები ეროვნულ ვალუტაში.

32. ანგარიშზე – „სესხზე დაკისრებულ ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში“ (1-13-4520) აღირიცხება სესხზე დაკისრებულ ჯარიმებთან, სანქციებთან და საურავებთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტის ნომინალით და შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში.

33. ანგარიში – სხვა ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები (1-13-4600) მოიცავს: სხვა ჯარიმზე, სანქციებზე და საურავებზე მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს ეროვნულ ვალუტაში (1-13-4610) და სხვა ჯარიმებზე, სანქციებზე და საურავებზე მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს უცხოურ ვალუტაში (1-13-4620).

34. ანგარიშზე – „სხვა ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები ეროვნულ ვალუტაში“ (1-13-4610) აღირიცხება სხვა ჯარიმებთან, სანქციებთან და საურავებთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები ეროვნულ ვალუტაში.

35. ანგარიშზე – „სხვა ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში“ (1-13-4620) აღირიცხება სხვა ჯარიმებთან, სანქციებთან და საურავებთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტის ნომინალით და შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში.

36. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) მისაღები დივიდენდები“ (1-13-5000) აღირიცხება ერთეულის მიერ სხვა ერთეულებში განთავსებული ინვესტიციებიდან მისაღები მოკლევადიანი დივიდენდები.

37. ანგარიშზე – „საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები“ (1-13-6000) აღირიცხება საქონლის გაყიდვებიდან და მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები.

38. ანგარიში – მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ (1-13-7000) მოიცავს თანამშრომლებთან და ანგარიშვალდებულ პირებთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნების შემდეგ ანგარიშებს, წინასწარ გადახდილი თანხებით (1-13-7100), მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით (1-13-7200), გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით (1-13-7300), ანგარიშვალდებული პირებისგან მისაღები სხვა თანხებით (1-13-7400), მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები მივლინებებით ქვეყნის შიგნით (1-13-7500),

მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები მივლინებებით ქვეყნის გარეთ (1-13-7600) და სხვა მიზნებისათვის (1-13-7700).

39. ანგარიშზე – „წინასწარ გადახდილი თანხებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ“ (1-13-7100) აღირიცხება ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელიც წარმოიქმნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ეკონომიკური მოვლენის მოხდენამდე წინასწარ გაცემული სახსრებით.

40. ანგარიშზე – „მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ“ (1-13-7200) აღირიცხება ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით წარმოქმნილი მოთხოვნები.

41. ანგარიშზე – „გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ“ (1-13-7300) აღირიცხება ანგარიშვალდებული პირების მიმართ გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები.

42. ანგარიშზე – „ანგარიშვალდებული პირებისგან მისაღები სხვა თანხებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები“ (1-13-7400) აღირიცხება ანგარიშვალდებული პირების მიმართ წარმოქმნილი სხვა მოთხოვნები, რომლებიც არ უკავშირდება ანგარიშვალდებული პირებისათვის წინასწარ გადახდილ თანხებს და მოკლევადიანი და გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემას.

43.ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები მივლინებებით ქვეყნის შიგნით“ (1-13-7500) აღირიცხება მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება დაქირავებულის ქვეყნის შიგნით მივლინებებს.

44. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები მივლინებებით ქვეყნის გარეთ“ (1-13-7600) აღირიცხება მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება დაქირავებულის ქვეყნის გარეთ მივლინებებს.

45. ანგარიშზე – „სხვა მიზნებისათვის მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ“ (1-13-7700) აღირიცხება მომუშავეების/ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.

46. ანგარიში – მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გასვლით (1-13-8000) მოიცავს: ძირითადი აქტივების გასვლით წარმოქმნილ მოკლევადიან (მიმდინარე)

ფულად მოთხოვნებს (1-13-8100) და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გასვლით წარმოქმნილ მოკლევადიან (მიმდინარე) ფულად მოთხოვნებს (1-13-8200).

47. ანგარიშზე – „ძირითადი აქტივების გასვლით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები“ (1-13-8100) აღირიცხება ერთეულის მიერ ძირითადი აქტივების გასვლით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები.

48. ანგარიშზე – „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გასვლით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები“ (1-13-8200) აღირიცხება ერთეულის მიერ ძირითადი აქტივების გარდა სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გასვლით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები.

49. ანგარიში – სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები (1-13-9000) მოიცავს: სადაზღვევო კომპანიებიდან წარმოქმნილ მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს (1-13-9200), ზარალის/დანაკლისის ანაზღაურების მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს (1-13-9300), ზედმეტად/შეცდომით გადახდილი თანხებით მოკლევადიან (მიმდინარე) ფულად მოთხოვნებს (1-13-9400), მოკლევადიან (მიმდინარე) ფულად მოთხოვნებს ტრანსფერულ შემოსავლებთან დაკავშირებით (1-13-9500), მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს რენტით (1-13-9600) და სხვა დანარჩენ მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს (1-13-9900).

50. ანგარიშზე – „სადაზღვევო კომპანიებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები“ (1-13-9200) აღირიცხება სადაზღვევო მოვლენების დადგომით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ.

51. ანგარიშზე – ზარალის/დანაკლისის ანაზღაურების მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები (1-13-9300) აღირიცხება მოკლევადიანი მოთხოვნები ერთეულის მომუშავეთა ან სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირთა ბრალეულობით ან სხვა მიზეზებით გამოწვეულ ზარალის/დანაკლისის ანაზღაურებაზე.

52. ანგარიშზე – „ზედმეტად/შეცდომით გადახდილი თანხებით მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები“ (1-13-9400) აღირიცხება ზედმეტად/შეცდომით გადახდილი თანხებით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები.

52^1. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები ტრანსფერულ შემოსავლებთან დაკავშირებით“ (1-13-9500) აღირიცხება ისეთი მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები, რომლებიც უკავშირდება ტრანსფერული ოპერაციებით წარმოქმნილ შემოსავლებს.

52^2. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები რენტით“ (1-13-9600) აისახება არაწარმოებული აქტივების (მიწის, სასარგებლო წიაღისეულის და სხვა ბუნებრივი რესურსების) იჯარიდან ან გაქირავებიდან, ასევე, სხვა სახის იჯარიდან, მათ შორის,

ელექტრომაგნიტური სპექტრით სარგებლობის გრძელვადიანი იჯარიდან მისაღებ შემოსავლებთან დაკავშირებული მოთხოვნები.

53. ანგარიშზე – „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები“ (1-13-9900) აღირიცხება სხვადასხვა სახის მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები, რომელთა ასახვა გათვალისწინებული არ არის მოკლევადიანი მოთხოვნების ზემოთ ჩამოთვლილ სხვა ანგარიშებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №355 - ვებგვერდი, 31.12.2025 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 20.10.2026 წ.

მუხლი 9. მატერიალური მარაგები

1. ანგარიში – მატერიალური მარაგები (1-14-0000) მოიცავს: მასალებს და მარაგებს (1-14-1000), დაუმთავრებელ წარმოებას (1-14-2000), მზა პროდუქციას (1-14-3000), გასაყიდად ფლობილ საქონელს (1-14-4000) და სამხედრო მარაგებს (1-14-5000).

2. ანგარიში – „მასალები და მარაგები“ (1-14-1000) მოიცავს: ნედლეულს და მასალებს (1-14-1100) და სხვა მასალებს და მარაგებს (1-14-1400).

3. ანგარიშზე „ნედლეული და მასალები“ (1-14-1100) აღირიცხება ერთეულის მფლობელობაში არსებული ნედლეული და მასალები, რომლებიც გამოიყენება საქონლის წარმოების პროცესში ან/და მომსახურების მიწოდებისათვის.

4. ანგარიში – სხვა მასალები და მარაგები (1-14-1400) მოიცავს: მცირეფასიან აქტივებს (1-14-1410) და სხვა დანარჩენ მასალებსა და მარაგებს (1-14-1420).

5. ანგარიშზე – „მცირეფასიანი აქტივები“ (1-14-1410) აღირიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მცირეფასიანი აქტივები – ტექნიკა, ინვენტარი, მოწყობილობა და სხვა მცირეფასიანი აქტივები, რომლებიც მიუხედავად გამოყენების ვადის ხანგრძლივობისა, განიხილება მოკლევადიან აქტივებად და აღირიცხება მატერიალური მარაგების მსგავსად.

6. ანგარიშზე – „სხვა დანარჩენი მასალები და მარაგები“ (1-14-1420) აღირიცხება სამეურნეო მასალები, საკანცელარიო ნივთები, საწვავი სამეურნეო საჭიროებისთვის, საწვავი და ზეთი მანქანა-დანადგარებისთვის, კვების პროდუქტები და სხვადასხვა მატერიალური მარაგები, რომლებიც არ აღირიცხება მატერიალური მარაგების სხვა შესაბამის ანგარიშებზე.

7. ანგარიშზე – „დაუმთავრებელი წარმოება“ (1-14-2000) აღირიცხება პროდუქცია, რომელიც ნაწილობრივაა დამუშავებული ან წარმოებული მწარმოებლის მიერ და მათი წარმოება დასრულდება მომავალში იმავე მწარმოებლის მიერ, მაგრამ, როგორც წესი, ისინი არ

ექვემდებარება გაყიდვას, მიწოდებას ან გადაცემას სხვა მხარისათვის შემდგომი დამუშავების გარეშე.

8. ანგარიშზე – „მზა პროდუქცია“ (1-14-3000) აღირიცხება ისეთი საქონელი, რომელიც წარმოების პროცესის შედეგს წარმოადგენს, ჯერ კიდევ ინახება მისი მწარმოებლის მიერ და სხვა ერთეულებზე მიწოდებამდე არ ექვემდებარება შემდგომ დამუშავებას.

9. ანგარიშზე – „გასაყიდად ფლობილი საქონელი“ (1-14-4000) აღირიცხება შემდგომი გაყიდვის ან სხვა ერთეულზე გადაცემის მიზნით შეძენილი ისეთი საქონელი, რომლის ფიზიკური ფორმის მკვეთრი ცვლილებები არ ხორციელდება, რამდენადაც შესყიდვის მომენტში აღნიშნულ საქონელს უკვე გააჩნია მზა პროდუქციის სახე. აღნიშნულ ანგარიშზე ერთიანდება ასევე სტრატეგიული მარაგები, რომელიც მოიცავს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც ინახება სტრატეგიული მიზნებისათვის და საგანგებო სიტუაციებისათვის, ბაზრის მარეგულირებელი ორგანოების მიერ შენახულ საქონელსა და, აგრეთვე, ისეთ საქონელს, რომელიც ქვეყნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

10. ანგარიშზე – „სამხედრო მარაგები“ (1-14-5000) აღირიცხება ერთჯერადი გამოყენების მოწყობილობები, როგორებიცაა ტყვია-წამალი, რაკეტები, ბომბები და სხვა, რომლებიც არ აღირიცხება სხვა ძირითად აქტივებში.

მუხლი 10. სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები

1. ანგარიში – სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები (1-15-0000) მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: წინასწარ გადახდილი თანხებით მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს და ტრანსფერის უფლების მოკლევადიან (მიმდინარე) აქტივს (1-15-1000), მოკლევადიან (მიმდინარე) არაფულად მოთხოვნებს არაფინანსური აქტივების გადაცემით (1-15-2000), ბარტერული ოპერაციებიდან მისაღები აქტივებით მოკლევადიან (მიმდინარე) მოთხოვნებს (1-15-3000); მოკლევადიან (მიმდინარე) არაფულად მოთხოვნებს ტრანსფერულ შემოსავლებთან დაკავშირებით (1-15-4000) და მოკლევადიან (მიმდინარე) არაფულად მოთხოვნებს არაფინანსური აქტივების დანაკლისით (1-15-5000).

2. ანგარიში – წინასწარ გადახდილი თანხებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები და ტრანსფერის უფლების მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივი (1-15-1000) მოიცავს წინასწარი გადახდებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნების შესაბამის ანგარიშებს: საქონლისა და მომსახურების შესაძენად წინასწარი გადახდებით (1-15-1100), გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდებით (1-15-1200) და ტრანსფერის უფლების მოკლევადიან (მიმდინარე) აქტივს (1-15-1300).

3. ანგარიშზე – „საქონლისა და მომსახურების შესაძენად წინასწარი გადახდებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები“ (1-15-1100) აღირიცხება მოკლევადიანი

მოთხოვნები, რომლებიც წარმოქმნილია მომსახურების მოწოდების ან მატერიალური მარაგების შესაძენად გაწეული წინასწარი გადახდებით

4. ანგარიშზე – „გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები“ (1-15-1200) აღირიცხება მოკლევადიანი მოთხოვნები, რომლებიც წარმოქმნილია არაფინანსური აქტივების გარდა მატერიალური მარაგებისა, შესაძენად წინასწარ გაცემული სახსრებით.

5. ანგარიშზე – ტრანსფერის უფლების მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივი (1-15-1300) აღირიცხება მოკლევადიანი სავალდებულო შეთანხმების შედეგად წარმოქმნილი ტრანსფერის უფლების მოკლევადიანი აქტივი ერთი ან მეტი ტრანსფერის უფლების არსებობისთვის.

6. ანგარიში – „მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გადაცემით“ (1-15-2000) მოიცავს: მოკლევადიან (მიმდინარე) არაფულად მოთხოვნებს მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით (1-15-2100) და მოკლევადიან (მიმდინარე) არაფულად მოთხოვნებს გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით (1-15-2200).

6[1]. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით“ (1-15-2100) აღირიცხება მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით წარმოქმნილი მოკლევადიანი არაფულადი მოთხოვნები.

6[2]. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით“ (1-15-2200) აღირიცხება გრძელვადიანი არაფინანსური გადაცემით წარმოქმნილი მოკლევადიანი არაფულადი მოთხოვნები.

7. ანგარიშზე – „ბარტერული ოპერაციებიდან მისაღები აქტივებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები“ (1-15-3000) აღირიცხება ბარტერული ოპერაციის შედეგად ერთეულის მიერ მისაღები აქტივები.

8. ანგარიშზე – მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები ტრანსფერულ შემოსავლებთან დაკავშირებით (1-15-4000) აღირიცხება მოკლევადიანი არაფულადი მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშობა ერთეულის აღსრულებადი უფლებიდან მიიღოს რესურსები ტრანსფერული შემოსავლის ოპერაციების შედეგად.

9. ანგარიშზე – მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისით (1-15-5000) აღირიცხება მოთხოვნები ორგანიზაციის მომუშავეთა ან სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა ბრალეულობით ან სხვა მიზეზებით გამოწვეული არაფინანსური აქტივების დანაკლისის თანხებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 20.10.2026 წ.

მუხლი 11. მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი

1. ანგარიში – მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-0000) მოიცავს: მოკლევადიანი (მიმდინარე) ინვესტიციების აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-19-1000), საეჭვო მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2000), მატერიალური მარაგების აკუმულირებულ ღირებულების შემცირებას (1-19-3000) და წინასწარი გადახდების და სხვა არაფულადი მოთხოვნების აკუმულირებული გაუფასურების ზარალს (1-19-4000).

2. ანგარიში – მოკლევადიანი (მიმდინარე) ინვესტიციების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-1000) მოიცავს: ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების (1-19-1100), ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის (1-19-1200), ერთ წელზე მეტი ვადით ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების მიმდინარე ნაწილის (1-19-1300) და სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ინვესტიციების (1-19-1900) აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ანგარიშებს.

3. ანგარიში – ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-1100) მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-19-1110) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-19-1120).

4. ანგარიში – საბიუჯეტო სახსრებით ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-1110) მოიცავს საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-19-1111) და საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-19-1112).

5. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-19-1111) აღირიცხება საბუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემულ კრედიტებთან და სესხებთან დაკავშირებული აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

6. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-19-1112) აღირიცხება საბუჯეტო საქმიანობის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემულ კრედიტებთან და სესხებთან დაკავშირებული აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

7. ანგარიში – არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-1120) მოიცავს არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტებისა და სესხების აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-19-1121) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტებისა და სესხების აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-19-1122).

8. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-19-1121) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემულ კრედიტებთან და სესხებთან დაკავშირებული აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

9. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-21-5122) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემულ კრედიტებთან და სესხებთან დაკავშირებული აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

10. ანგარიში – ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-1200) მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-19-1210) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-19-1220).

11. ანგარიში – საბიუჯეტო სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-1210) მოიცავს საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალს (1-19-1211) და საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალს (1-19-1212).

12. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-19-1211) აღირიცხება აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, რაც უკავშირდება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ერთ წელზე მეტი ვადით ეროვნულ ვალუტაში გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილს.

13. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების

ზარალი“ (1-19-1212) აღირიცხება აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, რაც უკავშირდება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ერთ წელზე მეტი ვადით უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილს.

14. ანგარიში – არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-1220) მოიცავს არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-19-1221) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-19-1222).

15. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-19-1221) აღირიცხება აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, რაც უკავშირდება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ერთ წელზე მეტი ვადით ეროვნულ ვალუტაში გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილს.

16. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-1222) აღირიცხება აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, რაც უკავშირდება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ერთ წელზე მეტი ვადით უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილს.

17. ანგარიშზე – „ერთ წელზე მეტი ვადით ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-19-1300) აღირიცხება გრძელვადიანი ფინანსური იჯარის მოთხოვნების მიმდინარე ნაწილთან დაკავშირებით აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

18. (ამოღებულია - 23.08.2022, №281).

19. (ამოღებულია - 23.08.2022, №281).

20. ანგარიშზე – „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ინცესტიციების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-19-1900) აღირიცხება სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ინცესტიციების გაუფასურებასთან დაკავშირებული აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

21. ანგარიში – საეჭვო მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების ანარიცხები (1-19-2000) მოიცავს: ამოუღებადი გადასახადებით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2100), საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2200), საქონლისა

და მომსახურების გაყიდვიდან საეჭვო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2300) და სხვა დანარჩენი საეჭვო მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების ანარიცხებს (1-19-2400).

22. ანგარიში – ამოუღებადი გადასახადებით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები (1-19-2100) მოიცავს საშემოსავლო გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2110), მოგების გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2120), ქონების გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2130), დამატებითი ღირებულების გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2140), აქციზის გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2150), იმპორტის გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2160) და სხვა გადასახადებით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხების (1-19-2170) ანგარიშებს.

23. ანგარიშზე – „საშემოსავლო გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2110) აღირიცხება ამოუღებადი საშემოსავლო გადასასახადით წარმოქმნილი საეჭვო მოთხოვნების რეზერვები.

24. ანგარიშზე – „მოგების გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები “ (1-19-2120) აღირიცხება ამოუღებადი მოგების გადასასახადით წარმოქმნილი საეჭვო მოთხოვნების რეზერვები.

25. ანგარიშზე – „ქონების გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2130) აღირიცხება ამოუღებადი ქონების გადასასახადით წარმოქმნილი საეჭვო მოთხოვნების რეზერვები.

26. ანგარიშზე – „დამატებითი ღირებულების გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2140) აღირიცხება ამოუღებადი დამატებითი ღირებულების გადასასახადით წარმოქმნილი საეჭვო მოთხოვნების რეზერვები.

27. ანგარიშზე – „აქციზის გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2150) აღირიცხება ამოუღებადი აქციზის გადასასახადით წარმოქმნილი საეჭვო მოთხოვნების რეზერვები.

28. ანგარიშზე – „იმპორტის გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2160) აღირიცხება ამოუღებადი სიმპორტის გადასასახადით წარმოქმნილი საეჭვო მოთხოვნების რეზერვები.

29. ანგარიშზე – „სხვა გადასახადებით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2170) აღირიცხება ზემოთ ჩამოთვლილი გადასახადების გარდა სხვა გადასასახადებით წარმოქმნილი საეჭვო მოთხოვნების რეზერვები.

30. ანგარიში – საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები (1-19-2200) შემდეგ ანგარიშებს: საბიუჯეტო სახსრებით გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხებს (1-

19-2210), არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2220), ანგარიშების, დეპოზიტების და სხვა ფინანსური აქტივების საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2230), ფინანსური იჯარის საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2240), პროცენტებთან დაკავშირებული ჯარიმების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2250) და სხვა ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2260).

31. ანგარიში – საბიუჯეტო სახსრებით გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები (1-19-2210) მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2211) და საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2212).

32. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2211) აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საეჭვო საპროცენტო მოთხოვნები.

33. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2212) აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საეჭვო საპროცენტო მოთხოვნები.

34. ანგარიში – არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები (1-19-2220) მოიცავს: არასაბიუჯეტო (საკუთარი)სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნებს და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნებს.

35. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხების ანარიცხები“ (1-19-2221) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საეჭვო საპროცენტო მოთხოვნები.

36. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2222) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საეჭვო საპროცენტო მოთხოვნები.

37. ანგარიშზე – „ანგარიშების, დეპოზიტების და სხვა ფინანსური აქტივების საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2230) აღირიცხება ანგარიშებზე,

დეპოზიტებიდან და სხვა ფინანსური აქტივებიდან მისაღებ პროცენტებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საეჭვო მოთხოვნები.

38. ანგარიშზე – „ფინანსური იჯარის საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2240) აღირიცხება ფინანსური იჯარით გაცემულ აქტივებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საეჭვო საპროცენტო მოთხოვნები.

39. ანგარიში – პროცენტებთან დაკავშირებული ჯარიმების, სანქციების და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები (1-19-2250) მოიცავს: ეროვნულ ვალუტაში პროცენტებთან დაკავშირებული ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2251) და უცხოურ ვალუტაში პროცენტებთან დაკავშირებული ჯარიმების, სანქციების და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხების (1-19-2252) ანგარიშებს.

40. ანგარიშზე – „ეროვნულ ვალუტაში პროცენტებთან დაკავშირებული ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2251) აღირიცხება პროცენტებთან დაკავშირებით ეროვნულ ვალუტაში წარმოქმნილი საეჭვო საჯარიმო მოთხოვნები.

41. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში პროცენტებთან დაკავშირებული ჯარიმების, სანქციების და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2252) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში პროცენტებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საეჭვო მოთხოვნები ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით.

42. ანგარიში – სხვა ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები (1-19-2260) მოიცავს: ეროვნულ ვალუტაში სხვა ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხებს (1-19-2261) და უცხოურ ვალუტაში სხვა ჯარიმების, სანქციების და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხების (1-19-2262) ანგარიშებს.

43. ანგარიშზე – „ეროვნულ ვალუტაში სხვა ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2261) აღირიცხება პროცენტებთან დაკავშირებით ეროვნულ ვალუტაში წარმოქმნილი საეჭვო საჯარიმო მოთხოვნები.

44. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში სხვა ჯარიმების, სანქციების და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები“ (1-19-2262) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში პროცენტებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საეჭვო მოთხოვნები ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით.

45. ანგარიშზე – საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები (1-19-2300) აღირიცხება ერთეულის მიერ საქონლისა და მომსახურების გაყიდვის შედეგად წარმოქმნილი საეჭვო მოთხოვნები.

45[1]. ანგარიშზე – „სხვა დანარჩენი საეჭვო მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების ანარიცხები“ (1-19-2400) აღირიცხება ისეთი საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები, რომლებიც ასახული არ არის სხვა საეჭვო დებიტორული დავალიანებების ანარიცხების ანგარიშებზე.

46. ანგარიში – მატერიალური მარაგების აკუმულირებული ღირებულების შემცირება (1-19-3000) მოიცავს: მასალების და მარაგების (1-19-3100), დაუსრულებელი წარმოების (1-19-3200), მზა პროდუქციის (1-19-3300), გასაყიდად ფლობილი საქონლის (1-19-3400) და სამხედრო მარაგების (1-19-3500) აკუმულირებული ღირებულების შემცირების ანგარიშებს.

47. ანგარიში – მასალები და მარაგების აკუმულირებული ღირებულების შემცირება (1-19-3100) მოიცავს: ნედლეულისა და მასალების (1-19-3110); სხვა მასალების და მარაგების (1-19-3140) აკუმულირებული ღირებულების შემცირების ანგარიშებს;

48. ანგარიშზე – „ნედლეულისა და მასალების აკუმულირებული ღირებულების შემცირება“ (1-19-3110) აღირიცხება წარმოებისა და მომსახურების პროცესში გამოყენებული ნედლეულისა და მასალების აკუმულირებული ღირებულების შემცირება.

49. ანგარიში – სხვა მასალების და მარაგების აკუმულირებული ღირებულების შემცირება“ (1-19-3140) მოიცავს: მცირეფასიანი აქტივების (1-19-3141) და სხვა დანარჩენი მასალებისა და მარაგების (1-19-3142) აკუმულირებულ ღირებულების შემცირებას.

50. ანგარიშზე – „მცირეფასიანი აქტივების აკუმულირებული ღირებულების შემცირება“ (1-19-3141) აღირიცხება მცირეფასიანი აქტივების აკუმულირებული ღირებულების შემცირება.

51. ანგარიშზე – „სხვა დანარჩენი მასალებისა და მარაგების აკუმულირებული ღირებულების შემცირება“ (1-19-3142) აღირიცხება სხვა მასალებისა და მარაგების აკუმულირებული ღირებულების შემცირება.

52. ანგარიშზე – „დაუსრულებელი წარმოების აკუმულირებული ღირებულების შემცირება“ (1-19-3200) აღირიცხება დაუსრულებელ წარმოებასთან დაკავშირებით აკუმულირებული ღირებულების შემცირება.

53. ანგარიშზე – „მზა პროდუქციის აკუმულირებული ღირებულების შემცირება“ (1-19-3300) აღირიცხება მზა პროდუქციასთან დაკავშირებით აკუმულირებული ღირებულების შემცირება.

54. ანგარიშზე – „გასაყიდად ფლობილი საქონლის აკუმულირებული ღირებულების შემცირება“ (1-19-3400) აღირიცხება გასაყიდად ფლობილ საქონელთან დაკავშირებით აკუმულირებული ღირებულების შემცირება.

55. ანგარიშზე – „სამხედრო მარაგების აკუმულირებული ღირებულების შემცირება“ (1-19-3500) აღირიცხება სამხედრო მარაგებთან დაკავშირებით აკუმულირებული ღირებულების შემცირება.

56. ანგარიშზე – წინასწარი გადახდების და სხვა არაფულადი მოთხოვნების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-4000) მოიცავს საქონლისა და მომსახურების შესაძენად წინასწარი გადახდებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნების (1-19-4100), გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნების (1-19-4200), ტრანსფერის უფლების მოკლევადიან (მიმდინარე) აქტივის (1-19-4300), არაფინანსური აქტივების გადაცემით მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნების (1-19-4400), ბარტერული ოპერაციებიდან მისაღები აქტივებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნების (1-19-4500), ტრანსფერულ შემოსავლებთან დაკავშირებით მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნების (1-19-4600) და არაფინანსური აქტივების დანაკლისით მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნების (1-19-4700) აკუმულირებული გაუფასურების ზარალს.

57. ანგარიშზე – „საქონლისა და მომსახურების შესაძენად წინასწარი გადახდებით მოკლევადიანი(მიმდინარე) მოთხოვნების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-19-4100) აღირიცხება საქონლისა და მომსახურების შესაძენად გადახდილი წინასწარი გადახდების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

58. ანგარიშზე – „გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-19-4200) აღირიცხება გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი წინასწარი გადახდების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

59. ანგარიშზე – ტრანსფერის უფლების მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-4300) აღირიცხება ტრანსფერის უფლების მოკლევადიანი აქტივის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

60. ანგარიშზე – არაფინანსური აქტივების გადაცემით მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-4400) აღირიცხება არაფინანსური აქტივების გადაცემით მოკლევადიან არაფულად მოთხოვნებთან დაკავშირებით აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

61. ანგარიშზე – ბარტერული ოპერაციებიდან მისაღები აქტივებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-4500) აღირიცხება ბარტერული ოპერაციებიდან მისაღები აქტივების გადაცემით მოკლევადიან არაფულად მოთხოვნებთან დაკავშირებით აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

62. ანგარიშზე – ტრანსფერულ შემოსავლებთან დაკავშირებით მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-4600) აღირიცხება ტრანსფერული ოპერაციებით წარმოქმნილ შემოსავლებთან დაკავშირებით მოკლევადიანი არაფულადი მოთხოვნების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

63. ანგარიშზე – არაფინანსური აქტივების დანაკლისით მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-19-4700) აღირიცხება არაფინანსური აქტივების დანაკლისით მოკლევადიანი არაფულადი მოთხოვნების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 20.10.2026 წ.

მუხლი 12. გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

1. ანგარიში – გრძელვადიანი ფინანსური აქტივები (1-21-0000) მოიცავს: ერთ წელზე მეტი ვადით გაცემულ კრედიტებს და სესხებს (1-21-1000); ინვესტიციებს წილობრივ ინსტრუმენტებში (1-21-2000); სხვა გრძელვადიან ფინანსურ აქტივებს (1-21-3000); სხვა გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებს, არაფულად მოთხოვნებს და ტრანსფერის უფლების გრძელვადიან აქტივს (1-21-4000) და გრძელვადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების აკუმულირებული ღირებულების შემცირებას (1-21-5000).

2. ანგარიში – ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტები და სესხები (1-21-1000) მოიცავს საბიუჯეტო სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემულ კრედიტებს და სესხებს (1-21-1100) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემულ კრედიტებს და სესხებს (1-21-1200).

3. ანგარიში – საბიუჯეტო სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტები და სესხები (1-21-1000) მოიცავს საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემულ კრედიტებს და სესხებს (1-21-1110) და საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემულ კრედიტებს და სესხებს (1-21-1120).

4. ანგარიშზე – საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტები და სესხები (1-21-1110) აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტები და სესხები.

5. ანგარიშზე – საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტები და სესხები (1-21-1120) აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტები და სესხები.

6. ანგარიში – არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტები და სესხები (1-21-1200) მოიცავს არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემულ კრედიტებს და სესხებს (1-21-1210) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემულ კრედიტებს და სესხებს (1-21-1220).

7. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტები და სესხები“ (1-21-1210) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში გაცემული გრძელვადიანი სესხები ეროვნულ ვალუტაში.

8. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტები და სესხები“ (1-21-1220) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში გაცემული გრძელვადიანი სესხები უცხოურ ვალუტაში.

9. ანგარიშზე – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ (1-21-2000) აღირიცხება სახელმწიფო ერთეულების მფლობელობაში არსებული გრძელვადიანი აქციები და სხვა კაპიტალი, ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა და სხვა.

10. ანგარიშზე – „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები“ (1-21-3000) აღირიცხება სესხების გარდა სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები.

11. ანგარიში – სხვა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები, არაფულადი მოთხოვნები და ტრანსფერის უფლების გრძელვადიანი აქტივი (1-21-4000) მოიცავს: ფინანსური იჯარიდან გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებს (1-21-4100); გრძელვადიან ფულად და არაფულად მოთხოვნებს ტრანსფერულ შემოსავლებთან დაკავშირებით (1-21-4200), სხვა დანარჩენ გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებს და არაფულად მოთხოვნებს (1-21-4300) და ტრანსფერის უფლების გრძელვადიან აქტივს (1-21-4400).

11^1. ანგარიშზე – ფინანსური იჯარიდან გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები (1-21-4100) აღირიცხება ფინანსური იჯარით გაცემული აქტივებით წარმოქმნილი გრძელვადიანი ფინანსური მოთხოვნები.

11^2. ანგარიშზე – გრძელვადიანი ფულადი და არაფულადი მოთხოვნები ტრანსფერულ შემოსავლებთან დაკავშირებით (1-21-4200) აღირიცხება გრძელვადიანი ფულადი და არაფულადი მოთხოვნები წარმოქმნილი ტრანსფერულ შემოსავლებთან დაკავშირებით.

11^3. ანგარიშზე – სხვა დანარჩენი გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები და არაფულადი მოთხოვნები (1-21-4300) აღირიცხება ისეთი დებიტორული დავალიანებები და არაფულადი მოთხოვნები, რომელთა ასახვა გათვალისწინებული არ არის გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებების და მოთხოვნების სხვა ანგარიშებზე.

11[4]. ანგარიშზე – ტრანსფერის უფლების გრძელვადიანი აქტივი (1-21-4400) აღირიცხება ტრანსფერის უფლების გრძელვადიანი აქტივი, სავალდებულო შეთანხმების შედეგად წარმოქმნილი ერთი ან მეტი ტრანსფერის უფლების არსებობისთვის.

12. ანგარიში – გრძელვადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-21-5000) მოიცავს: ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (1-21-5100); წილობრივი ინსტრუმენტების აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (1-21-5200); გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხების (1-21-5300) და სხვა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებების, არაფულადი მოთხოვნების და ტრანსფერის უფლების გრძელვადიანი აქტივის (1-21-5400) აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ანგარიშებს.

13. ანგარიში – ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-21-5100) მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-21-5110) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-21-5120).

14. ანგარიში – საბიუჯეტო სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-21-5110) მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-21-5111) და საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-21-5112).

15. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-21-5111) აღირიცხება საბუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემულ კრედიტებთან და სესხებთან დაკავშირებული აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

16. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-21-5112) აღირიცხება საბუჯეტო საქმიანობის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემულ კრედიტებთან და სესხებთან დაკავშირებული აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

17. ანგარიში –არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი (1-21-5120) მოიცავს: არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით

გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-21-5121) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებულ გაუფასურების ზარალს (1-21-5122).

18. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-21-5121) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემულ კრედიტებთან და სესხებთან დაკავშირებული აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

19. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-21-5122) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემულ კრედიტებთან და სესხებთან დაკავშირებული აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

20. ანგარიშზე – „წილობრივი ინსტრუმენტების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-21-5200) აღირიცხება წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

21. ანგარიშზე – „გრძელვადიანი საეჭვო დებიტორული დავალიანებების ანარიცხები“ (1-21-5300) აღირიცხება გრძელვადიანი საეჭვო დებიტორული დავალიანებები.

22. ანგარიშზე – სხვა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებების, არაფულადი მოთხოვნების და ტრანსფერის უფლების გრძელვადიანი აქტივის გაუფასურების ზარალი (1-21-5400) – აღირიცხება სხვა გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებთან, არაფულად მოთხოვნებთან და ტრანსფერის უფლების გრძელვადიან აქტივთან დაკავშირებული აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 20.10.2026 წ.

მუხლი 13. ძირითადი აქტივები

1. ანგარიში – ძირითადი აქტივები (1-22-0000) მოიცავს: შენობა-ნაგებობებს, საკუთარი მიზნებისთვის (1-22-1000); მანქანა-დანადგარებს და ინვენტარს (1-22-2000) და კულტივირებულ მცენარეებს და ცხოველებს (1-22-3000).

2. ანგარიში – შენობა-ნაგებობები, საკუთარი მიზნებისთვის (1-22-1000) მოიცავს საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებულ შემდეგ აქტივებს: საცხოვრებელი დანიშნულების შენობებს (1-22-

1100); არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებს (1-22-1200); სხვა ნაგებობებს (1-22-1300); მიწის გაუმჯობესებას (1-22-1400); მიწას (1-22-1500.).

3. ანგარიშზე – „საცხოვრებელი დანიშნულების შენობები, საკუთარი მიზნებისათვის“ (1-22-1100) აღირიცხება საკუთარი მიზნებისთვის გამოსაყენებელი ისეთი შენობები, რომლებიც მთლიანად ან უმთავრესად საცხოვრებელი მიზნებისათვის გამოიყენება.

4. ანგარიშზე – „არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები, საკუთარი მიზნებისათვის“ (1-22-1200) აღირიცხება საკუთარი მიზნებისთვის გამოსაყენებელი ისეთი შენობები, რომლებიც არ წარმოადგენენ საცხოვრებელ შენობებს (საოფისე, ადმინისტრაციული შენობები, სკოლები, საავადმყოფოები, საზოგადოებრივი გართობის შენობები, საწყობები, საწარმოო შენობები, სავაჭრო შენობები, სასტუმროები, რესტორნები და სხვ).

5. ანგარიშზე –„სხვა ნაგებობები, საკუთარი მიზნებისათვის“ (1-22-1300) აღირიცხება საკუთარი მიზნებისთვის გამოსაყენებელი შენობების გარდა სხვა ნაგებობები (საგზაო მაგისტრალები, ქუჩები, გზები, ხიდები, გვირაბები და ა.შ).

6. ანგარიშზე – „მიწის გაუმჯობესება, საკუთარი მიზნებისათვის“ (1-22-1400) აღირიცხება საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული მიწის ის აქტივობები, რის შედეგად ხდება მიწის ხარისხობრივი, რაოდენობრივი ან პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ან აქტივობები, რომლებიც მიწის გაუარესებას უშლის ხელს (მიწის მელიორაცია, ჭაბურღილებისა და სარწყავი არხების მოწყობა, მიწის განახლება, შემოსაზღვრა და სხვ.)

7.ანგარიშზე – „მიწა, საკუთარი მიზნებისათვის“ (1-22-1500) აღირიცხება საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული მიწები, გრუნტის სახით, ნიადაგის საფარით და მასთან დაკავშირებული ზედაპირული წყლებისა და მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ჩათვლით, რომელთა მიწისგან ფიზიკური განცალკევება შეუძლებელია.

8. ანგარიში – მანქანა-დანადგარები და ინვენტარი (1-22-2000) მოიცავს: სატრანსპორტო საშუალებებს (1-22-2100); სხვა მანქანა-დანადგარებს და ინვენტარს (1-22-2200); სამხედრო იარაღის სისტემებს (1-22-2300).

9. ანგარიშზე – „სატრანსპორტო საშუალებები“ (1-22-2100) აღირიცხება ყველა სახის (მექანიკური და ელექტრონული) მიმოსვლის საშუალება, რომელიც განკუთვნილია ხალხის გადასაყვანად, ტვირთის გადასაზიდად, ასევე სპეციალური ტექნიკა, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში და ა.შ.

10. ანგარიში – სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი (1-22-2200) მოიცავს: საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარებს, ავეჯს და აღჭურვას (1-22-2210) და სხვა დანარჩენ მანქანა-დანადგარებს და ინვენტარს (1-22-2220).

11. ანგარიზე – „საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარები, ავეჯი და აღჭურვა“ (1-22-2210) აღირიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციის არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის „საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარების, ავეჯის და აღჭურვის“ მუხლით განსაზღვრული აქტივები.

12. ანგარიშზე – „სხვა დანარჩენი მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ (1-22-2220) აღირიცხება ისეთი მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომლებიც არ აღირიცხება მანქანა-დანადგარების და ინვენტარის სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ანგარიშებზე.

13. ანგარიშზე – „სამხედრო იარაღის სისტემები“ (1-22-2300) აღირიცხება საბრძოლო შემადგენლობის და სხვა აღჭურვის აქტივები, რომლებიც გამოიყენება თავდაცვის მომსახურების მიწოდების მიზნით, თუნდაც სამშვიდობო პერიოდში და რომელთა გამოყენება შესაძლებელია არაერთხელ ან განგრძობითად, ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით (საომარი ხომალდები, წყალქვეშა ნავები, სამხედრო თვითმფრინავები, ტანკები, სარაკეტო გადამზიდავები, სატყორცნი დანადგარები და სხვ.)

14. ანგარიშზე – „კულტივირებული მცენარეები და ცხოველები“ (1-22-3000) აღირიცხება ცხოველები, მცენარეები, ხეები და ნარგავები, რომლებიც გამოიყენება მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სხვა საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად (ხეები, ვენახები და ბუჩქნარები, რომლებიც კულტივირდება ხილის, თხილის, ფისისა და მერქნის მოსაყვანად, სახელმწიფო ერთეულების ზედამხედველობის, კონტროლისა და მმართველობის ქვეშ ცხოველები, სამსახურებრივი დანიშნულების ცხოველები და სხვ.).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020წ.

მუხლი 14. საინვესტიციო ქონება

1. ანგარიში – საინვესტიციო ქონება (1-23-0000) მოიცავს საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებულ შემდეგ აქტივებს: საცხოვრებელი დანიშნულების შენობებს (1-23-1000); არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებს (1-23-2000); სხვა ნაგებობებს (1-23-3000); მიწის გაუმჯობესებას (1-23-4000) და მიწას (1-23-5000).

2. ანგარიშზე – „საცხოვრებელი დანიშნულების შენობები, კლასიფიცირებული საინვესტიციო ქონებად“ (1-23-1000) აღირიცხება იჯარით გასაცემად ან კაპიტალის ნაზრდის მისაღებად ფლობილი ისეთი შენობები, რომლებიც მთლიანად ან უმთავრესად საცხოვრებელი მიზნებისათვის გამოიყენება.

3. ანგარიშზე – „არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები, კლასიფიცირებული საინვესტიციო ქონებად“ (1-23-2000) აღირიცხება იჯარით გასაცემად ან კაპიტალის ნაზრდის მისაღებად ფლობილი ისეთი შენობები, რომლებიც არ კლასიფიცირდება საცხოვრებელ

შენობებად (საოფისე, ადმინისტრაციული შენობები, სკოლები, საავადმყოფოები, საზოგადოებრივი გართობის შენობები, საწყობები, საწარმოო შენობები, სავაჭრო შენობები, სასტუმროები და რესტორნები და სხვ).

4. ანგარიშზე – „სხვა ნაგებობები, კლასიფიცირებული საინვესტიციო ქონებად“ (1-23-3000) - აღირიცხება იჯარით გასაცემად ან კაპიტალის ნაზრდის მისაღებად ფლობილი შენობების გარდა სხვა ნაგებობები (საგზაო მაგისტრალები, ქუჩები, გზები, ხიდები, გვირაბები და ა.შ).

5. ანგარიშზე – „მიწის გაუმჯობესება, კლასიფიცირებული საინვესტიციო ქონებად“ (1-23-4000) - აღირიცხება იჯარით გასაცემად ან კაპიტალის ნაზრდის მისაღებად ფლობილი მიწის ის აქტივობები, რის შედეგად ხდება მიწის ხარისხობრივი, რაოდენობრივი ან პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ან აქტივობები, რომლებიც მიწის გაუარესებას უშლის ხელს (მიწის მელიორაცია, ჭაბურღილებისა და სარწყავი არხების მოწყობა, მიწის განახლება, შემოსაზღვრა და სხვ.).

6. ანგარიშზე – „მიწა, კლასიფიცირებული საინვესტიციო ქონებად“ (1-23-5000) - აღირიცხება იჯარით გასაცემად ან კაპიტალის ნაზრდის მისაღებად ფლობილი აქტივი გრუნტის სახით, ნიადაგის საფარით და მასთან დაკავშირებული ზედაპირული წყლებისა და მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ჩათვლით, რომელთა მიწისგან ფიზიკური განცალკევება შეუძლებელია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.

მუხლი 15. არამატერიალური აქტივები

1. ანგარიში – არამატერიალური აქტივები (1-24-0000) მოიცავს: ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს (1-24-1000) და არამატერიალურ არაწარმოებულ აქტივებს (1-24-2000) .

2. ანგარიში – ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები (1-24-1000) მოიცავს: კვლევას და განვითარებას (1-24-1100); მინერალური წიაღისეულის ძიებას და შეფასებებს (1-24-1200); კომპიუტერულ პროგრამებს და მონაცემთა ბაზებს (1-24-1300); გასართობ, ლიტერატურულ და მხატვრულ ორიგინალ ნიმუშებს (1-24-1400) და ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტებს (1-24-1500).

3. ანგარიშზე – „კვლევა და განვითარება“ (1-24-1100) – აღირიცხება სისტემატური შემოქმედებითი სამუშაოს ღირებულება ცოდნის ამაღლების მიზნით, რომელიც შეიძლება იყოს ეკონომიკური სარგებლის მომტანი მომავალში.

4. ანგარიშზე – „მინერალური წიაღისეულის ძიება და შეფასება“ (1-24-1200) აღირიცხება სატესტო ბურღვისა და მასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯები, როგორებიცაა პრელიცენზია, ლიცენზია, შეძენის და შეფასების ხარჯები, საჰაერო და სხვა სახის დათვალიერების

ღირებულება, ისევე როგორც ტრანსპორტირება და სხვა დანახარჯები, რაც კვლევის ჩასატარებლადაა საჭირო.

5. ანგარიში – კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები (1-24-1300) – მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს (1-24-1310) და მონაცემთა ბაზებს (1-24-1320).

6. ანგარიშზე – „კომპიუტერული პროგრამები“ (1-24-1310) აღირიცხება კომპიუტერული პროგრამების აღწერა და შესაბამისი მასალები სისტემებისა და აპლიკაციებისთვის, რომელიც ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით გამოიყენება.

7. ანგარიშზე „მონაცემთა ბაზები“ (1-24-1320) აღირიცხება კომპიუტერულად ორგანიზებული სახით მომზადებული მონაცემთა ერთობლიობა, რაც იძლევა მათი ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას.

8. ანგარიშზე – „გასართობი, ლიტერატურული და მხატვრული ორიგინალი ნიმუშები“ (1-24-1400) – აღირიცხება ფილმების ორიგინალები, ხმის ჩაწერა, ხელნაწერები, ფირები და მოდელები, სადაც დრამატული ნაწარმოებები, რადიო და სატელევიზიო პროგრამები, მუსიკალური სპექტაკლები, სპორტული ღონისძიებები და ლიტერატურული და სამსახიობო ნაწარმოებები.

9. ანგარიშზე – „ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტები“ (1-24-1500) – აღირიცხება ინტელექტუალური და საკუთრების სხვა პროდუქტები, რომლებიც არ აღირიცხება სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ანგარიშებზე.

10. ანგარიში – არამატერიალური არაწარმოებული აქტივები (1-24-2000) მოიცავს: ხელშეკრულებებს, იჯარას და ლიცენზიებს (1-24-2100) და გუდვილს (1-24-2200).

11. ანგარიში – ხელშეკრულებები, იჯარა და ლიცენზიები (1-24-2100) მოიცავს: ბაზარზე გაყიდვად საოპერაციო იჯარების (1-24-2110); ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნებართვების (1-24-2120); სპეციფიკური საქმიანობების განხორციელების ნებართვების (1-24-2130) და მომავალში საქონელსა და მომსახურებაზე ექსკლუზიური უფლებების (1-24-2140) ანგარიშებს.

12. ანგარიშზე – „ბაზარზე გაყიდვადი საოპერაციო იჯარები“ (1-24-2110) აღირიცხება საოპერაციო იჯარით აღებული აქტივის მოიჯარის მიერ ქვეიჯარის პირობით გაცემასთან დაკავშირებული უფლებები, რომლებიც იყიდება ბაზარზე.“

13. ანგარიშზე – „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნებართვები“ (1-24-2120) აღირიცხება ბუნებრივი აქტივების წვდომაზე, მათ მოპოვებასა და მოხმარებაზე ნებართვები და ლიცენზიები.

14. ანგარიშზე – „სპეციფიური საქმიანობების განხორციელების ნებართვები“ (1-24-2130) აღირიცხება სპეციფიკური საქმიანობების განხორციელების მიზნით მიღებული შესაბამისი ნებართვები.

15. ანგარიშზე – „მომავალში საქონელსა და მომსახურებაზე ექსკლუზიური უფლებები“ (1-24-2140) აღირიცხება მომავალში საქონლისა და მომსახურების ექსკლუზიური პირობებით მიღებაზე/გაცემაზე უფლებები.

16. ანგარიშზე – „გუდვილი“ (1-24-2200) აღირიცხება ერთეულის შესაძენად გადახდილ თანხასა და წმინდა აქტივების/კაპიტალის ღირებულებას შორის სხვაობა, რომელიც ასახავს კორპორაციის სტრუქტურის ღირებულებას და ბიზნესის აწყობილი სამუშაო ძალის, მართვის, კორპორატიული კულტურის, დისტრიბუციის ქსელის და მომხმარებელთა ბაზის ღირებულებას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.

მუხლი 16. შეღავათიანი მომსახურების აქტივები

1. ანგარიშზე – „შეღავათიანი მომსახურების აქტივები“ (1-25-0000) აღირიცხება შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებებში საზოგადოებრივი მომსახურების გასაწევად ერთეულის მიერ გამოყენებული აქტივები.

მუხლი 17. ფინანსური იჯარის ფარგლებში მიღებული აქტივები

1. ანგარიშზე – „ფინანსური იჯარის ფარგლებში მიღებული აქტივები“ (1-26-0000) აღირიცხება ერთეულის მიერ ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები.

მუხლი 18. სხვა არაფინანსური აქტივები

1. ანგარიში – „სხვა არაფინანსური აქტივები“ (1-27-0000) მოიცავს: ფასეულობებს (1-27-1000); მატერიალურ არაწარმოებულ აქტივებს, გარდა მიწისა (1-27-2000); მემკვიდრეობით აქტივებს (1-27-3000); დაუმთავრებელ და გასაყიდად გამიზნულ/გადასაცემ აქტივებს (1-27-4000); არაწარმოებული აქტივების (გარდა მიწისა) საკუთრების უფლების გადაცემის ხარჯებს (1-27-5000) და იჯარით აღებული აქტივის გამოყენების უფლებას (1-27-6000).

2. ანგარიში – „ფასეულობები“ (1-27-1000) მოიცავს: ძვირფას ქვებსა და ლითონებს (1-27-1100); ხელოვნების ნიმუშებს (1-27-1200) და სხვა ფასეულობებს (1-27-1300).

3. ანგარიშზე – „ძვირფასი ქვები და ლითონები“ (1-27-1100) აღირიცხება ისეთი ფასეულობები, რომლებიც არ არის განკუთვნილი წარმოების პროცესში მოხმარებისათვის, შუალედური რესურსის სახით (ალმასი, არამონეტარული ოქრო, პლატინა, ვერცხლი და ა. შ).

4. ანგარიშზე – „ხელოვნების ნიმუშები“ (1-27-1200) აღირიცხება ნახატები, ქანდაკებები და სხვა, რაც ხელოვნების ნიმუშად ან ანტიკვარიატადაა აღიარებული.

5. ანგარიშზე – „სხვა ფასეულობები“ (1-27-1300) აღირიცხება ძვირფასი ქვებისა და ლითონებისაგან დამზადებული მაღალი ღირებულების საიუველირო ნაწარმი, კოლექციები და სხვა ფასეულობები.

6. ანგარიში – მატერიალური არაწარმოებული აქტივები, გარდა მიწისა (1-27-2000) მოიცავს: მინერალურ და ენერგორესურსებს (1-27-2100) და სხვა ბუნებრივად წარმოქმნილ აქტივებს (1-27-2200).

7. ანგარიშზე – „მინერალური და ენერგორესურსები“ (1-27-2100) აღირიცხება ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ნახშირის (ანტრაციტის, ბიტუმი და მურა ნახშირის ჩათვლით), ლითონის მადანის (შავი, ფერადი და ძვირფასი ლითონის ჩათვლით) და სასარგებლო არამადნეული წიაღისეულის (ქვისსატეხების, თიხისა და სილის კარიერების, ქიმიური ნივთიერებებისა და სასუქების საბადოების, მარილის, კვარცის, თაბაშირის, ბუნებრივი ძვირფასი ქვების, ბიტუმის, ტორფის და სხვა საბადოების ჩათვლით) დადასტურებული მარაგები.

8. ანგარიში – სხვა ბუნებრივად წარმოქმნილი აქტივები (1-27-2200) მოიცავს არაკულტივირებულ ბიოლოგიურ რესურსებს (1-27-2210); წყლის რესურსებს (1-27-2220) და სხვა ბუნებრივ რესურსებს (1-27-2230).

9. ანგარიშზე – „არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსები“ (1-27-2210) აღირიცხება ცხოველები და მცენარეები, რომლებზეც შეიძლება საკუთრების უფლების დაწესება და დაცვა, მაგრამ მათი ბუნებრივი ზრდა ან/და განახლება (რეგენერაცია), რომელიმე სახელმწიფო ერთეულის უშუალო კონტროლის, პასუხისმგებლობისა და მართვის ქვეშ არ იმყოფება (ხელუხლებელი ტყეები და თევზის მარაგები, რომელთა კომერციული ექსპლუატაციაც შესაძლებელია და სხვ.).

10. ანგარიშზე – „წყლის რესურსები“ (1-27-2220) აღირიცხება გრუნტისა და სხვა მიწისქვეშა წყლების ის რესურსები, რომლებიც საკმაოდ დეფიციტურია იმისათვის, რომ გამართლებული იყოს მათზე საკუთრების უფლების დაწესება და/ან გამოყენება. ასეთი რესურსები ეკონომიკური მიზნებისათვის გამოიყენება ან მათი გამოყენება უახლოეს მომავალშია შესაძლებელი. აგრეთვე, მათ გააჩნიათ ეკონომიკური ღირებულება, რომელიც მიწის ღირებულებაში არ შედის.

11. ანგარიში – „სხვა ბუნებრივი რესურსები“ (1-27-2230) მოიცავს რადიოსიხშირულ სპექტრს (1-27-2231) და ბუნებრივ რესურსებს, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (1-27-2232).

12. ანგარიშზე – „რადიოსიხშირული სპექტრი“ (1-27-2231) აღირიცხება არაწარმოებული აქტივები, რომლებიც დაკავშირებულია რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობასთან.

13. ანგარიშზე – „ბუნებრივი რესურსები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ (1-27-2232) – აღირიცხება ისეთი ბუნებრივი რესურსები, რომლებიც არ აისახება ბუნებრივი რესურსების სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ანგარიშებზე.

14. ანგარიში – „მემკვიდრეობითი აქტივები“ (1-27-3000) მოიცავს კულტურულ/ისტორიულ/ ეკოლოგიურ აქტივებს (1-27-3100), რომელზეც აღირიცხება ისეთი აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ მემკვიდრეობის აქტივებს მათი კულტურული, ეკოლოგიური ან ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე.

15. ანგარიში – „დაუმთავრებელი და გასაყიდად გამიზნული/გადასაცემი აქტივები“ (1-27-4000) მოიცავს დაუმთავრებელ მშენებლობას (1-27-4100); აქტივებს, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემადაა მიღებული/განკუთვნილი (1-27-4200), საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებით გაუმჯობესებას (1-27-4300), გასაყიდ გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებს (1-27-4400), ზრდის პროცესში მყოფ ბიოლოგიურ აქტივებს (1-27-4500) და დაუმთავრებელ არამატერიალურ აქტივებს (1-27-4600).

16. ანგარიშზე – „დაუმთავრებელი მშენებლობა“ (1-27-4100) აღირიცხება ის აქტივები, რომელთა მშენებლობა ან სხვა ფორმით შექმნა დაწყებულია და ჯერ არ არის დასრულებული.

17. ანგარიშზე – „აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემადაა მიღებული/განკუთვნილი“ (1-27-4200)“ აღირიცხება ისეთი აქტივები, რომლებზეც საკუთრების უფლება (ეკონომიკური ან იურიდიული) ჯერ არ არის მოპოვებული ან აქტივები, რომლებიც მიღებულია დროებით, სხვა ერთეულებზე გადასაცემად ან აქტივები, რომლებიც განკუთვნილია სხვა ერთეულებზე გადასაცემად.

18. ანგარიშზე – „საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება“ (1-27-4300) აღირიცხება საოპერაციო იჯარით აღებული აქტივების არსებით გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები.

19. ანგარიშზე – „გასაყიდი გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები“ (1-27-4400) მოიცავს: გასაყიდად ან გასანაწილებლად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს და გამსვლელ ჯგუფს(1-27-4410) და ამორტიზირებულ და გამოუყენებელ გრძელვადიან სარეალიზაციო არაფინანსურ აქტივებს (1-27-4420).

20. ანგარიშზე – „გასაყიდად ან გასანაწილებლად გამიზნული გრძელვადიანი აქტივი და გამსვლელი ჯგუფი“ (1-27-4410) აღირიცხება: ა) გასაყიდად განკუთვნილი აქტივი (გამსვლელი ჯგუფი), თუ მისი საბალანსო ღირებულება ძირითადად ანაზღაურდება გაყიდვის გზით და არა მისი შემდგომი გამოყენებით; ბ)მესაკუთრეებზე გასანაწილებლად განკუთვნილი

აქტივები, როდესაც ერთეული იღებს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) მესაკუთრეებზე განაწილების ვალდებულებას.

21. ანგარიშზე – „ამორტიზირებული და გამოუყენებელი გრძელვადიანი სარეალიზაციო არაფინანსური აქტივები“ (1-27-4420) აღირიცხება ისეთი გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები, რომლებიც გამოსულია აქტიური მოხმარებიდან, გამიზნულია გასაყიდად და არ აკმაყოფილებს „გასაყიდად ან გასანაწილებლად გამიზნული გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების განმარტებას.

22. ანგარიშზე – „ზრდის პროცესში მყოფი ბიოლოგიური აქტივები“ (1-27-4500) აღირიცხება ზრდის პროცესში მყოფი როგორც კულტივირებული და არაკულტივირებული ბიოლოგიური აქტივები (მცენარეები და ცხოველები), ასევე, ზრდის პროცესში მყოფი სხვა დანარჩენი მანქანა-დანადგარების ანგარიშზე აღრიცხული სამსახურებრივი მცენარეები და ცხოველები, მათ სრულწლოვანებამდე, ამასთან, ზრდის პროცესში მყოფ ბიოლოგიურ აქტივებს ცვეთა არ ერიცხებათ.

23. ანგარიშზე – „დაუმთავრებელი არამატერიალური აქტივი“ (1-27-4600) აღირიცხება განვითარების ეტაპზე მყოფი არამატერიალური აქტივი. ამასთან, დაუმთავრებელ არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხებათ.

24. ანგარიშზე – „არაწარმოებული აქტივების (გარდა მიწისა) საკუთრების უფლების გადაცემის ხარჯები“ (1-27-5000) აღირიცხება მიწის გარდა სხვა არაწარმოებული აქტივების საკუთრების გადაცემის დანახარჯები.

25. ანგარიშზე – „იჯარით აღებული აქტივის გამოყენების უფლება“ (1-27-6000) აღირიცხება აქტივის გამოყენების უფლება, რომელიც არის ერთეულის, როგორც მოიჯარის, უფლება გამოიყენოს ძირითადი აქტივი იჯარის ვადის განმავლობაში (ვრცელდება 2026 წლის 1 იანვრიდან გაფორმებულ საიჯარო ხელშეკრულებებზე, როდესაც ხელშეკრულების მეორე მხარეს წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №355 - ვებგვერდი, 31.12.2025 წ.

მუხლი 19. აკუმულირებული ცვეთა/ამორტიზაცია

1. აკუმულირებული ცვეთა/ამორტიზაცია გულისხმობს აქტივის გამოსაყენებლად ხელმისაწვდომობის შემდეგ სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთის (ამორტიზაციის) პროპორციულად, სისტემატურ საფუძველზე დარიცხვის შედეგად წარმოქმნილ მთლიან ღირებულებას.

2. ანგარიში – „აკუმულირებული ცვეთა/ამორტიზაცია“ (1-28-0000) მოიცავს საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული შენობა-ნაგებობების (1-28-1000); მანქანა-დანადგარების და ინვენტარის (1-28-2000); კულტივირებული ცხოველების და მცენარეების (1-28-3000); საინვესტიციო ქონების (1-28-4000); არამატერიალური აქტივების (1-28-5000); შეღავათიანი მომსახურების აქტივების (1-28-6000); ფინანსური იჯარის ქვეშ მყოფი აქტივების (1-28-7000) და სხვა არაფინანსური აქტივების (1-28-8000) აკუმულირებული ცვეთის ანგარიშებს.

3. ანგარიში – „საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული შენობა-ნაგებობების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-1000) – მოიცავს საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული შემდეგი აქტივების აკუმულირებული ცვეთის ანგარიშებს: საცხოვრებელი დანიშნულების შენობების (1-28-1100); არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობების (1-28-1200), სხვა ნაგებობების (1-28-1300) და მიწის გაუმჯობესების (1-28-1400).

4. ანგარიშზე – „საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული საცხოვრებელი დანიშნულების შენობების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-1100) აღირიცხება საცხოვრებელი დანიშნულების იმ შენობების აკუმულირებული ცვეთა, რომლებიც გამოიყენება საკუთარი მიზნებისთვის.

5. ანგარიშზე – „საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-1200) აღირიცხება არასაცხოვრებელი დანიშნულების იმ შენობების აკუმულირებული ცვეთა, რომლებიც გამოიყენება საკუთარი მიზნებისთვის (საოფისედ, სასაწყობედ და ა.შ).

6. ანგარიშზე – „საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული სხვა ნაგებობების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-1300) აღირიცხება საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული შენობების გარდა სხვა ნაგებობების აკუმულირებული ცვეთა.

7. ანგარიშზე – „საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული მიწის გაუმჯობესების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-1400) აღირიცხება საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული მიწის გაუმჯობესების აკუმულირებული ცვეთა.

8. ანგარიში – „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ (1-28-2000) – მოიცავს: სატრანსპორტო საშუალებების (1-28-2100), სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის (1-28-2200) და სამხედრო იარაღის სისტემების (1-28-2300) აკუმულირებული ცვეთის ანგარიშებს.

9. ანგარიშზე – „სატრანსპორტო საშუალებების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-2100) აღირიცხება სატრანსპორტო საშუალებების აკუმულირებული ცვეთა.

10. ანგარიში – „სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-2200) მოიცავს: საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარების,

ავეჯის და აღჭურვის (1-28-2210) და სხვა დანარჩენი მანქანა-დანადგარების და ინვენტარის (1-28-2220) აკუმულირებული ცვეთის ანგარიშებს.

11. ანგარიშზე – საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარების, ავეჯის და აღჭურვის აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-2210) აღირიცხება საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარების, ავეჯის და აღჭურვის აკუმულირებული ცვეთა.

12. ანგარიშზე – „სხვა დანარჩენი მანქანა-დანადგარების და ინვენტარის აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-2220) აღირიცხება სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის აკუმულირებული ცვეთა.

13. ანგარიშზე – „სამხედრო იარაღის სისტემების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-2300) აღირიცხება სამხედრო იარაღის სისტემების აკუმულირებული ცვეთა.

14. ანგარიშზე – „კულტივირებული ცხოველების და მცენარეების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-3000) – აღირიცხება იმ ცხოველების და მცენარეების აკუმულირებული ცვეთა, რომლებიც გამოიყენება მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სხვა საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად.

15. ანგარიში – „საინვესტიციო ქონების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-4000) – მოიცავს საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული: საცხოვრებელი დანიშნულების შენობების (1-28-4100), არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობების (1-28-4200), სხვა ნაგებობების (1-28-4300) და მიწის გაუმჯობესების (1-28-4400) აკუმულირებულ ცვეთას.

16.ანგარიშზე – „საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული საცხოვრებელი დანიშნულების შენობების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-4100) აღირიცხება საინვესტიციო ქონების სახით არსებული საცხოვრებელი დანიშნულების შენობების აკუმულირებული ცვეთა.

17. ანგარიშზე – „საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-4200) აღირიცხება საინვესტიციო ქონების სახით არსებული არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობების აკუმულირებული ცვეთა.

18. ანგარიშზე – „საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული სხვა ნაგებობების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-4300) აღირიცხება საინვესტიციო ქონების სახით არსებული სხვა ნაგებობების აკუმულირებული ცვეთა.

19. ანგარიშზე –„საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული მიწის გაუმჯობესების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-4400) აღირიცხება საინვესტიციო ქონების სახით არსებული მიწის გაუმჯობესების აკუმულირებული ცვეთა.

20. ანგარიში – „არამატერიალური აქტივების აკუმულირებული ამორტიზაცია“ (1-28-5000) – მოიცავს კვლევის და განვითარების (1-28-5100), მინერალური წიაღისეულის ძიების და შეფასებების (1-28-5200), კომპიუტერული პროგრამების და მონაცემთა ბაზების (1-28-5300), გასართობი, ლიტერატურული და მხატვრული ორიგინალი ნიმუშების (1-28-5400) და ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტების (1-28-5500) აკუმულირებული ამორტიზაციის ანგარიშებს.

21. ანგარიშზე – „კვლევისა და განვითარების აკუმულირებული ამორტიზაცია“ (1-28-5100) აღირიცხება არამატერიალური აქტივის სახით არსებული კვლევისა და განვითარების აკუმულირებული ამორტიზაცია.

22. ანგარიშზე – „მინერალური წიაღისეულის ძიების და შეფასებების აკუმულირებული ამორტიზაცია“ (1-28-5200) აღირიცხება არამატერიალური აქტივის სახით არსებული მინერალური წიაღისეულის ძიებისა და შეფასებების აკუმულირებული ამორტიზაცია.

23. ანგარიში – კომპიუტერული პროგრამების და მონაცემთა ბაზების აკუმულირებული ამორტიზაცია (1-28-5300) – მოიცავს: კომპიუტერული პროგრამების (1-28-5310) და მონაცემთა ბაზების (1-28-5320) აკუმულირებული ამორტიზაციის ანგარიშებს.

24. ანგარიშზე – „კომპიუტერული პროგრამების აკუმულირებული ამორტიზაცია “(1-28-5310) აღირიცხება არამატერიალური აქტივის სახით არსებული კომპიუტერული პროგრამების აკუმულირებული ამორტიზაცია.

25. ანგარიშზე – „მონაცემთა ბაზების აკუმულირებული ამორტიზაცია“ (1-28-5320) აღირიცხება არამატერიალური აქტივის სახით არსებული კომპიუტერული მონაცემთა ბაზების აკუმულირებული ამორტიზაცია.

26. ანგარიშზე – „გასართობი, ლიტერატურული და მხატვრული ორიგინალი ნიმუშების აკუმულირებული ამორტიზაცია“ (1-28-5400) აღირიცხება არამატერიალური აქტივის სახით არსებული გასართობი, ლიტერატურული და მხატვრული ორიგინალი ნიმუშების აკუმულირებული ამორტიზაცია.

27. ანგარიშზე – „ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტების აკუმულირებული ამორტიზაცია“ (1-28-5500) აღირიცხება არამატერიალური აქტივის სახით არსებული ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტების აკუმულირებული ამორტიზაცია.

28. ანგარიშზე – „ხელშეკრულებების, იჯარისა და ლიცენზიების აკუმულირებული ამორტიზაცია“ (1-28-5600) მოიცავს: ბაზარზე გაყიდვადი საოპერაციო იჯარების (1-28-5610); ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნებართვების (1-28-5620); სპეციფიკური საქმიანობების განხორციელების ნებართვების (1-28-5630) და მომავალში საქონელსა და მომსახურებაზე ექსკლუზიური უფლებების (1-28-5640) აკუმულირებული ამორტიზაციების ანგარიშებს.

ანგარიშზე – „ბაზარზე გაყიდვადი საოპერაციო იჯარების აკუმულირებული ამორტიზაცია“ (1-28-5610) აღირიცხება ბაზარზე გაყიდვადი საოპერაციო იჯარის აკუმულირებული ამორტიზაცია.

30. ანგარიშზე – „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნებართვების აკუმულირებული ამორტიზაცია“ (1-28-5620) აღირიცხება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნებართვების აკუმულირებული ამორტიზაცია.

31. ანგარიშზე – „სპეციფიკური საქმიანობების განხორციელების ნებართვების აკუმულირებული ამორტიზაცია“ (1-28-5630) აღირიცხება სპეციფიკური საქმიანობების განხორციელების ნებართვების აკუმულირებული ამორტიზაცია.

32. ანგარიშზე – „მომავალში საქონელსა და მომსახურებაზე ექსკლუზიური უფლებების აკუმულირებული ამორტიზაცია“ (1-28-5640) აღირიცხება მომავალში საქონელსა და მომსახურებაზე ექსკლუზიურ უფლებებზე აკუმულირებული ამორტიზაცია.

33. ანგარიშზე – „გუდვილის აკუმულირებული ამორტიზაცია“ (1-28-5700) აღირიცხება გუდვილის აკუმულირებული ამორტიზაცია.

34. ანგარიშზე – „შეღავათიანი მომსახურების აქტივების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-6000) – აღირიცხება შეღავათიანი მომსახურების აქტივების აკუმულირებული ცვეთა.

35. ანგარიშზე – „ფინანსური იჯარის ქვეშ მყოფი აქტივების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-7000) – აღირიცხება ფინანსური იჯარის ქვეშ მყოფი აქტივების აკუმულირებული ცვეთა.

36. ანგარიში – „სხვა არაფინანსური აქტივების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-8000) მოიცავს მატერიალური არაწარმოებული აქტივების, გარდა მიწისა აკუმულირებული ცვეთის (1-28-8100) და საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესების აკუმულირებული ცვეთის (1-28-8200) და იჯარით აღებული აქტივის გამოყენების უფლების აკუმულირებული ცვეთის (1-28-8300) ანგარიშებს.

37. ანგარიშზე – „მატერიალური არაწარმოებული აქტივების, გარდა მიწისა აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-8100) აღირიცხება მატერიალური არაწარმოებული აქტივების აკუმულირებული ცვეთა.

38. ანგარიშზე – „საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-8200) აღირიცხება ისეთი ქონების არსებითი გაუმჯობესების აკუმულირებული ცვეთა, რომელიც ერთეულის მიერ მიღებულია საოპერაციო იჯარის ფარგლებში.

39. ანგარიშზე – „იჯარით აღებული აქტივის გამოყენების უფლების აკუმულირებული ცვეთა“ (1-28-8300) აღირიცხება აქტივის გამოყენების უფლების აკუმულირებული ცვეთა, რომელიც ერთეულის მიერ მიღებულია საიჯარო ხელშეკრულების ფარგლებში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №355 - ვებგვერდი, 31.12.2025 წ.

მუხლი 20. გრძელვადიანი აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი

1. ანგარიში – „გრძელვადიანი აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1- 29-0000) – მოიცავს შემდეგს: საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული შენობა-ნაგებობების (1-29-1000), მანქანა-დანადგარების და ინვენტარის (1-29-2000), საინვესტიციო ქონების (1-29-3000), არამატერიალური აქტივების (1-29-4000), შეღავათიანი მომსახურების აქტივების (1-29- 5000), ფინანსური იჯარის ქვეშ მყოფი აქტივების (1-29-6000), სხვა არაფინანსური აქტივების (1-29-7000) და კულტივირებული ცხოველების და მცენარეების (1-29-8000) აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ანგარიშებს.

2. ანგარიში – „საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული შენობა-ნაგებობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-1000) მოიცავს საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული შემდეგი აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ანგარიშებს: საცხოვრებელი დანიშნულების შენობების (1-29-1100), არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობების (1-29-1200), სხვა ნაგებობების (1-29-1300), მიწის გაუმჯობესების (1-29-1400) და მიწის (1-29-1500).

3. ანგარიშზე – „საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული საცხოვრებელი დანიშნულების შენობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-1100) აღირიცხება საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული საცხოვრებელი დანიშნულების შენობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

4. ანგარიშზე – „საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-1200) აღირიცხება საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

5. ანგარიშზე – „საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული სხვა ნაგებობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-1300) აღირიცხება საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული სხვა ნაგებობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

6. ანგარიშზე – „საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული მიწის გაუმჯობესების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-1400) აღირიცხება საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული მიწის გაუმჯობესების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

7. ანგარიშზე – „საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული მიწის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-1500) აღირიცხება საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული მიწის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

8. ანგარიში – „მანქანა-დანადგარების და ინვენტარის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-2000) მოიცავს: სატრანსპორტო საშუალებების (1-29-2100), სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის (1-29-2200) და სამხედრო იარაღის სისტემების (1-29-2300) აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ანგარიშებს.

9. ანგარიშზე – „სატრანსპორტო საშუალებების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-2100) აღირიცხება სატრანსპორტო საშუალებების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

10. ანგარიში – „სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-2200) მოიცავს: საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარების, ავეჯის და აღჭურვის (1-29-2210) და სხვა დანარჩენი მანქანა-დანადგარების და ინვენტარის (1-29-2220) აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ანგარიშებს.

11. ანგარიშზე – „საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარების, ავეჯის და აღჭურვის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-2210) აღირიცხება საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარების, ავეჯის და აღჭურვის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

12. ანგარიშზე – „სხვა დანარჩენი მანქანა-დანადგარების და ინვენტარის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-2220) აღირიცხება სხვა დანარჩენი მანქანა-დანადგარების და ინვენტარის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

13. ანგარიშზე – „სამხედრო იარაღის სისტემების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-2300) აღირიცხება სამხედრო იარაღის სისტემების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

14. ანგარიში – „საინვესტიციო ქონების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-3000) – მოიცავს საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული შემდეგი აქტივების აკუმულირებული

გაუფასურების ზარალის ანგარიშებს: საცხოვრებელი დანიშნულების შენობების (1-29-3100), არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობების (1-29-3200), სხვა ნაგებობების (1-29-3300), მიწის გაუმჯობესების (1-29-3400) და მიწის (1-29-3500).

15. ანგარიშზე – „საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული საცხოვრებელი დანიშნულების შენობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-3100) აღირიცხება საინვესტიციო ქონების სახით არსებული საცხოვრებელი დანიშნულების შენობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

16. ანგარიშზე – „საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-3200) აღირიცხება საინვესტიციო ქონების სახით არსებული არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

17. ანგარიშზე – „საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული სხვა ნაგებობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-3300) აღირიცხება საინვესტიციო ქონების სახით არსებული სხვა ნაგებობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

18. ანგარიშზე –„საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული მიწის გაუმჯობესების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-3400) აღირიცხება საინვესტიციო ქონების სახით არსებული მიწის გაუმჯობესების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

19. ანგარიშზე –„საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირებული მიწის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-3500) აღირიცხება საინვესტიციო ქონების სახით არსებული მიწის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

20. ანგარიში – „არამატერიალური აქტივები“ (1-29-4000) – მოიცავს: კვლევის და განვითარების (1-29-4100), მინერალური წიაღისეულის ძიების და შეფასებების (1-29-4200), კომპიუტერული პროგრამების და მონაცემთა ბაზების (1-29-4300), გასართობი, ლიტერატურული და მხატვრული ორიგინალი ნიმუშების (1-29-4400) და ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტების (1-29-4500) აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ანგარიშებს.

21. ანგარიშზე –„კვლევის და განვითარების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-4100) აღირიცხება არამატერიალური აქტივის სახით არსებული კვლევის და განვითარების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

22. ანგარიშზე – „მინერალური წიაღისეულის ძიების და შეფასებების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-4200) აღირიცხება არამატერიალური აქტივის სახით არსებული მინერალური წიაღისეულის ძიების და შეფასებების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

23. ანგარიშზე –„კომპიუტერული პროგრამების და მონაცემთა ბაზების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-4300) აღირიცხება არამატერიალური აქტივის სახით არსებული კომპიუტერული პროგრამების (1-29-4310) და მონაცემთა ბაზების (1-29-4320) აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

ანგარიშზე –„კომპიუტერული პროგრამების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-4310) აღირიცხება არამატერიალური აქტივის სახით არსებული კომპიუტერული პროგრამების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

24. ანგარიშზე – „მონაცემთა ბაზების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-4320) აღირიცხება არამატერიალური აქტივის სახით არსებული კომპიუტერული მონაცემთა ბაზების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

25. ანგარიშზე – „გასართობი, ლიტერატურული და მხატვრული ორიგინალი ნიმუშების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-4400) აღირიცხება არამატერიალური აქტივის სახით არსებული გასართობი, ლიტერატურული და მხატვრული ორიგინალი ნიმუშების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

26. ანგარიშზე – „ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-4500) აღირიცხება არამატერიალური აქტივის სახით არსებული ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

27. ანგარიში – „ხელშეკრულების, იჯარის, ლიცენზიების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-4600) მოიცავს: ბაზარზე გაყიდვადი საოპერაციო იჯარის (1-29-4610), ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნებართვების (1-29-4620), სპეციფიკური საქმიანობების განხორციელების ნებართვების (1-29-4630) და მომავალში საქონელსა და მომსახურებაზე ექსკლუზიური უფლებების (1-29-4640) აკუმულირებული ზარალის ანგარიშებს.

28. ანგარიშზე – „ბაზარზე გაყიდვადი საოპერაციო იჯარის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-4610) აღირიცხება ბაზარზე გაყიდვადი საოპერაციო იჯარის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

29. ანგარიშზე – „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნებართვების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-4620) აღირიცხება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნებართვების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

30. ანგარიშზე – „სპეციფიკური საქმიანობების განხორციელების ნებართვების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-4630) აღირიცხება სპეციფიკური საქმიანობების განხორციელების ნებართვების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

31. ანგარიშზე – „მომავალში საქონელსა და მომსახურებაზე ექსკლუზიური უფლებების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-4640) აღირიცხება მომავალში საქონელსა და მომსახურებაზე ექსკლუზიური უფლებების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

32. ანგარიშზე – „გუდვილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-4700) აღირიცხება გუდვილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

33. ანგარიშზე – „შეღავათიანი მომსახურების აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-5000) – აღირიცხება შეღავათიანი მომსახურების აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

34. ანგარიშზე – „ფინანსური იჯარის ქვეშ მყოფი აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-6000) – აღირიცხება ფინანსური იჯარის ქვეშ მყოფი აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

35. ანგარიში – „სხვა არაფინანსური აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7000) მოიცავს: ფასეულობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (1-29-7100); მატერიალური არაწარმოებული აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (1-29-7200); დაუმთავრებელი და გასაყიდად გამიზნული/გადასაცემი აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (1-29-7300) და იჯარით აღებული აქტივის გამოყენების უფლების აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (1-29-7400) ანგარიშებს.

36. ანგარიში – „ფასეულობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7100) – მოიცავს: ძვირფასი ქვების და ლითონების (1-29-7110), ხელოვნების ნიმუშების (1-29-7120) და სხვა ფასეულობების (1-29-7130) აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ანგარიშებს.

37. ანგარიშზე – „ძვირფასი ქვების და ლითონების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7110) აღირიცხება ფასეულობების სახით არსებული ძვირფასი ქვების და ლითონების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

38. ანგარიშზე – „ხელოვნების ნიმუშების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7120) აღირიცხება ფასეულობების სახით არსებული ხელოვნების ნიმუშების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

39. ანგარიშზე – „სხვა ფასეულობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7130) აღირიცხება იმ ფასეულობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული.

40 ანგარიში – „მატერიალური არაწარმოებული აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7200) – მოიცავს: მინერალური და ენერგორესურსების (1-29-7210) და სხვა

ბუნებრივად წარმოშობილი აქტივების (1-29-7220) აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ანგარიშებს.

41. ანგარიშზე – „მინერალური და ენერგორესურსების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7210) აღირიცხება მინერალური და ენერგორესურსების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

42. ანგარიში – „სხვა ბუნებრივად წარნოშობილი აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7220) მოიცავს: არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსების (1-29-7221), წყლის რესურსების (1-29-7222), რადიო-სიხშირული სპექტრის (1-29-7223) და ბუნებრივი რესურსების, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (1-29-7224) აკუმულირებული გაუფასურების ზარალის ანგარიშებს.

43. ანგარიშზე – „არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7221) აღირიცხება არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

44. ანგარიშზე – „წყლის რესურსების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7222) აღირიცხება წყლის სახით არსებული ბიოლოგიური რესურსების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

45. ანგარიშზე – „რადიოსიხშირული სპექტრის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7223) აღირიცხება რადიოსიხშირული სპექტრის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

46. ანგარიშზე – „ბუნებრივი რესურსების, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7224) აღირიცხება იმ ბუნებრივი რესურსების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული.

46[1]. ანგარიში – „დაუმთავრებელი და გასაყიდად გამიზნული/გადასაცემი აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7300) მოიცავს: დაუმთავრებელი მშენებლობის აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (1-29-7310), აქტივების, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემადაა მიღებული/განკუთვნილი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (1-29-7320), საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესების აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (1-29-7330), გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (1-29-7340), ზრდის პროცესში მყოფი ბიოლოგიური აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (1-29-7350) და დაუმთავრებელი არამატერიალური აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (1-29-7360) ანგარიშებს.

46[2]. ანგარიშზე – „დაუმთავრებელი მშენებლობის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7310) აღირიცხება ისეთი მშენებლობების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, რომლებიც ჯერ არაა დასრულებული.

46[3]. ანგარიშზე – „აქტივების, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემადაა მიღებული/განკუთვნილი აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7320) აღირიცხება ერთეულის მიერ მიღებული ისეთი აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, რომლებზედაც საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული. აღნიშნულ ანგარიშზე ასევე აისახება სხვა ერთეულებზე გადასაცემად დროებით მიღებული აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, ან ისეთი აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, რომლებიც სხვა ერთეულებზე გადასაცემადაა განკუთვნილი.

46[4]. ანგარიშზე – „საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7330) აღირიცხება ისეთი ქონების არსებითი გაუმჯობესების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, რომელიც მიღებულია საოპერაციო იჯარის ფარგლებში.

46[5]. ანგარიშზე – „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7340) აღირიცხება იმ გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, რომლებიც გამიზნულია გასაყიდად.

46[6]. ანგარიშზე – „ზრდის პროცესში მყოფი ბიოლოგიური აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7350) აღირიცხება ზრდის პროცესში მყოფი ბიოლოგიური აქტივების (კულტივირებული, არაკულტივირებული, ასევე, სხვა დანარჩენ მანქანა-დანადგარებად აღრიცხული ცხოველების და მცენარეების) აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

46[7]. ანგარიშზე – „დაუმთავრებელი არამატერიალური აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7360) აღირიცხება დაუმთავრებელი არამატერიალური აქტივების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.“.

46[8]. ანგარიშზე – „იჯარით აღებული აქტივის გამოყენების უფლების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი“ (1-29-7400) აღირიცხება იჯარით აღებული აქტივის გამოყენების უფლების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

47. ანგარიშზე – „კულტივირებული ცხოველების და მცენარეების გაუფასურების ზარალი“ (1-29-8000) აღირიცხება კულტივირებული ცხოველების და მცენარეების გაუფასურებით წარმოქმნილი ზარალი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №355 - ვებგვერდი, 31.12.2025 წ.

თავი III

ვალდებულებები

მუხლი 21. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული თავი განმარტავს ვალდებულებების ანგარიშებს.

2. წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებების კლასი (2-00-0000) მოიცავს ვალდებულებების შემდეგ ჯგუფებს: მოკლევადიან (მიმდინარე) ვალდებულებებს (2-10-0000) და გრძელვადიან ვალდებულებებს (2-20-0000).

3. მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებების ჯგუფი (2-10-0000) მოიცავს: მოკლევადიან (მიმდინარე) ვალდებულებებს ფასიანი ქაღალდებით (2-11-0000), კრედიტებით და სესხებით მოკლევადიან (მიმდინარე) ვალდებულებებს (2-12-0000), მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტორულ დავალიანებებს (2-13-0000), მოკლევადიან (მიმდინარე) ანარიცხებს (2-14-0000) და სხვა მოკლევადიან (მიმდინარე) ვალდებულებებს (2-15-0000).

4. გრძელვადიანი ვალდებულებების ჯგუფი (2-20-0000) მოიცავს: გრძელვადიან ვალდებულებებს ფასიანი ქაღალდებით (2-21-0000), კრედიტებით და სესხებით გრძელვადიან ვალდებულებებს (2-22-0000), ფინანსური იჯარის გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს (2-23-0000), შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებების გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს (2-24-0000); გრძელვადიან ანარიცხებს (2-25-0000) და სხვა გრძელვადინი კრედიტორული დავალინებები (2-26-0000).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 22. მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით და დეპოზიტებით

1. ანგარიში – „მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით“ (2-11-0000) მოიცავს მოკლევადიან (მიმდინარე) ვალდებულებებს ფასიანი ქაღალდებით ეროვნულ ვალუტაში (2-11-1000) და მოკლევადიან (მიმდინარე) ვალდებულებებს ფასიანი ქაღალდებით უცხოურ ვალუტაში (2-11-2000).

2. ანგარიში – „მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით ეროვნულ ვალუტაში“ (2-11-1000) მოიცავს მოკლევადიან (მიმდინარე) სახაზინო ვალდებულებებს (2-11-1100) და სახაზინო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილს (2-11-1200).

3. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) სახაზინო ვალდებულებები“ (2-11-1100) - აღირიცხება ისეთი მოკლევადიანი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ადასტურებენ სახელმწიფო ერთეულების ვალდებულების არსებობას და რომელთა დაფარვა ხორციელდება ფულადი სახსრების, ფინანსური ინსტრუმენტების ან ეკონომიკური ღირებულების მქონე რომელიმე სხვა აქტივების გადაცემით.

4. ანგარიშზე – „სახაზინო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი“ (2-11-1200)- აღირიცხება გრძელვადიანი სახაზინო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი.

5. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით უცხოურ ვალუტაში (2-11-2000) - მოიცავს „ევრობონდების მიმდინარე ნაწილს“ (2-11-2100) და აღირიცხება ევრობონდების სახით რიცხული ფასიანი ქაღალდების ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი.

6. (ამოღებულია - 23.08.2022, №281).

7. (ამოღებულია - 23.08.2022, №281).

8. (ამოღებულია - 23.08.2022, №281).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 23. კრედიტებით და სესხებით მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები

1. ანგარიში – „კრედიტებით და სესხებით მოკლევადიანი“ (მიმდინარე) ვალდებულებები (2-12-0000) მოიცავს: მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებებს კრედიტებით და სესხებით (2-12-1000), გრძელვადიანი კრედიტების და სესხების ვალდებულებების მიმდინარე ნაწილის (2-12-2000), იჯარასთან დაკავშირებულ გრძელვადიანი გადასახდელების მიმდინარე ნაწილს (2-12-3000), შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულების გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილის (2-12-4000) ანგარიშებს.

2. ანგარიში – მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები კრედიტებით და სესხებით მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით მიღებულ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტებს და სესხებს (2-12-1100) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით მიღებულ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტებს და სესხებს (2-12-1200).

3. ანგარიში – საბიუჯეტო სახსრებით მიღებული მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტები და სესხები (2-12-1100) მოიცავს: საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში მიღებულ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტებს და სესხებს (2-12-1110) და საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში მიღებულ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტებს და სესხებს უცხოურ ვალუტაში (2-12-1120).

4. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში მიღებული მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტები და სესხები“ (2-12-1110) აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ეროვნულ ვალუტაში კრედიტებით და სესხებით წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

5. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში მიღებული მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტები და სესხები“ (2-12-1120) აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში კრედიტებით და სესხებით წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

6. ანგარიში – არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით მიღებული მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტები და სესხები (2-12-1200) მოიცავს არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში მიღებულ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტებს და სესხებს (2-12-1210) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში მიღებულ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტებს და სესხებს (2-12-1220).

7. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში მიღებული მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტები და სესხები“ (2-12-1210) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში ეროვნულ ვალუტაში კრედიტებით და სესხებით წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

8. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში მიღებული მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტები და სესხები“ (2-12-1220) აღირიცხება ერთეულის არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში უცხოურ ვალუტაში კრედიტებით და სესხებით წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

9. ანგარიში – კრედიტებით და სესხებით გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი (2-12-2000) მოიცავს კრედიტებით და სესხებით გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილს ეროვნულ ვალუტაში (2-12-2100) და კრედიტებით და სესხებით გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილს უცხოურ ვალუტაში (2-12-2200).

10. ანგარიშზე – „კრედიტებით და სესხებით გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი ეროვნულ ვალუტაში“ (2-12-2100) აღირიცხება გრძელვადიან კრედიტებზე და სესხებზე გადასახდელი მიმდინარე ნაწილი ეროვნულ ვალუტაში.

11. ანგარიშზე –„კრედიტებით და სესხებით გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი უცხოურ ვალუტაში“ (2-12-2200) აღირიცხება გრძელვადიან კრედიტებზე და სესხებზე გადასახდელი მიმდინარე ნაწილი უცხოურ ვალუტაში.

12. ანგარიში – „იჯარასთან დაკავშირებული გრძელვადიანი გადასახდელების მიმდინარე ნაწილი“ (2-12-3000) მოიცავს იჯარაზე გრძელვადიანი გადასახდელების მიმდინარე ნაწილს ეროვნულ ვალუტაში (2-12-3100), იჯარაზე გრძელვადიანი გადასახდელების მიმდინარე ნაწილს მიმდინარე ნაწილს უცხოურ ვალუტაში (2-12-3200).

13. ანგარიშზე – „იჯარაზე გრძელვადიანი გადასახდელების მიმდინარე ნაწილი ეროვნულ ვალუტაში“ (2-12-3100) აღირიცხება იჯარით წარმოქმნილი გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი ეროვნულ ვალუტაში.

14. ანგარიშზე – „იჯარაზე გრძელვადიანი გადასახდელების მიმდინარე ნაწილი უცხოურ ვალუტაში“ (2-12-3200) აღირიცხება იჯარით წარმოქმნილი გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი უცხოურ ვალუტაში.

15. ანგარიში – შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულების გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი (2-12-4000) მოიცავს: შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულების გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილს ეროვნულ ვალუტაში (2-12-4100) და შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულების გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილს უცხოურ ვალუტაში (2-12-4200).

16. ანგარიშზე – „შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულების გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი ეროვნულ ვალუტაში“ (2-12-4100) აღირიცხება შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში ერთ წელზე მეტი ვადით წარმოქმნილი გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი ეროვნულ ვალუტაში.

17. ანგარიშზე – „შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულების გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი უცხოურ ვალუტაში“ (2-12-4200) აღირიცხება შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში ერთ წელზე მეტი ვადით წარმოქმნილი გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი უცხოურ ვალუტაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №355 - ვებგვერდი, 31.12.2025 წ.

მუხლი 24. მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები

1. ანგარიში – გადასახდელი გადასახადებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები (2-13-0000) მოიცავს სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული გადასახდელების (2-13-1000), გადასახდელი გადასახადების (2-13-2000), თანამშრომლებთან, სტიპენდიანტებთან და სხვა პირებთან დაკავშირებული გადასახდელების (2-13-3000), საქონლისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებების (2- 13-4000), გადასახდელი პროცენტების (2-13-5000), გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე)კრედიტორული დავალიანებების (2-13-6000) და სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებების (2-13-9000) ანგარიშებს.

2. ანგარიში – სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული გადასახდელები (2-13-1000) მოიცავს ხაზინისათვის გადასახდელებს საგადასახადო შემოსავლებიდან (2-13-1100), ხაზინისათვის გადასახდელებს არასაგადასახადო შემოსავლებიდან (2-13-1200), ხაზინის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გადასახდელებს საბიუჯეტო სახსრებით (2-13-1300), ხაზინისათვის გადასახდელებს გრანტის შემოსავლებიდან (2-13-1400), ხაზინისათვის გადასახდელებს შემოსულობებით (2-13-1500) და ხაზინის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გადასახდელებს არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით (2-13-1600).

3. ანგარიშზე – „ხაზინისათვის გადასახდელები საგადასახადო შემოსავლებიდან (2-13-1100) აღირიცხება საგადასახადო შემოსავლების სახით ხაზინაში გადასახდელი თანხები.

4. ანგარიშზე – „ხაზინისათვის გადასახდელები არასაგადასახადო შემოსავლებიდან“ (2-13-1200) აღირიცხება ხაზინის მიერ მისაღები არასაგადასახადო შემოსავლები.

5. ანგარიშზე – „ხაზინის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების ოპერაციების დასაფინანსებლად გადასახდელები“ (2-13-1300) აღირიცხება ხაზინის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ოპერაციების დასაფინანსებლად ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახდელი თანხები.

5[1]. ანგარიშზე – „ხაზინისათვის გადასახდელები გრანტის შემოსავლებიდან“ (2-13-1400) აღირიცხება ორგანიზაციის მიერ ხაზინისთვის გადასახდელი გრანტის შემოსავლებიდან.

5[2]. ანგარიშზე – „ხაზინისათვის გადასახდელები შემოსულობებით“ (2-13-1500) აღირიცხება ორგანიზაციის მიერ ხაზინისთვის გადასახდელები შემოსულობებიდან.

5[3]. ანგარიშზე - „ხაზინის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გადასახდელები არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით“ (2-13-1600) აღირიცხება ხაზინის მიერ გადასახდელები საბიუჯეტო ორგანიზაციების არასაბიუჯეტო (საკუთარ) სახსრებთან დაკავშირებით.

6. ანგარიში – გადასახდელი გადასახადებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები (2-13-2000) მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული შემდეგი გადასახადების ანგარიშებს: საშემოსავლო გადასახადით (2-13-2100),

მოგების გადასახადით (2-13-2200), ქონების გადასახადით (2-13-2300), დამატებითი ღირებულების გადასახადით (2-13-2400), აქციზით (2-13-2500), იმპორტის გადასახადით (2-13-2600), სხვა გადასახადებით (2-13-2700) და სხვა გადასახდელებით (2-13-2800) წარმოქმნილ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტორულ დავალიანებებს.

7. ანგარიშზე – „საშემოსავლო გადასახადთ წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-2100) აღირიცხება საშემოსავლო გადასახადით წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულება.

8. ანგარიშზე – „მოგების გადასახადით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-2200) აღირიცხება ერთეულის მიერ არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი.

9. ანგარიშზე – „ქონების გადასახადით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-2300) აღირიცხება ერთეულის მიერ გადასახდელი ქონების გადასახადი.

10. ანგარიშზე – „დამატებითი ღირებულების გადასახადით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-2400) აღირიცხება არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობის შედეგად გადასახდელი დღგ-ის გადასახადი.

11. ანგარიშზე – „აქციზით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-2500) აღირიცხება გადასახდელი აქციზის გადასახადი.

12. ანგარიშზე – „იმპორტის გადასახადით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-2600) აღირიცხება საქონლის მიერ ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთის დროს გადასახდელი იმპორტის გადასახადი.

13. ანგარიშზე – „სხვა გადასახადებთ წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-2700) აღირიცხება ზემოთ ჩამოთვლილი გადასახადების გარდა სხვა გადასახადები.

14. ანგარიშზე – „სხვა გადასახდელებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-2800) აღირიცხება ბიუჯეტში გადასახდელი სხვა თანხები, რომლებიც ჩამოთვლილი არ არის ზემოაღნიშნულ ანგარიშებზე.

15. ანგარიში – თანამშრომლებთან, სტიპენდიანტებთან და სხვა პირებთან დაკავშირებული გადასახდელები (2-13-3000) მოიცავს შტატით მომუშავეთა ხელფასებს (2-13-3100), შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასებით (2-13-3200), ქვეყნის შიგნით მივლინებებით (2-13-3300), ქვეყნის გარეთ მივლინებებით (2-13-3400), დამსაქმებლის მიერ ფულადი სახით გაწეული სოციალური დახმარებებით (2-13-3500), დამსაქმებლის მიერ საქონლის სახით გაცემული სოციალური

დახმარებებით (2-13-3600), თანამშრომელთა ხელფასებიდან დაკავებული თანხებით (2-13-3700), სტიპენდიებით (2-13-3800), სოციალური დახმარებით წარმოქმნილ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტორულ დავალიანებებს (2-13-3900).

16. ანგარიშზე – „შტატით მომუშავეთა ხელფასებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-3100) აღირიცხება დამქირავებლის მიერ შტატით გათვალისწინებული მომუშავეებისათვის მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ან სასაქონლო ფორმით გასაცემი თანხები.

17. ანგარიშზე – „შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-3200) აღირიცხება დამქირავებლის მიერ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ან სასაქონლო ფორმით გასაცემი თანხები.

18. ანგარიშზე – „ქვეყნის შიგნით მივლინებებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-3300) აღირიცხება მივლინებებთან დაკავშირებით ერთეულის დავალიანებები საქართველოს ტერიტორიაზე მივლინებული პირების მიმართ.

19. ანგარიშზე – „ქვეყნის გარეთ მივლინებებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-3400) აღირიცხება მივლინებებთან დაკავშირებით ერთეულის დავალიანებები საზღვარგარეთ მივლინებული პირების მიმართ.

20. ანგარიშზე – „დამსაქმებლის მიერ ფულადი სახით გაწეული სოციალური დახმარებებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-3500) აღირიცხება მომუშავეებისათვის ფულადი ფორმით სოციალური დახმარებების გადახდაზე წარმოქმნილი ვალდებულებები.

21. ანგარიშზე – „დამსაქმებლის მიერ საქონლის სახით გაცემული სოციალური დახმარებებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-3600) აღირიცხება მომუშავეებისათვის სასაქონლო ფორმით სოციალური დახმარებების გადახდაზე წარმოქმნილი ვალდებულებები.

22. ანგარიშზე – „თანამშრომელთა ხელფასებიდან დაკავებული თანხებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-3700) აღირიცხება მომუშავეებისათვის ხელფასის გაცემისას დაკავებული თანხები.

23. ანგარიშზე – „სტიპენდიებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-3800) აღირიცხება სასწავლო დაწესებულებათა ვალდებულებები სტიპენდიანტების წინაშე.

24. ანგარიში – „სოციალური დახმარებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-3900) მოიცავს ფულადი ფორმით გაწეულ სოციალურ დახმარებებით (2-13-3910), სასაქონლო ფორმით გაწეულ სოციალურ დახმარებებით (2-13-3920), სახელმწიფოს მიერ საპენსიო სქემაში შენატანით (2-13-3930), დამსაქმებლის მიერ საპენსიო სქემაში შენატანით (2-13-3940) და დასაქმებულის მიერ საპენსიო სქემაში შენატანით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები (2-13-3950).

25. ანგარიში – „ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებები“ (2-13-3910) მოიცავს: ფულადი ფორმით გაწეულ სოციალური დახმარებებით წარმოქმნილ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტორულ დავალიანებებს საბიუჯეტო წლის ფარგლებში (2-13-3911) და ფულადი ფორმით გაწეულ სოციალური დახმარებებით წარმოქმნილ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტორულ დავალიანებებს საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ (2-13-3912) .

25^1. ანგარიშზე – ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებში (2-13-3911) აღირიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციის სოციალური დახმარების მუხლით განსაზღვრული ხარჯებით წარმოქნილი ვალდებულებები საბიუჯეტო წლის ფარგლებში.

25^2. ანგარიშზე – ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ (2-13-3912) აღირიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციის სოციალური დახმარების მუხლით განსაზღვრული ხარჯებით წარმოქნილი ვალდებულებები საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ.

26. ანგარიშზე – „სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებები“ (2-13-3920) აღირიცხება სოციალური დახმარებებით წარმოქმნილი ვალდებულებები სასაქონლო ფორმით.

27. ანგარიშზე – „სახელმწიფოს მიერ საპენსიო სქემაში შენატანი“ (2-13-3930) –აღირიცხება სახელმწიფოს მიერ საპენსიო სქემაში მონაწილის სასარგებლოდ, მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შენატანი.

28. ანგარიშზე – „დამსაქმებლის მიერ საპენსიო სქემაში შენატანი“ (2-13-3940) –აღირიცხება დამსაქმებელის მიერ საპენსიო სქემაში მონაწილის სასარგებლოდ, მონაწილის, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შენატანი.

29. ანგარიშზე – „დასაქმებულის მიერ საპენსიო სქემაში შენატანი“ (2-13-3950) აღირიცხება საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებულის მიერ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შენატანი.

30. ანგარიში – „საქონლისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-4000) მოიცავს საქონლისა

და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტორულ დავალიანებებს საბიუჯეტო წლის ფარგლებში (2-13-4100) და საქონლისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტორულ დავალიანებებს საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ (2-13-4200).

31. ანგარიშზე – „საქონლისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებში“ (2-13-4100) აღირიცხება საქონლისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებში.

32. ანგარიშზე –„საქონლისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ“ (2-13-4200) აღირიცხება საქონლის და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები და მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებასთან წარმოქმნილი გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების მიმდინარე ნაწილი, საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ.

33. ანგარიში – „გადასახდელი პროცენტი“ (2-13-5000) მოიცავს გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე ნაწილის გადასახდელი პროცენტის (2-13-5100) და სხვა გადასახდელი პროცენტების (2-13-5200) ანგარიშებს.

34. ანგარიშზე – „გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე ნაწილის გადასახდელი პროცენტები“ (2-13-5100) აღირიცხება ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილის გადასახდელი პროცენტები

35. ანგარიშზე – „სხვა გადასახდელი პროცენტები“ (2-13-5200) აღირიცხება მიღებულ სესხებზე დარიცხული და სხვა გადასახდელი პროცენტები.

36. ანგარიში – „გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-6000) მოიცავს გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტორულ დავალიანებებს საბიუჯეტო წლის ფარგლებში (2-13-6100) და გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტორულ დავალიანებებს საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ (2-13-6200).

37. ანგარიშზე – „გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებში“ (2-13-6100) აღირიცხება გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით საბიუჯეტო წლის ფარგლებში წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები.

38. ანგარიშზე – „გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ“ (2-13-6200) აღირიცხება გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები და გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების მიმდინარე ნაწილი, საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ.

39. ანგარიში – „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-9000) მოიცავს დარიცხულ გადასახდელ რენტას (2-13-9100), ვალდებულებებს დეპონენტების მიმართ (2-13-9300); გადასახდელ დივიდენდებს (2-13-9400), მოკლევადიან (მიმდინარე) ფულად ვალდებულებებს ტრანსფერის მოვალეობიდან (2-13-9500), ჯარიმების/პირგასამტეხლოების დაკავებით წარმოქმნილ კრედიტორულ დავალიანებებს (2-13-9600) და სხვა დანარჩენ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტორულ დავალიანებებს (2-13-9900).

40. ანგარიშზე – „დარიცხული გადასახდელი რენტა“ (2-13-9100) აღირიცხება მიწის, წიაღისეული აქტივების და სხვა ბუნებრივად წარმოქმნილი (არაწარმოებული) აქტივების იჯარის შედეგად გადასახდელი რენტა.

41. (ამოღებულია - 01.12.2020, №288).

42. ანგარიშზე – „ვალდებულებები დეპონენტების მიმართ“ (2-13-9300) აღირიცხება ორგანიზაციის სალაროდან დადგენილ ვადებში მომუშავეებზე და სხვა პირებზე გაუცემელი, ორგანიზაციის საბანკო ანგარიშზე /ხაზინის ანგარიშებზე დეპონირებული ხელფასები და სხვა გადასახდელები.

43. ანგარიშზე – „გადასახდელი დივიდენდები“ (2-13-9400) აღირიცხება მოგების განაწილების ვალდებულება კაპიტალში ინვესტირებული წილის პროპორციულად.

43^1. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი ვალდებულებები ტრანსფერის მოვალეობიდან (2-13-9500) აღირიცხება ისეთი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც უკავშირდება ტრანსფერული ოპერაციებით წარმოქმნილ ხარჯებს.

43^2. ანგარიშზე - ჯარიმების/პირგასამტეხლოების დაკავებით წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებები (2-13-9600) აღირიცხება შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მომწოდებლების მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის დროს დაკისრებული ჯარიმების, სანქციების, საურავების და პირგასამტეხლოების (მესამე პირის გადახდის წესის მიხედვით) ბიუჯეტში მიმართვის მიზნით წარმოქნილი კრედიტორული დავალიანებები.

44. ანგარიში – „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“ (2-13-9900) მოიცავს: სხვა დანარჩენ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტორულ დავალიანებებს

საბიუჯეტო წლის ფარგლებში (2-13—9910) და სხვა დანარჩენ მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტორულ დავალიანებებს საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ(2-13-9920).

45. ანგარიში – „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებში“ (2-13-9910) აღირიცხება დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები, რომელთა ასახვა გათვალისწინებული არ არის სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების სხვა ანგარიშებზე საბიუჯეტო წლის ფარგლებში.

46. ანგარიში – „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ“ (2-13-9920) აღირიცხება დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები, რომელთა ასახვა გათვალისწინებული არ არის სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების სხვა ანგარიშებზე საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 20.10.2026 წ.

მუხლი 25. მოკლევადიანი (მიმდინარე) ანარიცხები

1. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) ანარიცხები (2-14-0000) აღირიცხება მოკლევადიანი ანარიცხები და გრძელვადიანი ანარიცხების მიმდინარე ნაწილი.

მუხლი 26. სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები

1. ანგარიში – „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები“ (2-15-0000) მოიცავს ავანსად მიღებულ მოკლევადიან (მიმდინარე) შემოსავლებს (2-15-1000); მოკლევადიან (მიმდინარე) არაფულად ვალდებულებებს არაფინანსური აქტივების მიღებით (2-15-2000), ბარტერული ოპერაციების შედეგად გასაცემი აქტივებით წარმოქმნილ მოკლევადიან (მიმდინარე) ვალდებულებებს (2-15-3000) და მოკლევადიან (მიმდინარე) არაფულად ვალდებულებებს ტრანსფერის მოვალეობიდან (2-15-4000).

2. ანგარიში – „მოკლევადიანი (მიმდინარე) ავანსად მიღებული შემოსავლები“ (2-15-1000) მოიცავს: მოკლევადიან (მიმდინარე) ავანსად მიღებულ საგადასახადო შემოსავლებს (2-15-1100), სავალდებულო შეთანხმებით მოკლევადიან (მიმდინარე) ავანსად მიღებულ შემოსავლებს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან (2-15-1200) და სავალდებულო შეთანხმებით ტრანსფერული შემოსავლებიდან წარმოქმნილ მოკლევადიან (მიმდინარე) ვალდებულებებს (2-15-1300).

3. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) ავანსად მიღებული საგადასახადო შემოსავლები“ (2-15-1100) აღირიცხება ავანსად მიღებული საგადასახადო შემოსავლებით წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები.

4. ანგარიში - სავალდებულო შეთანხმებით მოკლევადიანი (მიმდინარე) ავანსად მიღებული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან (2-15-1200)) მოიცავს: მოკლევადიან (მიმდინარე) ავანსად მიღებულ იჯარის შემოსავლებს (2-15-1210) და მოკლევადიან (მიმდინარე) ავანსად მიღებულ სხვა შემოსავლებს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან (2-15-1220).

5. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) ავანსად მიღებული იჯარის შემოსავლები“ (2-15-1210) აღირიცხება სავალდებულო შეთანხმებით ავანსად მიღებული იჯარის შემოსავლებით წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები.

6. ანგარიშზე – მოკლევადიანი (მიმდინარე) ავანსად მიღებული სხვა შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან (2-15-1220) აღირიცხება სავალდებულო შეთანხმებით საქონლისა და მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებით წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები.

7. ანგარიშზე – სავალდებულო შეთანხმებით ტრანსფერული შემოსავლებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები (2-15-1300) – აღირიცხება სავალდებულო შეთანხმების პირობების შესაბამისად წინასწარ მიღებული ტრანსფერული შემოსავლებით წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები.

8. ანგარიში – მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი ვალდებულებები არაფინანსური აქტივების მიღებით“ (2-15-2000) მოიცავს მოკლევადიან (მიმდინარე) არაფულად ვალდებულებებს მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების მიღებით (2-15-2100) და მოკლევადიან (მიმდინარე) არაფულად ვალდებულებებს გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მიღებით (2-15-2200).

9. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი ვალდებულებები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების მიღებით“ (2-15-2100) აღირიცხება მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების მიღებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოკლევადიანი არაფულადი ვალდებულებები.

10. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი ვალდებულებები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მიღებით“ (2-15-2200) აღირიცხება გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მიღებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოკლევადიანი არაფულადი ვალდებულებები.

11. ანგარიშზე – „ბარტერული ოპერაციების შედეგად გასაცემი აქტივებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები (2-15-3000) აღირიცხება ბარტერით ოპერაციების შედეგად აქტივების გადაცემასთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები.

12. ანგარიშზე – „მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი ვალდებულებები ტრანსფერის მოვალეობიდან“ (2-15-4000) – აღირიცხება მოკლევადიანი არაფულადი ვალდებულებები წარმოქმნილი ტრანსფერულ ხარჯებთან დაკავშირებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 20.10.2026 წ.

მუხლი 27. ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით

1. ანგარიში „ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით“ (2-16-0000) მოიცავს: ვალდებულებებს დროებით განთავსებული სახსრებით ხაზინაში (2-16-1000); ვალდებულებებს დროებით განთავსებული სახსრებით ბანკში (2-16- 2000) და სარეზერვო ფონდს (2-16-3000).

2. ანგარიშზე – „ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით ხაზინაში“ (2-16-1000) აღირიცხება მოკლევადიანი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ხაზინის ანგარიშებზე თანხების დროებით განთავსებასთან.

3. ანგარიშზე – „ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით ბანკში“ (2-16-2000) აღირიცხება მოკლევადიანი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია საბანკო ანგარიშებზე თანხების დროებით განთავსებასთან.

4. ანგარიშზე – „დაბრუნების სარეზერვო ქვეანგარიში“ (2-16-3000) აღირიცხება ვალდებულებები ზედმეტად გადახდილი გადასახადებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 28. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 29. გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით

1. ანგარიში – გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით (2-21-0000) მოიცავს გრძელვადიან ვალდებულებებს ფასიანი ქაღალდებით ეროვნულ ვალუტაში (2-21-1000) და გრძელვადიან ვალდებულებებს ფასიანი ქაღალდებით უცხოურ ვალუტაში (2-21-2000).

2. ანგარიში – „გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით ეროვნულ ვალუტაში“ (2-21-1000) მოიცავს გრძელვადიან სახაზინო ვალდებულებებს ეროვნულ ვალუტაში (2-21-1100), რომელზეც აღირიცხება ერთ წელზე მეტი ვადით სახაზინო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში.

3. ანგარიში – ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით უცხოურ ვალუტაში (2-21-2000) მოიცავს გრძელვადიან ევრობონდებს (2-21-2100), რომელზეც აღირიცხება გრძელვადიანი ევრობონდები უცხოულ ვალუტაში.

მუხლი 30. კრედიტებით და სესხებით გრძელვადიანი ვალდებულებები

1. ანგარიში – კრედიტებით და სესხებით გრძელვადიანი ვალდებულებები (2-22-0000) მოიცავს საბიუჯეტო სახსრებით მიღებულ გრძელვადიან კრედიტებს და სესხებს (2-22-1000) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით მიღებულ გრძელვადიან კრედიტებს და სესხებს (2-22-2000).

2. ანგარიში – „საბიუჯეტო სახსრებით მიღებული გრძელვადიანი კრედიტები და სესხები“ (2-22-1000) მოიცავს საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში მიღებულ გრძელვადიან კრედიტებს და სესხებს (2-22-1100) და საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში მიღებული გრძელვადიანი კრედიტები და სესხები (2-22-1200).

3. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში მიღებული გრძელვადიანი კრედიტები და სესხები“ (2-22-1100) აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები, ეროვნულ ვალუტაში.

4. ანგარიშზე – „საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში მიღებული გრძელვადიანი კრედიტები და სესხები“ (2-22-1200) – აღირიცხება საბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები, უცხოურ ვალუტაში.

5. ანგარიში – არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით მიღებული გრძელვადიანი კრედიტები და სესხები (2-22-2000) მოიცავს: არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში მიღებულ გრძელვადიან კრედიტებს და სესხებს (2-22-2100) და არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში მიღებულ გრძელვადიან კრედიტებს და სესხებს (2-22-2200).

6. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში მიღებული გრძელვადიანი კრედიტები და სესხები“ (2-22-2100) აღირიცხება არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები, ეროვნულ ვალუტაში.

7. ანგარიშზე – „არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში მიღებული გრძელვადიანი კრედიტები და სესხები“ (2-22-2200) – აღირიცხება არასაბიუჯეტო საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები, უცხოურ ვალუტაში.

მუხლი 31. იჯარასთან დაკავშირებული გრძელვადიანი გადასახდელები

1. ანგარიში – „იჯარასთან დაკავშირებული გრძელვადიანი გადასახდელები“ (2-23-0000) მოიცავს იჯარასთან დაკავშირებული გრძელვადიან გადასახდელებს ეროვნულ ვალუტაში (2-

23-1000), იჯარასთან დაკავშირებულიგრძელვადიან გადასახდელებს უცხოურ ვალუტაში (2-23-2000),

2. ანგარიშზე – „იჯარასთან დაკავშირებული გრძელვადიანი გადასახდელები ეროვნულ ვალუტაში“ (2-23-1000) აღირიცხება გრძელვადიანი ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში, რომლებიც წარმოქმნილია იჯარით მიღებულ აქტივებთან დაკავშირებით.

3. ანგარიშზე – „იჯარასთან დაკავშირებული გრძელვადიანი გადასახდელები უცხოურ ვალუტაში“ (2-23-2000) აღირიცხება გრძელვადიანი ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც წარმოქმნილია იჯარით მიღებულ აქტივებთან დაკავშირებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №355 - ვებგვერდი, 31.12.2025 წ.

მუხლი 32. შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებებით გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები

1. ანგარიშზე – „შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებებით გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“ (2-24-0000) აღირიცხება შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებებით გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები ეროვნულ ვალუტაში (2-24-1000) და შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებებით გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები უცხოურ ვალუტაში (2-24-2000).

2. ანგარიშზე – „შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებებით გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები ეროვნულ ვალუტაში“ (2-24-1000) აღირიცხება შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებების ფარგლებში წარმოქმნილი გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები ეროვნულ ვალუტაში.

3. ანგარიშზე – „შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებებით გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები უცხოურ ვალუტაში “ (2-24-2000) აღირიცხება შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებების ფარგლებში წარმოქმნილი გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები უცხოურ ვალუტაში.

მუხლი 33. გრძელვადიანი ანარიცხები

1. ანგარიშზე – „გრძელვადიანი ანარიცხები“ (2-25-0000) აღირიცხება ისეთი გრძელვადიანი ვალდებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ გრძელვადიან ანარიცხებად აღიარების კრიტერიუმებს .

მუხლი 34. სხვა გრძელვადინი კრედიტორული დავალინებები

1. ანგარიში – სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები და არაფულადი ვალდებულებები (2-26-0000) მოიცავს: საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხულ

გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს (2-26-1000); არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხულ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს (2-26-2000), გრძელვადიან ფულად და არაფულად ვალდებულებებს ტრანსფერის მოვალეობიდან (2-26-3000), გრძელვადიან ავანსად მიღებულ შემოსავლებს (2-26-4000) და სხვა დანარჩენ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს და არაფულად ვალდებულებებს (2-26-5000).

2. ანგარიშზე – „საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“ (2-26-1000) აღირიცხება საქონლის და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები.

3. ანგარიში – „არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“ (2-26-2000) მოიცავს: მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს (2-26-2100) და გრძელვადიან არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებს (2-26-2200).

3^1. ანგარიშზე – „მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“ (2-26-2100) აღირიცხება მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებათან წარმოქმნილი გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები.

3^2. ანგარიშზე – „გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“ (2-26-2200) გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მოწოდებათან წარმოქმნილი გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები.

3^3. ანგარიშზე – გრძელვადიანი ფულადი და არაფულადი ვალდებულებები ტრანსფერის მოვალეობიდან (2-26-3000) აღირიცხება გრძელვადიანი ფულადი და არაფულადი ვალდებულებები წარმოქმნილი ტრანსფერული ხარჯებით.

3^4. ანგარიში – „გრძელვადიანი ავანსად მიღებული შემოსავლები“ (2-26-4000) მოიცავს: გრძელვადიან ავანსად მიღებულ საგადასახადო შემოსავლებს (2-26-4100), გრძელვადიან ავანსად მიღებულ შემოსავლებს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან (2-26-4200) და სავალდებულო შეთანხმებით ტრანსფერული შემოსავლებიდან წარმოქმნილ გრძელვადიან ვალდებულებებს (2-26-4300).

3^5. ანგარიშზე – „გრძელვადიანი ავანსად მიღებული საგადასახადო შემოსავლები“ (2-26-4100) აღირიცხება ავანსად მიღებული საგადასახადო შემოსავლებით წარმოქმნილი გრძელვადიანი ვალდებულებები.

3^6. ანგარიში – სავალდებულო შეთანხმებით გრძელვადიან ავანსად მიღებული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან (2-26-4200)) მოიცავს: გრძელვადიან ავანსად

მიღებულ იჯარის შემოსავლებს (2-26-4210) და გრძელვადიან ავანსად მიღებულ სხვა შემოსავლებს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან (2-26-4220).

3[7]. ანგარიშზე – გრძელვადიანი ავანსად მიღებული იჯარის შემოსავლები (2-26-4210) – აღირიცხება სავალდებულო შეთანხმებით ავანსად მიღებული იჯარის შემოსავლებით წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები.

3[8]. ანგარიშზე – გრძელვადიანი ავანსად მიღებული სხვა შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან (2-26-4220) აღირიცხება სავალდებულო შეთანხმებით საქონლისა და მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებით წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები.

3[9]. ანგარიშზე – სავალდებულო შეთანხმებით ტრანსფერული შემოსავლებით წარმოქმნილი გრძელვადიანი ვალდებულებები (2-26-4300) – აღირიცხება სავალდებულო შეთანხმების პირობების შესაბამისად წინასწარ მიღებული ტრანსფერული შემოსავლებით წარმოქმნილი გრძელვადიანი ვალდებულებები.

4. ანგარიშზე – „სხვა დანარჩენი გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები და არაფულადი ვალდებულებები“ (2-26-5000) – აღირიცხება გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები და არაფულადი ვალდებულებები, რომელთა ასახვა გათვალისწინებული არ არის გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების და არაფულადი ვალდებულებების სხვა ანგარიშებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 20.10.2026 წ.

თავი IV

წმინდა აქტივები/კაპიტალი

მუხლი 35.ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული თავი განმარტავს წმინდა აქტივების/კაპიტალის ანგარიშებს.

2. ანგარიში – „წმინდა აქტივები/კაპიტალი“ (3-00-0000) მოიცავს საწესდებო კაპიტალის (3-10-0000), ნამეტის/დეფიციტის (3-20-0000) და რეზერვების (3-30-0000) ანგარიშებს.

3. წმინდა აქტივების/კაპიტალის ანგარიშებზე გადაიხურება შემოსავლების და ხარჯების ანგარიშები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 36. კაპიტალში შენატანი

1. ანგარიში – საწესდებო კაპიტალი (3-10-0000) მოიცავს კაპიტალში შენატანის (3-10-1000) და კაპიტალის ამოღების (3-10-2000) ანგარიშებს.

2. ანგარიში - კაპიტალში შენატანი (3-10-1000) მოიცავს კაპიტალად კლასიფიცირებული არაფინანსური აქტივების (3-10-1100) და კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივების (3-10-1200) ანგარიშებს.

3. ანგარიში – კაპიტალად კლასიფიცირებული არაფინანსური აქტივები (3-10-1100) მოიცავს კაპიტალად კლასიფიცირებულ შენობა-ნაგებობებს (3-10-1110) და კაპიტალად კლასიფიცირებულ სხვა არაფინანსურ აქტივებს (3-10-1120).

4. ანგარიშზე – „კაპიტალად კლასიფიცირებული შენობა-ნაგებობები“ (3-10-1110) აღირიცხება წმინდა აქტივებში/კაპიტალში კაპიტალის სახით შეტანილი შენობა-ნაგებობები.

5. ანგარიშზე – „კაპიტალად კლასიფიცირებული სხვა არაფინანსური აქტივები“ (3-10-1120) აღირიცხება წმინდა აქტივებში/კაპიტალში კაპიტალის სახით შეტანილი სხვა არაფინანსური აქტივები.

6. ანგარიში – კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები (3-10-1200) მოიცავს კაპიტალად კლასიფიცირებულ ინვესტიციებს წილობრივ ინსტრუმენტებში (3-10-1210) და კაპიტალად კლასიფიცირებულ სხვა ფინანსურ აქტივებს (3-10-1220).

7. ანგარიშზე – „კაპიტალად კლასიფიცირებული ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ (3-10-1210) აღირიცხება წმინდა აქტივებში/კაპიტალში კაპიტალის სახით შეტანილი ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში.

8. ანგარიშზე – „კაპიტალად კლასიფიცირებული სხვა ფინანსური აქტივები“ (3-10- 1220) აღირიცხება წმინდა აქტივებში/კაპიტალში კაპიტალის სახით შეტანილი სხვა ფინანსური აქტივები.

9. ანგარიშზე - „კაპიტალის ამოღება“ (3-10-2000) აღირიცხება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ერთეულის წმინდა აქტივებიდან./კაპიტალიდან კაპიტალის ამოღება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 36[1] . ნამეტი/დეფიციტი

ანგარიში – „ნამეტი/დეფიციტი“ (3-20-0000) მოიცავს გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის (3-21-0000), გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის კორექტირებების (3-22-0000), საანგარიშგებო

პერიოდის ნამეტის/დეფიციტის (3-23-0000) და მესაკუთრეებისათვის გასანაწილებელი თანხების (3-24-0000) ანგარიშებს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 37. გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი

1. ანგარიში – „გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი (3-21-0000) მოიცავს გაუნაწილებელ ნამეტს/დეფიციტს საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის (3-21-1000) და გაუნაწილებელ ნამეტს/დეფიციტს არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის (3-21-2000).

2. ანგარიშზე – „გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის“ (3-21-1000) – აღირიცხება გასულ წლებში მიღებული ნამეტის/დეფიციტის თანხები, აგრეთვე საანგარიშგებო წლის ნამეტის/დეფიციტის თანხა, რომელიც დარჩა გაუნაწილებელი საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობიდან.

3. ანგარიშზე – „გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის“ (3-21-2000) – აღირიცხება გასულ წლებში მიღებული ნამეტის/დეფიციტის თანხები, აგრეთვე საანგარიშგებო წლის ნამეტის/დეფიციტის თანხა, რომელიც დარჩა გაუნაწილებელი არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.

მუხლი 38. გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის კორექტირებები

1. ანგარიში – გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის კორექტირებები (3-22-0000) მოიცავს კორექტირებებს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების შედეგად (3-22-1000), კორექტირებებს ფუნდამენტური (არსებითი) შეცდომების შედეგად (3-22-2000), კორექტირებებს ერთჯერადი გადაფასების შედეგად (3-22-3000) და კორექტირებებს კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად (3-22-4000).

2. ანგარიში – „კორექტირებები სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების შედეგად“ (3-22-1000) მოიცავს: კორექტირებებს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების შედეგად საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის (3-22-1100) და კორექტირებებს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების შედეგად არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის (3-22-1200).

3. ანგარიშზე – „კორექტირებები სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების შედეგად საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის “ (3-22-1100) აღირიცხება სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კაპიტალის კორექტირებები საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის.

4. ანგარიშზე – „კორექტირებები სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების შედეგად არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის “ (3-22-1200) აღირიცხება სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კაპიტალის კორექტირებები არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის.

5. ანგარიში – „კორექტირებები ფუნდამენტური (არსებითი) შეცდომების შედეგად“ (3-22-2000) მოიცავს: კორექტირებებს ფუნდამენტური (არსებითი) შეცდომების შედეგად საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის (3-22-2100) და კორექტირებებს ფუნდამენტური (არსებითი) შეცდომების შედეგად არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის (3-22-2200).

6. ანგარიშზე – „კორექტირებები ფუნდამენტური (არსებითი) შეცდომების შედეგად საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის“ (3-22-2100) აღირიცხება არსებითი შეცდომების გასწორებით გამოწვეული კაპიტალის კორექტირებები საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის.

7. ანგარიშზე – „კორექტირებები ფუნდამენტური (არსებითი) შეცდომების შედეგად არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის“ (3-22-2200) აღირიცხება არსებითი შეცდომების გასწორებით გამოწვეული კაპიტალის კორექტირებები არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის.

8. ანგარიში – „კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად“ (3-22-3000) მოიცავს: კორექტირებებს ერთჯერადი გადაფასების შედეგად საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის (3-22-3100) და კორექტირებებს ერთჯერადი გადაფასების შედეგად არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის (3-22-3200).

9. ანგარიშზე – „კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის (3-22-3100) აღირიცხება ერთეულის მიერ აქტივების ერთჯერადად, სამართლიანი (რეალური) ღირებულებით გადაფასებით (აფასებით) გამოწვეული კაპიტალის კორექტირებები საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის.

10. ანგარიშზე – „კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის“ (3-22-3200) აღირიცხება ერთეულის მიერ აქტივების ერთჯერადად, სამართლიანი (რეალური) ღირებულებით გადაფასებით (აფასებით) გამოწვეული კაპიტალის კორექტირებები არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის.

11. ანგარიში – „კორექტირებები კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად“ (3-22-4000) მოიცავს: კორექტირებებს კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის“ (3-22-4100) და კორექტირებებს კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის (3-22-4200).

12. ანგარიშზე – „კორექტირებები კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის“ (3-22-4100) აღირიცხება ერთეულების გაერთიანების და სხვა ცვლილებებით გამოწვეული კორექტირებები საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის, რომელიც გავლენას ახდენს კაპიტალის საწყის ნაშთზე.

13. ანგარიშზე – „კორექტირებები კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის“ (3-22-4200) აღირიცხება ერთეულების გაერთიანების და სხვა ცვლილებებით გამოწვეული კაპიტალის კორექტირებები არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის, რომელიც გავლენას ახდენს კაპიტალის საწყის ნაშთზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №355 - ვებგვერდი, 31.12.2025 წ.

მუხლი 39. საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი/დეფიციტი

1. ანგარიში – საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი/დეფიციტი (3-23-0000) მოიცავს: პერიოდის ნამეტს/დეფიციტს საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის (3-23-1000) და საანგარიშგებო პერიოდის ნამეტს/დეფიციტს არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის (3-23-2000).

2. ანგარიშზე – „საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი/დეფიციტი საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობისათვის“ (3-23-1000) აღირიცხება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საბიუჯეტო სახსრებით მიღებულ შემოსავლებს და ხარჯებს შორის სხვაობა.

3. ანგარიშზე – „საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი/დეფიციტი არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის“ (3-23-2000) აღირიცხება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობის ფარგლებში მიღებულ შემოსავლებს და ხარჯებს შორის სხვაობა.

მუხლი 40. მესაკუთრეებისათვის გასანაწილებელი თანხები

ანგარიშზე – „მესაკუთრეებისათვის გასანაწილებელი თანხები“ (3-24-0000) აღირიცხება პერიოდის განმავლობაში მფლობელებზე (მესაკუთრეებზე) გასანაწილებელი თანხები.

მუხლი 40[1]. რეზერვები

1. ანგარიში – რეზერვები (3-30-0000) მოიცავს ინვესტირებული ერთეულის გადაფასების შედეგად წარმოქმნილი რეზერვების (3-30-1000) და ინვესტირებული ერთეულის კურსთაშორის სხვაობით წარმოქმნილი რეზერვების (3-30-2000) ანგარიშებს.

2. ანგარიშზე – „ინვესტირებული ერთეულის გადაფასების შედეგად წარმოქმნილი რეზერვები“ (3-30-1000) აისახება რეზერვები, რომლებიც უკავშირდება ინვესტირებული ერთეულის მიერ გადაფასების მოდელის გამოყენების შედეგად კაპიტალის ზრდას/შემცირებას.

3. ანგარიშზე – „ინვესტირებული ერთეულის კურსთაშორის სხვაობით წარმოქმნილი რეზერვები“ (3-30-2000) აისახება რეზერვები, რომლებიც უკავშირდება ერთეულის მიერ ინვესტირებული ერთეულში განხორციელებული ინვესტიციების გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილ კურსთაშორის სხვაობას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 40[2]. საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი/დეფიციტი

1. ანგარიში – „კაპიტალის სხვა ზრდა/კლება“ (3-40-0000) მოიცავს: „კაპიტალის სხვა ზრდა/კლება საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობის ფარგლებში“ (3-40-1000) და „კაპიტალის სხვა ზრდა/კლება საკუთარი სახსრებით საქმიანობის ფარგლებში“ (3-40-2000) ანგარიშებს.

2. ანგარიშზე – „კაპიტალის სხვა ზრდა/კლება საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობის ფარგლებში“ (3-40-1000) აღირიცხება წმინდა აქტივებზე/კაპიტალზე, საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობის ფარგლებში, განხორციელბული ცვლილებები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

3. ანგარიშზე – „კაპიტალის სხვა ზრდა/კლება საკუთარი სახსრებით საქმიანობის ფარგლებში“ (3-40-2000) აღირიცხება წმინდა აქტივებზე/კაპიტალზე, საკუთარი სახსრებით საქმიანობის ფარგლებში, განხორციელბული ცვლილებები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №355 - ვებგვერდი, 31.12.2025 წ.

თავი V

შემოსავლები

მუხლი 41.ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული თავი განმარტავს შემოსავლების ანგარიშებს.

2. შემოსავლების კლასი (4-00-0000) მოიცავს შემოსავლების შემდეგ ჯგუფებს: გადასახადების (4-10-0000); სოციალური შენატანების (4-20-0000); გრანტების (4-30-0000), სხვა შემოსავლების (4-40-0000); შიდა ტრანსფერების (4-50-0000); სხვა საოპერაციო შემოსავლების (4-60-0000),

კურსთაშორის სხვაობით და ფლობის შედეგად მიღებული სხვა მოგება (4-80-0000) და სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან მიღებული შემოსავლების (4-90-0000).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 42. საგადასახადო შემოსავლები

1. ანგარიში – საგადასახადო შემოსავლები (4-10-0000) მოიცავს საგადასახადო შემოსავლების შემდეგ ანგარიშებს: საშემოსავლო და მოგების გადასახადის (4-11-0000), ქონების გადასახადის (4-12-0000), დამატებითი ღირებულების გადასახადის (4-13-0000), აქციზის (4-14-0000), საბაჟო და იმპორტის მოსაკრებლების (4-15-0000), სხვა საგადასახადო შემოსავლებს (4-16-0000) და შემოსავლებს სხვა გადასახდელებით (4-17-0000).

2. ანგარიში – შემოსავლები საშემოსავლო და მოგების გადასახადით (4-11-0000) მოიცავს: ფიზიკური პირებისგან საშემოსავლო გადასახადს (4-11-1000), კორპორაციებიდან და სხვა საწარმოებიდან მოგების გადასახადს (4-11-2000).

3. ანგარიშზე – „ფიზიკური პირებისგან საშემოსავლო გადასახადს“ (4-11-1000) – აღირიცხება საგადასახადო შემოსავლების სახით ფიზიკური პირებისგან მიღებული საშემოსავლო გადასახადები.

4. ანგარიშზე – „კორპორაციებიდან და სხვა საწარმოებიდან მოგების გადასახადი“ (4-11-2000) – აღირიცხება საგადასახადო შემოსავლების სახით კორპორაციებიდან და სხვა საწარმოებიდან მიღებული მოგების გადასახადები.

5. ანგარიში – ქონების გადასახადი (4-12-0000) მოიცავს უძრავი და მოძრავი ქონების პერიოდულ გადასახადებს (4-12-1000), რომელზედაც აღირიცხება საგადასახადო შემოსავლების სახით მიღებული უძრავი და მოძრავი ქონების გადასახადები.

6. ანგარიშზე – „დამატებითი ღირებულების გადასახადი“ (4-13-0000) – აღირიცხება საგადასახადო შემოსავლების სახით მღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომლითაც ხდება საქონლისა და მომსახურების დაბეგვრა.

7. ანგარიშზე – „აქციზის“ (4-14-0000) – აღირიცხება საგადასახადო შემოსავლების სახით მიღებული აქციზის გადასახადები.

8. ანგარიშზე – „საბაჟო და იმპორტის მოსაკრებლები“ (4-15-0000) – აღირიცხება საგადასახადო შემოსავლების სახით მიღებული საბაჟო და იმპორტის მოსაკრებლები რომელიც გადაიხდევინება საქონლის მიერ ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთის გამო.

9. ანგარიში – სხვა საგადასახადო შემოსავლები (4-16-0000) აღირიცხება საგადასახადო შემოსავლების სახით მიღებული ზემოთ ჩამოთვლილი გადასახადებისაგან განსხვავებული სხვა გადასახადები ან ისეთი საგადასახადო შემოსავლები, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია.

10. (ამოღებულია - 01.12.2020, №288).

11. (ამოღებულია - 01.12.2020, №288).

12. ანგარიშზე – „შემოსავლები სხვა გადასახდელებით“ (4-17-0000) აღირიცხება ბიუჯეტის შემოსავლები, წარმოქმნილი სხვა გადასახდელებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020წ.

მუხლი 43. შემოსავლები სოციალური შენატანებით

1. ანგარიში – შემოსავლები სოციალური შენატანებით (4-20-0000) მოიცავს შემოსავლებს სოციალური დაზღვევის შენატანებით (4-21-0000).

2. ანგარიში – შემოსავლები სოციალური დაზღვევის შენატანებით (4-21-0000) მოიცავს სოციალური დაზღვევის შენატანებით შემოსავლების შემდეგ ანგარიშებს: დასაქმებულის (4-21-1000); დამსაქმებლის (4-21-2000); თვითდასაქმებულის ან დაუსაქმებელი პირის (4-21-3000); შემოსავლებს სოციალური დაზღვევის შენატანებით, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია (4-21-4000).

3. ანგარიშზე – „დასაქმებულის სოციალური დაზღვევის შენატანებით შემოსავლები“ (4-21-1000) აღირიცხება ისეთი შენატანები, რომელთა მიღება ხორციელდება ან დასაქმებულიდან, ან აკლდება დასაქმებულის შრომის ანაზღაურებას და დასაქმებულის სახელით დამსაქმებლის მიერ ირიცხება სოციალური დაზღვევის სქემაში.

4. ანგარიშზე – „დამსაქმებლის სოციალური დაზღვევის შენატანებით შემოსავლები“ (4-21-2000) აღირიცხება ისეთი შენატანები, რომელთა მიღება ხორციელდება დამსაქმებლიდან დასაქმებულის სახელით, სოციალური დაზღვევის სქემაში.

5. ანგარიშზე – „თვითდასაქმებულის ან დაუსაქმებელი პირის სოციალური დაზღვევის შენატანებით შემოსავლები“ (4-21-3000) აღირიცხება ისეთ შენატანები, რომელთა მიღება ხორციელდება თვითდასაქმებულის ან დაუსაქმებელი პირიდან, სოციალური დაზღვევის სქემაში.

6. ანგარიშზე – „შემოსავლები სოციალური დაზღვევის შენატანებით, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია“ (4-21-4000) აღირიცხება სოციალური დაზღვევის სქემაში

ისეთი შენატანებით შემოსავლები, რომლის წყაროს კლასიფიცირება/იდენტიფიცირება შეუძლებელია.

მუხლი 44. გრანტები

1. ანგარიში – შემოსავლები გრანტებით (4-30-0000) მოიცავს: ფულადი ფორმით მიღებულ გრანტებს (4-31-0000) და სასაქონლო ფორმით მიღებულ გრანტებს (4-32-0000).

2. ანგარიში – ფულადი ფორმით მიღებული გრანტები (4-31-0000) მოიცავს: ფულადი ფორმით მიღებულ მიმდინარე გრანტებს (4-31-1000) და ფულადი ფორმით მიღებულ კაპიტალურ გრანტებს (4-31-2000).

3. ანგარიში – ფულადი ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტები (4-31-1000) მოიცავს ფულადი ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტების შემდეგ ანგარიშებს: უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან (4-31-1100), საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (4-31-1200) და სახელმწიფო ერთეულებიდან (4-31-1300).

4. ანგარიშზე – „უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან ფულადი ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტები“ (4-31-1100) აღირიცხება უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან ფულადი ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

5. ანგარიშზე – „საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ფულადი ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტები ფულადი ფორმით“ (4-31-1200) აღირიცხება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ფულადი ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

6. ანგარიში – სახელმწიფო ერთეულებიდან ფულადი ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტები (4-31-1300) მოიცავს ფულადი ფორმით მიღებული გრანტების შემდეგ ანგარიშებს: იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან (4-31-1310) და სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან (4-31-1320).

7. ანგარიშზე – „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები“ (4-31-1310) აღირიცხება იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან ფულადი ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

8. ანგარიშზე – „სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები“ (4-31-1320) აღირიცხება სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან ფულადი

ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

9. ანგარიში – ფულადი ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტები (4-31-2000) მოიცავს ფულადი ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტების შემდეგ ანგარიშებს: უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან (4-31-2100); საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (4-31-2200) და სახელმწიფო ერთეულებიდან (4-31-2300).

10. ანგარიშზე – „უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან ფულადი ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტები“ (4-31-2100) აღირიცხება უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან ფულადი ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად ან/და გრძელვადიანი აქტივების შესაძენად.

11. ანგარიშზე – „საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ფულადი ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტები“ (4-31-2200) აღირიცხება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ფულადი ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად ან/და გრძელვადიანი აქტივების შესაძენად.

12. ანგარიში – სახელმწიფო ერთეულებიდან ფულადი ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტები (4-31-2300) მოიცავს ფულადი ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტების შემდეგ ანგარიშებს: იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან (4-31-2310) და სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან (4-31-2320).

13. ანგარიშზე – „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან ფულადი ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტები“ (4-31-2310) აღირიცხება იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან ფულადი ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად ან/და გრძელვადიანი აქტივების შესაძენად.

14. ანგარიშზე – „სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან ფულადი ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტები“ (4-31-2320) აღირიცხება სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან ფულადი ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად ან/და გრძელვადიანი აქტივების შესაძენად.

15. ანგარიში – სასაქონლო ფორმით მიღებული გრანტები (4-32-0000) მოიცავს: სასაქონლო ფორმით მიღებულ მიმდინარე გრანტებს (4-32-1000) და სასაქონლო ფორმით მიღებულ კაპიტალურ გრანტებს (4-32-2000).

16. ანგარიში – სასაქონლო ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტები (4-32-1000) მოიცავს სასაქონლო ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტების შემდეგ ანგარიშებს: უცხო

სახელმწიფოთა მთავრობებიდან (4-32-1100), საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (4-32-1200), სახელმწიფო ერთეულებიდან (4-32-1300) და სხვა ერთეულებიდან (4-32-1400).

17. ანგარიშზე – „უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტები“ (4-32-1100) აღირიცხება უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

18. ანგარიშზე – „საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტები“ (4-32-1200) აღირიცხება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

19. ანგარიშზე – სახელმწიფო ერთეულებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტები (4-32-1300) მოიცავს სასაქონლო ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტების შემდეგ ანგარიშებს: იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან (4-32-1310) და სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან (4-32-1320).

20. ანგარიშზე – „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტები“ (4-32-1310) აღირიცხება იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

21. ანგარიშზე – „სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული მიმდინარე გრანტები“ (4-32-1320) აღირიცხება სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

22. ანგარიში – სასაქონლო ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტები (4-32-2000) მოიცავს სასაქონლო ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტების შემდეგ ანგარიშებს: უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან (4-32-2100), საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (4-32-2200) და სახელმწიფო ერთეულებიდან (4-32-2300).

23. ანგარიშზე – „უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტები“ (4-32-2100) აღირიცხება უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.

24. ანგარიშზე – „საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტები“ (4-32-2200) აღირიცხება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან

სასაქონლო ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.

25. ანგარიში – სახელმწიფო ერთეულებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტები (4-32-2300) მოიცავს სასაქონლო ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტების შემდეგ ანგარიშებს: იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან (4-32-2310) და სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან (4-32-2320).

26. ანგარიშზე – „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტები“ (4-32-2310) აღირიცხება იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.

27. ანგარიშზე – „სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული კაპიტალური გრანტები“ (4-32-2320) აღირიცხება სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან სასაქონლო ფორმით მიღებული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.

მუხლი 45. სხვა შემოსავლები

1. ანგარიში – სხვა შემოსავლები (4-40-0000) მოიცავს: შემოსავლებს საკუთრებიდან (4-41- 0000); საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს (4-42-0000); გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებს (4-43-0000); შემოსავლებს სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით (4-44-0000); ტრანსფერებს და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს (4-45-0000) და დაზღვევის (სიცოცხლის დაზღვევის გარდა), სტანდარტული გარანტიის სქემით მიღებული პრემიები, ჩარიცხვები და მოთხოვნები (4-46-0000) და შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებული შემოსავლები (4-48-0000).

2. ანგარიში – შემოსავლები საკუთრებიდან (4-41-0000) მოიცავს: საპროცენტო შემოსავლებს (4-41-1000); დივიდენდებიდან შემოსავლებს (4-41-2000) და რენტიდან შემოსავლებს (4-41-3000).

3. ანგარიში – საპროცენტო შემოსავლები (4-41-1000) მოიცავს პროცენტების შემდეგ ანგარიშებს: არარეზიდენტებისგან (4-41-1100) რეზიდენტებისგან, გარდა სახელმწიფო ერთეულებისა (4-41-1200); სახელმწიფო ერთეულებისგან (4-41-1300).

4. ანგარიშზე – „არარეზიდენტებისგან საპროცენტო შემოსავლები“ (4-41-1100) – აღირიცხება არარეზიდენტი პირებიდან ფასიანი ქაღალდებისთვის, გარდა აქციებისა, აგრეთვე, სესხებისა და დებიტორული დავალიანებებისათვის. წარმოქმნილი საპროცენტო შემოსავლები.

5. ანგარიშზე – „რეზიდენტებისგან, გარდა სახელმწიფო ერთეულებისა, საპროცენტო შემოსავლები“ (4-41-1200) – აღირიცხება სახელმწიფო სექტორის ერთეულების გარდა სხვა

რეზიდენტებისგან ფასიანი ქაღალდებისთვის, გარდა აქციებისა, აგრეთვე, სესხებისა და დებიტორული დავალიანებებისათვის. წარმოქმნილი საპროცენტო შემოსავლები.

6. ანგარიში – სახელმწიფო ერთეულებიდან საპროცენტო შემოსავლები (4-41-1300) – მოიცავს საპროცენტო შემოსავლების შემდეგ ანგარიშებს: იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან (4-41-1310) და სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან (4-41-1320).

7. ანგარიშზე – „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან საპროცენტო შემოსავლები“ (4-41-1310) აღირიცხება იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან ფასიანი ქაღალდებისთვის, გარდა აქციებისა, აგრეთვე, სესხებისა და დებიტორული დავალიანებებისათვის. წარმოქმნილი საპროცენტო შემოსავლები.

8. ანგარიშზე – „სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან საპროცენტო შემოსავლები“ (4-41-1320) აღირიცხება სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან ფასიანი ქაღალდებისთვის, გარდა აქციებისა, აგრეთვე, სესხებისა და დებიტორული დავალიანებებისათვის. წარმოქმნილი საპროცენტო შემოსავლები.

9. ანგარიში – დივიდენდებიდან შემოსავლები (4-41-2000) მოიცავს დივიდენდების შემდეგ ანგარიშებს: არარეზიდენტებისგან (4-41-2100) და რეზიდენტებისგან (4-41-2200).

10. ანგარიშზე – „არარეზიდენტებისგან მიღებული დივიდენდები“ (4-41-2100) – აღირიცხება არარეზიდენტ ერთეულებში განთავსებული ფინანსური რესურსების სანაცვლოდ დივიდენდების სახით წარმოქმნილი შემოსავლები.

11. ანგარიშზე – „რეზიდენტებისგან მიღებული დივიდენდები“ (4-41-2200) – აღირიცხება რეზიდენტ ერთეულებში განთავსებული ფინანსური რესურსების სანაცვლოდ დივიდენდის სახით წარმოქმნილი შემოსავლები.

12. ანგარიშზე – „რენტიდან შემოსავლები“ (4-41-3000) - აღირიცხება საკუთრებიდან შემოსავლები, რომელიც მიიღება არაწარმოებული (ბუნებრივად შექმნილი) აქტივების (მიწის, სასარგებლო წიაღისეულის და სხვა ბუნებრივი რესურსების) იჯარით ან გაქირავებით.

13. ანგარიში – საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები (4-42-0000) მოიცავს შემოსავლების შემდეგ ანგარიშებს: საბაზრო დაწესებულებების მიერ საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების (4-42-1000); ადმინისტრაციული მოსაკრებლების და გადასახდელების სახით მიღებული შემოსავლების (4-42-2000); არასაბაზრო დაწესებულებების მიერ განხორციელებული გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების (4-42-3000) და საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის დარიცხვას (4-42-4000).

14. ანგარიშზე – „საბაზრო დაწესებულებების მიერ საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები“ (4-42-1000) აღირიცხება ისეთი დაწესებულებების საქონლისა და მომსახურების გაყიდვები, რომლებიც მათ მიერ წარმოებული პროდუქციის დიდ წილს ან მთელ მოცულობას, ყიდიან ან სხვაგვარად განკარგავენ ფასით, რომელიც ეკონომიკურად მნიშვნელოვანია.

15. ანგარიშზე – „ადმინისტრაციული მოსაკრებლების და გადასახდელების სახით მიღებული შემოსავლები“ (4-42-2000) აღირიცხება სავალდებულო სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლები და სხვა ადმინისტრაციული გადასახდელები, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას.

16. ანგარიშზე – „არასაბაზრო დაწესებულებების მიერ განხორციელებული გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები“ (4-42-3000) აღირიცხება მთვარობის მიერ არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი, გარდა ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელებისა.

17. ანგარიშზე – „საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის დარიცხვა“ (4-42-4000) აღირიცხება, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, როდესაც სახელმწიფო ერთეული აწარმოებს საქონელს და მომსახურებას დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ნატურალური ფორმით გადაცემის მიზნით.

18. ანგარიშზე – „გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები (4-43-0000) აღირიცხება გრძელვადიანი ფინანსური და არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან წარმოქმნილი შემოსავლები.

19. ანგარიშზე – „შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით“ (4-44-0000) აღირიცხება სავალდებულო მიმდინარე ტრანსფერები, რომლის დაკისრებაც ხდება სასამართლოს ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის ან სხვა ადმინისტრაციული პროცედურების დარღვევისთვის, ასევე, სასამართლოს გარეშე დაკისრებული სანქციები, ჯარიმები და საურავები.

20. ანგარიში – ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (4-45-0000) მოიცავს: მიმდინარე ტრანსფერებს და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს (4-45-1000) და კაპიტალურ ტრანსფერებს და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს (4- 45-2000).

21. ანგარიში – მიმდინარე ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (4-45-1000) მოიცავს: სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს (4-45-1100) და მიმდინარე ტრანსფერებით შემოსავლებს (4-45-1200).

21[1]. ანგარიშზე – სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (4-45-1100) – აღირიცხება გაცვლითი ოპერაციებით წარმოქმნილი ისეთი შემოსავლები, რომლებიც არ აკმაყოფილებს

შემოსავლების სხვა ანგარიშებზე მიკუთვნების კრიტერიუმებს და, მათი ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე, აისახება როგორც სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები.

21[2]. ანგარიშზე – „მიმდინარე ტრანსფერებით შემოსავლები“ (4-45-1200) – აღირიცხება ტრანსფერული ოპერაციებით წარმოქმნილი ისეთი ფულადი შემოწირულობები, არაფულადი საჩუქრები და სხვა ნებაყოფლობით ტრანსფერები, რომლებიც არ არის განკუთვნილი კაპიტალური ხასიათის ხარჯების გასაწევად და რომლებსაც ფიზიკური პირები, კერძო არამომგებიანი ორგანიზაციები, არასამთავრობო ფონდები, ორგანიზაციები, საწარმოები და კორპორაციები (მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა) გადასცემენ სახელმწიფოს. ასევე, აღირიცხება ხელშეკრულების პირობის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან წარმოქმნილი შემოსავლები.

22. ანგარიში – კაპიტალური ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (4-45-2000) – მოიცავს კაპიტალური ტრანსფერებით შემოსავლებს (4-45-2200).

22[1]. ანგარიშზე – კაპიტალური ტრანსფერებით შემოსავლები (4-45-2200) – აღირიცხება ტრანსფერული ოპერაციებით წარმოქმნილი ისეთი ფულადი შემოწირულობები, არაფულადი საჩუქრები და სხვა ნებაყოფლობით ტრანსფერები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხასიათის ხარჯების გასაწევად და რომლებსაც ფიზიკური პირები, კერძო არამომგებიანი ორგანიზაციები, არასამთავრობო ფონდები, ორგანიზაციები, საწარმოები და კორპორაციები (მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა) გადასცემენ სახელმწიფოს.

22[2]. (ამოღებულია - 19.10.2026, №325).

23. ანგარიშზე – „დაზღვევის (სიცოცხლის დაზღვევის გარდა) და სტანდარტული გარანტიის სქემით მიღებული პრემიები, ჩარიცხვები და მოთხოვნები (4-46-0000) აღირიცხება მიღებად არასიცოცხლის დაზღვევის პოლისები,რომელიც რისკის წინაშე აზღვევს ერთეულს; მოთხოვნა, რომელიც ბენეფიციარებს აქვთ სადაზღვევო სქემიდან; საფასურს, რომელიც სტანდარტიზებულ საგარანტიო სქემებშია მოცემული.

24. ანგარიშზე – „შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებული შემოსავლები“ (4-48-0000) აღირიცხება ისეთი შემოსავალი, რომელიც მიიღება ერთეულის იმ კომპონენტიდან, რომელმაც უკვე შეწყვიტა საქმიანობა, გასხვისებულია ან გასაყიდად არის გამიზნული.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №355 - ვებგვერდი, 31.12.2025 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 20.10.2026 წ.

მუხლი 46. შემოსავლები შიდა ტრანსფერებით

1. ანგარიში – შემოსავლები შიდა ტრანსფერებით (4-50-0000) მოიცავს: შემოსავლებს შიდა კაპიტალური ტრანსფერებით (4-51-0000) და შემოსავლებს შიდა მიმდინარე ტრანსფერებით (4-52-0000).

2. ანგარიში – შემოსავლები შიდა კაპიტალური ტრანსფერებით (4-51-0000) მოიცავს: ხაზინის მიერ შემოსავლების ამკრეფი ერთეულებიდან მიღებულ კაპიტალურ ტრანსფერებს (4-51-1000), საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ხაზინიდან მიღებულ კაპიტალურ ტრანსფერებს (4-51-2000) და სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ სხვა კაპიტალურ ტრანსფერებს (4-51-3000).

3. ანგარიშზე – „ხაზინის მიერ შემოსავლების ამკრეფი ერთეულებიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერები“ (4-51-1000) აღირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშზე შემოსავლების სამსახურისა და შემოსავლების ამკრეფი სხვა ერთეულებიდან კაპიტალური დანიშნულებით მიღებული შემოსულობები.

4. ანგარიშზე – „საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ხაზინიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერები“ (4-51-2000) აღირიცხება საქმიანობის დასაფინანსებლად სახელმწიფო ერთეულის მიერ ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან კაპიტალური დანიშნულებით მიღებული შემოსულობები.

5. ანგარიშზე – „სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული სხვა კაპიტალური ტრანსფერები“ (4-51-3000) აღირიცხება სახელმწიფო ერთეულებიდან კაპიტალური დანიშნულებით მიღებული სხვა შემოსულობები.

6. ანგარიში – შემოსავლები შიდა მიმდინარე ტრანსფერები (4-52-0000) მოიცავს: ხაზინის მიერ შემოსავლების ამკრეფი ერთეულებიდან მიღებულ მიმდინარე ტრანსფერებს (4-52-1000), საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ხაზინიდან მიღებულ მიმდინარე ტრანსფერებს (4-52-2000) და სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულ სხვა მიმდინარე ტრანსფერებს (4-52-3000).

7. ანგარიშზე – „ხაზინის მიერ შემოსავლების სამსახურიდან და შემოსავლების ამკრეფი სხვა ერთეულებიდან მიღებული მიმდინარე ტრანსფერები“ (4-52-1000) აღირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშზე შემოსავლების სამსახურისა და შემოსავლების ამკრეფი სხვა ერთეულებიდან მიმდინარე დანიშნულებით მიღებული შემოსულობები.

8. ანგარიშზე – „საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ხაზინიდან მიღებული მიმდინარე ტრანსფერები“ (4-52-2000) აღირიცხება საქმიანობის დასაფინანსებლად სახელმწიფო ერთეულის მიერ ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან მიმდინარე დანიშნულებით მიღებული შემოსულობები.

9. ანგარიშზე – „სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული სხვა მიმდინარე ტრანსფერები“ (4-52-3000) აღირიცხება სახელმწიფო ერთეულებიდან მიმდინარე დანიშნულებით მიღებული სხვა შემოსულობები.

მუხლი 47. გადაფასების შედეგად მიღებული შემოსავლები

1. ანგარიში – კურსთაშორის სხვაობით და ფლობის შედეგად მიღებული სხვა მოგება (4-80-0000) მოიცავს: უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად ფლობიდან მიღებულ მოგებას (4-81-0000) და ფლობის შედეგად მიღებულ სხვა მოგებას (4-82-0000).

2. ანგარიში – უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება (4-81-0000) მოიცავს: უცხოურ ვალუტაში აქტივების გადაანგარიშების შედეგად (4-81-1000) და უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად (4-81-2000) ფლობიდან მიღებული მოგების ანგარიშებს.

3. ანგარიში – უცხოურ ვალუტაში აქტივების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება (4-81-1000) მოიცავს: უცხოური ვალუტის ბანკნოტებისა და მონეტების (4-81-1100); ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში ნაშთების (4-81-1200); უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტებისა და სესხების (4-81-1300); უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის (4-81-1400); უცხოურ ვალუტაში გაცემულ კრედიტებზე და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტების (4-81-1500); უცხოურ ვალუტაში პროცენტებზე დაკისრებული მისაღები ჯარიმების, სანქციების და საურავების (4-81-1600); ერთ წელზე მეტი ვადით უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტებისა და სესხების (4-81-1700), უცხოურ ვალუტაში სხვა ფინანსური აქტივების (4-81-1800) და უცხოურ ვალუტაში დებიტორული დავალიანებების (4-81-1900) გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგების ანგარიშებს.

4. ანგარიშზე – „უცხოური ვალუტის ბანკნოტებისა და მონეტების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება“ (4-81-1100) აღირიცხება ერთეულის მფლობელობაში უცხოურ ვალუტაში არსებული ბანკნოტების და მონეტების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება.

5. ანგარიშზე – „ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში ნაშთების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება“ (4-81-1200) აღირიცხება ერთეულის ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება.

6. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტებისა და სესხების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება“ (4-81-1300) აღირიცხება უცხოურ

ვალუტაში გაცემული კრედიტების და სესხების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება.

7. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება“ (4-81-1400) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება.

8. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში გაცემულ კრედიტებზე და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება“ (4-81-1500) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში გაცემულ კრედიტებზე და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება.

9. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში პროცენტებზე დაკისრებული მისაღები ჯარიმების, სანქციების და საურავების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება“ (4-81-1600) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში პროცენტებზე დაკისრებული მისაღები ჯარიმების, სანქციების და საურავების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება.

10. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტებისა და სესხების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება“ (4-81-1700) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება.

10^1. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში სხვა ფინანსური აქტივების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება“ (4-81-1800) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილი სხვა ფინანსური აქტივების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება.

10^2. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში დებიტორული დავალიანებების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება“ (4-81-1800) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობით მიღებული მოგება.

11. ანგარიში – უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება (4-81-2000) მოიცავს: ევრობონდების (4-81-2100), უცხოურ ვალუტაში კრედიტების, სესხების და სხვა ვალდებულებების (4-81-2200) და უცხოურ ვალუტაში კრედიტორული დავალიანებების და სხვა ვალდებულებების (4-81-2300) გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებულ მოგებას.

12. ანგარიშზე – „ევრობონდების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება“ (4-81-2100) აღირიცხება ევრობონდების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება.

13. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში მიღებული კრედიტების, სესხების და სხვა ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება“ (4-81-2200) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში მიღებული კრედიტებისა და სესხების და სხვა ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება.

13^1. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში კრედიტორული დავალიანებების და სხვა ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან მიღებული მოგება“ (4-81-2300) აღირიცხება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებების გადაანგარიშების შედეგად ფლობით მიღებული მოგება.

13^2. (ამოღებულია - 23.08.2022, №281).

14. ანგარიში – ფლობის შედეგად მიღებული სხვა მოგება (4-82-0000) მოიცავს კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების ფლობიდან მიღებული მოგების ანგარიშს (4-82-3000).

14^1. (ამოღებულია - 23.08.2022, №281).

15. (ამოღებულია - 23.08.2022, №281).

16. ანგარიშზე – „კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების ფლობით მიღებული მოგება“ (4-82-3000) აღირიცხება ერთეულის მფლობელობაში არსებული კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების გადაფასების შედეგად ფლობით მიღებული მოგება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 48. ხვა ეკონომიკური ნაკადებიდან მიღებული შემოსავლები

1. ანგარიში – სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან მიღებული შემოსავლები (4-90-0000) მოიცავს საეჭვო/უიმედო დებიტორული დავალიანებების და წინასწარი გადახდების (4-91-0000); მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირების (4-92-0000); ძირითადი აქტივების გაუფასურების (4-93-0000); საინვესტიციო ქონების გაუფასურების (4-94-0000); არამატერიალური აქტივების გაუფასურების (4-95-0000); შეღავათიანი მომსახურების ფარგლებში აქტივების გაუფასურების (4-96-0000); ფინანსური იჯარის ფარგლებში აქტივების გაუფასურების (4-97-0000); სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (4-98-0000), ფინანსური აქტივების გაუფასურების (4-99-0000) უკუგატარებით წარმოქმნილ შემოსავლებს.

2. ანგარიშზე – „საეჭვო/უიმედო დებიტორული დავალიანებების და წინასწარი გადახდების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები“ (4-91-0000) აღირიცხება საეჭვო და უიმედო დებიტორული დავალიანებების და წინასწარი გადახდების შემცირების უკუგატარების შედეგად წარმოქმნილი შემოსავლები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

3. ანგარიშზე – „მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები“ (4-92-0000) აღირიცხება მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირების უკუგატარების შედეგად წარმოქმნილი შემოსავლები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

4. ანგარიშზე – „ძირითადი აქტივების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები“ (4-93-0000) აღირიცხება ძირითადი აქტივების გაუფასურების უკუგატარების შედეგად წარმოქმნილი შემოსავლები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

5. ანგარიშზე – „საინვესტიციო ქონების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები“ (4-94-0000) აღირიცხება საინვესტიციო ქონების გაუფასურების უკუგატარების შედეგად წარმოქმნილი შემოსავლები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

6. ანგარიშზე – „არამატერიალური აქტივების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები“ (4-95-0000) აღირიცხება არამატერიალური აქტივების გაუფასურების უკუგატარების შედეგად წარმოქმნილი შემოსავლები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

7. ანგარიშზე – „შეღავათიანი მომსახურების ფარგლებში აქტივების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები“ (4-96-0000) აღირიცხება შეღავათიანი მომსახურების ფარგლებში არსებული აქტივების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

8. ანგარიშზე – „ფინანსური იჯარის ფარგლებში აქტივების გაუფასურების უკუგატარებთს წარმოქმნილი შემოსავლები“ (4-97-0000) აღირიცხება შეღავათიანი მომსახურების ფარგლებში მიღებული აქტივების გაუფასურების უკუგატარების შედეგად წარმოქმნილი შემოსავლები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

9. ანგარიშზე – „სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები“ (4-98-0000) აღირიცხება სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების უკუგატარების შედეგად წარმოქმნილი შემოსავლები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

10. ანგარიშზე – ფინანსური აქტივების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები (4-99-0000) აღირიცხება მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური აქტივების გაუფასურების უკუგატარებით წარმოქმნილი შემოსავლები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

თავი VI

ხარჯები

მუხლი 49. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული თავი განმარტავს ხარჯების ანგარიშებს.

2. ხარჯების კლასი (5-00-0000) მოიცავს ხარჯების შემდეგ ჯგუფებს: შრომის ანაზღაურების (5-10-0000); საქონლისა და მომსახურების (5-20-0000); გრანტებისა და სუბსიდიების (5-30-0000); ცვეთის და ამორტიზაციის (5-40-0000); შიდა ტრანსფერების (5-50-0000); სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა (5-60-0000); სხვა ხარჯების (5-70-0000); კურსთაშორის სხვაობით და გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები (5-80-0000); სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან წარმოქმნილი ხარჯების (5-90-0000).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.

მუხლი 50. შრომის ანაზღაურების ხარჯები

1. ანგარიში – შრომის ანაზღაურების ხარჯები (5-10-0000) მოიცავს: ხელფასების ხარჯებს ფულადი ფორმით (5-11-0000); ხელფასების ხარჯებს სასაქონლო ფორმით (5-12-0000) და დამსაქმებლის სოციალური შენატანებით ხარჯებს (5-13-0000).

2. ანგარიშზე – „ხელფასების ხარჯები ფულადი ფორმით“ (5-11-0000) აღირიცხება შტატით მომუშავის მიერ შესრულებული სამუშაოს საზღაური ფულადი ფორმით, აგრეთვე კუთვნილი შვებულების საზღაური.

3. ანგარიშზე – „ხელფასების ხარჯები სასაქონლო ფორმით“ (5-12-0000) აღირიცხება შტატით მომუშავის მიერ შესრულებული სამუშაოს საზღაური სასაქონლო ფორმით, აგრეთვე კუთვნილი შვებულების საზღაური.

4. ანგარიშზე – „დამსაქმებლის სოციალური შენატანებით ხარჯები“ (5-13-0000) აღირიცხება სახელმწიფო სადაზღვევო სქემაში დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ სოციალურ შენატანებთან დაკავშირებული ხარჯები.

მუხლი 51. საქონელი და მომსახურება

1. ანგარიში – საქონელისა და მომსახურების ხარჯები (5-20-0000) მოიცავს: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებებს (5-20-1000); მივლინებებით ხარჯებს (5-20-2000); ოფისის ხარჯებს (5-20-3000); წარმომადგენლობით ხარჯებს (5-20-4000); კვებისა და სამედიცინო ხარჯებს (5-20-5000); რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად

ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებს (5-20-6000); ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებს (5-20-7000); სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯებს (5-20-8000) და სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურების ხარჯებს (5-20-9000).

2. ანგარიშზე – „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებები“ (5-20-1000) აღირიცხება ხელშეკრულებით დაქირავებულ შტატგარეშე მომუშავეთათვის ფულადი ან სასაქონლო ფორმით გაცემული ანაზღაურებები.

3. ანგარიშზე – „მივლინებებით ხარჯები“ (5-20-2000) აღირიცხება ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებების დროს მგზავრობის, საცხოვრებელი ადგილის, დღიური ნორმის და მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის ხარჯები; მივლინების დროს წარმომადგენლობითი ხარჯები; ქვეყნის გარეთ მივლინებისათვის მივლინებული მომუშავის სავალდებულო დაზღვევის ხარჯები, პასპორტის ღირებულება და სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ვიზის) გაფორმებასთან, აგრეთვე მივლინებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.

4. ანგარიშზე – „ოფისის ხარჯები“ (5-20-3000) აღირიცხება ხარჯები მცირეფასიანი და მრავალჯერადი მოხმარების საგნებზე, მათ შორის, მცირეფასიან აქტივებზე, რომელთაც გააჩნიათ რეგულარული გამოყენების ხასიათი; ასევე ძირითადი აქტივების, ფასეულობების და არაწარმოებული აქტივების მოვლა-შენახვის (ექსპლუატაციის) და დაზიანების შემთხვევაში შეკეთების მიზნით გაწეული ხარჯები რომელიც არ ზრდის მათ ღირებულებას.

5. ანგარიშზე – „წარმომადგენლობითი ხარჯები“ (5-20-4000) აღირიცხება ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს მოქალაქეებსა და უცხოელ სტუმრებზე გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები, მათ შორის, მიღებებისა და ოფიციალური სადილების, წვეულებებისა და სხვა ღონისძიებების, საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების, სუვენირების შეძენის/დამზადების, აეროპორტში დახვედრის და გაცილების, (VIP დარბაზის მომსახურება), სატრანსპორტო მომსახურების და მგზავრობის, სასტუმროს მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება და სხვა), საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, გაგრძელება), მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროს და სხვა დანარჩენი წარმომადგენლობითი ხარჯები.

6. ანგარიში – კვებისა და სამედიცინო ხარჯები (5-20 -5000) მოიცავს: კვების ხარჯებს (5-20-5100) და სამედიცინო ხარჯებს (5-20-5200).

7. ანგარიშზე – „კვებისა ხარჯები“ (5-20-5100) აღირიცხება ერთეულის მიერ კვებასთან დაკავშირებული ხარჯები.

8. ანგარიშზე – „სამედიცინო ხარჯები“ (5-20-5200) აღირიცხება მედიკამენტების, სხვა სამკურნალო საშუალებების, სამედიცინო ინსტრუმენტების შეძენის ხარჯები, სამედიცინო დეზინფექცია-დერატიზაციის და სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციის ხარჯები და სხვ.

9. ანგარიშზე – „რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები“ (5-20-6000) აღირიცხება ტანსაცმლის, მათ შორის, პირადი ჰიგიენისთვის განკუთვნილი თეთრეულისა და ფეხსაცმლის შეძენისა და შენახვის ხარჯები, სამხედრო და სხვა მოსამსახურეთა უნიფიცირებული ფორმის შეძენისა და შენახვის ხარჯები, სპორტული უნიფორმის და შესაბამისი სპეცაღჭურვილობის შეძენისა და შენახვის ხარჯებს, ხალიჩების, ფარდაგების, ფარდების, ფარდა-ჟალუზების და სხვა ანალოგიური საქონლის შეძენის, შენახვის, შეკერვისა და გადაკეთების და სხვა მსგავსი ხარჯები.

10. ანგარიშზე – „ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“ (5-20-7000) აღირიცხება ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციასთან და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები. მათ შორის, მიმდინარე რემონტის ხარჯები, ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯები, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯები და სხვ.

11. ანგარიშზე – „სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები“ (5-20-8000) აღირიცხება სამხედრო საქონელზე გაწეული ხარჯები, როგორიცაა ერთჯერადი გამოყენების იარაღი (მაგალითად ტყვია-წამალი, რაკეტები, ჭურვები და სხვა) და ამ იარაღის ამოქმედებისათვის საჭირო ტექნიკისა და აღჭურვილობის მცირეფასიანი აქსესუარების შეძენისა და სხვა მსგავი ხარჯები.

12. ანგარიშზე – „სხვა დანარჩენი საქონელისა და მომსახურების ხარჯი“ (5-20-9000) აღირიცხება ყველა სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯი, რომელიც არ აღირიცხება საქონლისა და მომსახურების სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ანგარიშებზე.

მუხლი 52. გრანტების და სუბსიდიების ხარჯები

1. ანგარიში – გრანტების და სუბსიდიების ხარჯები (5-30-0000) მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ფულადი ფორმით გაცემულ გრანტებს (5-31-0000), სასაქონლო ფორმით გაცემულ გრანტებს (5-32-0000), სახელმწიფო საწარმოებზე გაცემულ სუბსიდიებს (5-33-0000), კერძო საწარმოებზე გაცემულ სუბსიდიებს (5-34-0000), სხვა სექტორებზე გაცემულ სუბსიდიებს (5-35-0000).

2. ანგარიში – ფულადი ფორმით გაცემული გრანტები (5-31-0000) მოიცავს: ფულადი ფორმით გაცემულ მიმდინარე გრანტებს (5-31-1000) და ფულადი ფორმით გაცემულ კაპიტალურ გრანტებს (5-31-2000).

3. ანგარიში – ფულადი ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტები (5-31-1000) მოიცავს ფულადი ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტების შემდეგ ანგარიშებს: უცხო სახელმწიფოთა

მთავრობებზე (5-31-1100), საერთაშორისო ორგანიზაციებზე (5-31-1200) და სახელმწიფო ერთეულებზე (5-31-1300).

4. ანგარიშზე – „უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე ფულადი ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტები“ (5-31-1100) აღირიცხება უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე ფულადი ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

5. ანგარიშზე – „საერთაშორისო ორგანიზაციებზე ფულადი ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტები“ (5-31-1200) აღირიცხება საერთაშორისო ორგანიზაციებზე ფულადი ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

6. ანგარიში – სახელმწიფო ერთეულებზე ფულადი ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტები (5-31-1300) მოიცავს ფულადი ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტების შემდეგ ანგარიშებს: იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე (5-31-1310) და სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე (5-31-1320).

7. ანგარიშზე – „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე ფულადი ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტები“ (5-31-1310) აღირიცხება იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე ფულადი ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

8. ანგარიშზე – „სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე ფულადი ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტები“ (5-31-1320) აღირიცხება სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე ფულადი ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

9. ანგარიში – ფულადი ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტები (5-31-2000) მოიცავს ფულადი ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტების შემდეგ ანგარიშებს: უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე (5-31-2100), საერთაშორისო ორგანიზაციებზე (5-31-2200) და სახელმწიფო ერთეულებზე (5-31-2300).

10. ანგარიშზე – „უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე ფულადი ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტები“ (5-31-2100) აღირიცხება უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე ფულადი ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად ან/და გრძელვადიანი აქტივების შესაძენად.

11. ანგარიშზე – „საერთაშორისო ორგანიზაციებზე ფულადი ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტები“ (5-31-2200) აღირიცხება საერთაშორისო ორგანიზაციებზე ფულადი ფორმით

გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად ან/და გრძელვადიანი აქტივების შესაძენად.

12. ანგარიში – სახელმწიფო ერთეულებზე ფულადი ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტები (5-31-2300) მოიცავს ფულადი ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტების შემდეგ ანგარიშებს: იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე (5-31-2310) და სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე (5-31-2320).

13. ანგარიშზე – „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე ფულადი ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტები“ (5-31-2310) აღირიცხება იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე ფულადი ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად ან/და გრძელვადიანი აქტივების შესაძენად.

14. ანგარიშზე „სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე ფულადი ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტები“ (5-31-2320) აღირიცხება სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე ფულადი ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად ან/და გრძელვადიანი აქტივების შესაძენად.

15. ანგარიში – გრანტები სასაქონლო ფორმით (5-32-0000) მოიცავს: მიმდინარე გრანტებს სასაქონლო ფორმით (5-32-1000) და კაპიტალურ გრანტებს სასაქონლო ფორმით (5-32-2000).

16. ანგარიში – სასაქონლო ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტები (5-32-1000) მოიცავს სასაქონლო ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტების შემდეგ ანგარიშებს: უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე (5-32-1100), საერთაშორისო ორგანიზაციებზე (5-32-1200) და სახელმწიფო ერთეულებზე (5-32-1300).

17. ანგარიშზე – „უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე სასაქონლო ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტები“ (5-32-1100) აღირიცხება უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე სასაქონლო ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

18. ანგარიშზე – „საერთაშორისო ორგანიზაციებზე სასაქონლო ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტები“ (5-32-1200) აღირიცხება საერთაშორისო ორგანიზაციებზე სასაქონლო ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

19. ანგარიში – სახელმწიფო ერთეულებზე სასაქონლო ფომით გაცემული მიმდინარე გრანტები“ (5-32-1300) მოიცავს სასაქონლო ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტების შემდეგ ანგარიშებს: იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე (5-32-1310) და სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე (5-32-1320).

20. ანგარიშზე – „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე სასაქონლო ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტები“ (5-32-1310) აღირიცხება იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე სასაქონლო ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

21. ანგარიშზე – „სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე სასაქონლო ფორმით გაცემული მიმდინარე გრანტები“ (5-32-1320) აღირიცხება სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე სასაქონლო ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

22. ანგარიში – სასაქონლო ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტები (5-32-2000) მოიცავს სასაქონლო ფორმით კაპიტალური გრანტების შემდეგ ანგარიშებს: უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე (5-32-2100), საერთაშორისო ორგანიზაციებზე (5-32-2200), სახელმწიფო ერთეულებზე (5-32-2300).

23. ანგარიშზე – „უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე სასაქონლო ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტები“ (5-32-2100) აღირიცხება უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე სასაქონლო ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.

24. ანგარიშზე – „საერთაშორისო ორგანიზაციებზე სასაქონლო ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტები“ (5-32-2200) აღირიცხება საერთაშორისო ორგანიზაციებზე სასაქონლო ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.

25. ანგარიში – სახელმწიფო ერთეულებზე სასაქონლო ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტები (5-32-2300) მოიცავს სასაქონლო ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტების შემდეგ ანგარიშებს: იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე (5-32-2310) და სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე (5-32-2320).

26. ანგარიშზე – „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე სასაქონლო ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტები“ (5-32-2310) აღირიცხება იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე ფულადი ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.

27. ანგარიშზე – „სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე სასაქონლო ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტები“ (5-32-2310) აღირიცხება სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე ფულადი ფორმით გაცემული ისეთი გრანტები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.

28. ანგარიში – სახელმწიფო საწარმოებზე გაცემული სუბსიდიები (5-33-0000) მოიცავს: სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე გაცემულ სუბსიდიებს (5-33-1000) და სახელმწიფო ფინანსურ საწარმოებზე გაცემულ სუბსიდიებს (5-33-2000).

29. ანგარიშზე – „სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე გაცემული სუბსიდიები“ (5-33-1000) აღირიცხება სახელმწიფო ერთეულის მიერ სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემული ტრანსფერები.

30. ანგარიშზე – „სახელმწიფო ფინანსურ საწარმოებზე გაცემული სუბსიდიები“ (5-33-2000) აღირიცხება სახელმწიფო ერთეულის მიერ სახელმწიფო ფინანსურ საწარმოებზე მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემული ტრანსფერები.

31. ანგარიში – „კერძო საწარმოებზე გაცემული სუბსიდიები„ (5-34-0000) მოიცავს: კერძო არაფინანსურ საწარმოებზე გაცემულ სუბსიდიებს (5-34-1000) და კერძო ფინანსურ საწარმოებზე გაცემულ სუბსიდიებს (5-34-2000).

32. ანგარიშზე – „კერძო არაფინანსურ საწარმოებზე გაცემული სუბსიდიები“ (5-34-1000) აღირიცხება სახელმწიფო ერთეულის მიერ კერძო არაფინანსურ საწარმოებზე მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემული ტრანსფერები.

33. ანგარიშზე – „კერძო ფინანსურ საწარმოებზე გაცემული სუბსიდიები“ (5-34-2000) აღირიცხება სახელმწიფო ერთეულის მიერ კერძო ფინანსურ საწარმოებზე მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემული ტრანსფერები.

34. ანგარიშზე – „სხვა სექტორებზე გაცემული სუბსიდიები“ (5-35-0000) აღირიცხება გადასაცემი თანხები სახელმწიფო ერთეულებისთვის და არაკომერციულ დაწესებულებებისთვის, რომლებიც ემსახურებიან ოჯახებს და შინამეურნეობებს, როგორც მწარმოებლებს.

მუხლი 53. ცვეთა და ამორტიზაცია

1. ანგარიში – ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები (5-40-0000) მოიცავს: ცვეთის ხარჯის (5-41-0000) და ამორტიზაციის ხარჯის (5-42-0000) ანგარიშებს.

2. ანგარიშზე – „ცვეთის ხარჯი“ (5-41-0000) აღირიცხება ცვეთადი ღირებულების სისტემატური ჩამოწერის ხარჯი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3. ანგარიშზე – „ამორტიზაციის ხარჯი“ (5-42-0000) აღირიცხება ამორტიზირებადი ღირებულების სისტემატური ჩამოწერის ხარჯი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მუხლი 54. შიდა ტრანსფერები

1. ანგარიში – შიდა ტრანსფერებით ხარჯები (5-50-0000) მოიცავს: შიდა კაპიტალურ ტრანსფერებით (5-51-0000) და შიდა მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯები (5-52-0000).

2. ანგარიში – შიდაკაპიტალური ტრანსფერებით ხარჯები (5-51-0000) მოიცავს: შემოსავლების ამკრეფი ერთეულების მიერ ხაზინისთვის გაწეულ კაპიტალური ტრანსფერებით ხარჯებს (5-51-1000), ხაზინიდან საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გაწეული კაპიტალური ტრანსფერებით ხარჯებს(5-51-2000), სახელმწიფო ერთეულებზე გაწეული სხვა კაპიტალური ტრანსფერებით ხარჯებს (5-51-3000), შიდა ტრანსფერებს საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან ხაზინაში, გრძელვადიანი აქტივების გაყიდვით (5-51-4000) და ცენტრალური ხელისუფლების ერთეულებს შორის სხვა ტრანსფერებს (5-51-9000).

3. ანგარიშზე – „შემოსავლების ამკრეფი ერთეულების მიერ ხაზინისათვის გაწეული კაპიტალური ტრანსფერებით ხარჯები“ (5-51-1000) აღირიცხება შემოსავლების სამსახურისა და შემოსავლების ამკრეფი სხვა ერთეულების მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე კაპიტალური დანიშნულებით გაწეული გადასახდელები.

4. ანგარიშზე – „ხაზინიდან საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გაწეული კაპიტალური ტრანსფერებით ხარჯები“ (5-51-2000) აღირიცხება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან სახელმწიფო ერთეულების საქმიანობის დასაფინანსებლად კაპიტალური დანიშნულებით გაწეული გადასახდელები.

5. ანგარიშზე – „სახელმწიფო ერთეულებზე გაწეული სხვა კაპიტალური ტრანსფერებით ხარჯები“ (5-51-3000) აღირიცხება სახელმწიფო ერთეულებზე კაპიტალური დანიშნულებით გაწეული სხვა გადასახდელები.

5^1. ანგარიშზე – „შიდა ტრანსფერები საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან ხაზინაში, გრძელვადიანი აქტივების გაყიდვით“ (5-51-4000) აღირიცხება საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან ხაზინაში შიდა ტრანსფერები, წარმოქმნილი გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან.

5^2. ანგარიშზე – „ცენტრალური ხელისუფლების ერთეულებს შორის სხვა ტრანსფერები“ (5-51-9000) აღირიცხება ცენტრალური ხელისუფლების ერთეულებს შორის გახორციელებული სხვა ტრანსფერები.

6. ანგარიში – შიდა მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯები (5-52-0000) მოიცავს: შემოსავლების ამკრეფი ერთეულების მიერ ხაზინისათვის გაწეულ მიმდინარე ტრანსფერებით (5-52-1000), ხაზინიდან საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გაწეულ მიმდინარე ტრანსფერებით (5-52-2000) და სახელმწიფო ერთეულებზე გაწეულ სხვა მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯებს (5-52-3000).

7. ანგარიშზე – „შემოსავლების ამკრეფი ერთეულების მიერ ხაზინისათვის გაწეული მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯები“ (5-52-1000) აღირიცხება შემოსავლების სამსახურისა და შემოსავლების ამკრეფი სხვა ერთეულების მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე მიმდინარე დანიშნულებით გაწეული გადასახდელები.

8. ანგარიშზე – „ხაზინიდან საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გაწეული მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯები“ (5-52-2000) აღირიცხება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან სახელმწიფო ერტულების საქმიანობის დასაფინანსებლად მიმდინარე დანიშნულებით გაწეული გადასახდელები.

9. ანგარიშზე – „სახელმწიფო ერთეულებზე გაწეული სხვა მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯები“ (5-52-3000) აღირიცხება სახელმწიფო ერთეულებზე მიმდინარე დანიშნულებით გაწეული სხვა გადასახდელები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.

მუხლი 55. სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა

1. ანგარიში – სოციალური დახმარებებით ხარჯები (5-60-0000) მოიცავს: სახელმწიფოს ხარჯს საპენსიო სქემაში შენატანით (5-61-0000); დამქირავებლის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებით ხარჯებს (5-62-0000); სხვა სოციალურ დახმარებებით ხარჯებს (5-63-0000) და სოციალურ დაზღვევას (5-64-0000).

2. ანგარიშზე – „სახელმწიფოს ხარჯი საპენსიო სქემაში შენატანით“ (5-61-0000) აღირიცხება დასაქმებულის სახელით სახელმწიფოს მიერ საპენსიო სქემაში შენატანისთვის გაწეული ხარჯი.

3. ანგარიშზე – „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარებით ხარჯები“ (5-62-0000) აღირიცხება სახელმწიფო ერთეულის მიერ დაქირავებულისთვის გაწეული დახმარებები როგორც ფულადი, ასევე, სასაქონლო ფორმით.

4. ანგარიშზე – „სხვა სოციალური დახმარებებით ხარჯები“ (5-63-0000) აღირიცხება სხვა სოციალური დახმარებები, რომლებიც ასახული არ არის სოციალური დახმარებების სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ანგარიშებზე.

5. ანგარიშზე – „სოციალური დაზღვევა“ (5-64-0000) აღირიცხება სოციალურ ტრანსფერები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს სადაზღვევო სქემაში მონაწილეობით.

მუხლი 56. სხვა ხარჯები

1. ანგარიში – „სხვა ხარჯები“ (5-70-0000) მოიცავს: საპროცენტო ხარჯებს (5-71-0000); რენტის ხარჯებს (5-72-0000); ტრანსფერებს და სხვა არაკლასიფიცირებულ ხარჯებს (5-73-0000);

ქონებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, გარდა პროცენტისა (5-74-0000); დაზღვევის (სიცოცხლის დაზღვევის გარდა) და სტანდარტული გარანტიის სქემით მიღებულ პრემიებს, ჩარიცხვებს მოთხოვნებს (5-75-0000), გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს (5-76-0000) და შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებული ხარჯებს (5-78-0000).

2. ანგარიში – საპროცენტო ხარჯები (5-71-0000) მოიცავს საპროცენტო ხარჯების შემდეგ ანგარიშებს: არარეზიდენტებზე (5-71-1000); რეზიდენტებზე, გარდა სახელმწიფო ერთეულებისა (5-71-2000) და სახელმწიფო ერთეულებზე (5-71-3000).

3. ანგარიშზე – „არარეზიდენტებზე საპროცენტო ხარჯები“ (5-71-1000) აღირიცხება საპროცენტო გადასახდელები არერეზიდენტებზე ფასიანი ქაღალდებისთვის, გარდა აქციებისა, აგრეთვე, სესხებისა და კრედიტორული დავალიანებებისათვის.

4. ანგარიშზე –„საპროცენტო ხარჯები რეზიდენტებზე, გარდა სახელმწიფო ერთეულებისა“ (5-71-2000) აღირიცხება საპროცენტო გადასახდელები რეზიდენტებზე (გარდა სახელმწიფო ერთეულებისა) ფასიანი ქაღალდებისთვის, გარდა აქციებისა, აგრეთვე, სესხებისა და კრედიტორული დავალიანებებისათვის.

5. ანგარიში – სახელმწიფო ერთეულებზე საპროცენტო ხარჯები (5-71-3000) მოიცავს საპროცენტო ხარჯების შემდეგ ანგარიშებს: იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე (5-71-3100) და სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე (5-71-3200).

6. ანგარიშზე – „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე საპროცენტო ხარჯები“ (5-71-3100) აღირიცხება საპროცენტო გადასახდელები იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე ფასიანი ქაღალდებისთვის, გარდა აქციებისა, აგრეთვე, სესხებისა და კრედიტორული დავალიანებებისათვის.

7. ანგარიშზე – „სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე საპროცენტო ხარჯები“ (5-71-3200) აღირიცხება საპროცენტო გადასახდელები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე ფასიანი ქაღალდებისთვის, გარდა აქციებისა, აგრეთვე, სესხებისა და კრედიტორული დავალიანებებისათვის.

8. ანგარიშზე – „რენტის ხარჯი“ (5-72-0000) – აღირიცხება მიწის, წიაღისეული აქტივების და სხვა ბუნებრივად წარმოქმნილი (არაწარმოებული) აქტივების იჯარაზე გაწეული ხარჯი.

9. ანგარიში – „ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები“ (5-73-0000) მოიცავს: მიმდინარე ტრანსფერებს და სხვა არაკლასიფიცირებულ ხარჯებს (5-73-1000) და კაპიტალურ ტრანსფერებს და სხვა არაკლასიფიცირებულ ხარჯებს (5-73-2000).

10. ანგარიში – მიმდინარე ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები (5-73-1000) მოიცავს: სხვა არაკლასიფიცირებულ ხარჯებს (5-73-1100) და მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯებს (5-73-1200).

10^1. ანგარიშზე – „სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები“ (5-73-1100) – აღირიცხება გაცვლითი ოპერაციებით წარმოქმნილი ისეთი ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ხარჯების სხვა ანგარიშებზე მიკუთვნების კრიტერიუმებს და, მათი ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე, აისახება როგორც სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები.

10^2. ანგარიშზე – „მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯები“ (5-73-1200) – აღირიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ მუხლით წარმოქმნილი ტრანსფერული ხარჯები.

11. ანგარიში – კაპიტალური ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები (5-73-2000) – მოიცავს კაპიტალური ტრანსფერებით ხარჯებს (5-73-2200).

11^1. ანგარიშზე – „კაპიტალური ტრანსფერებით ხარჯები“ (5-73-2200) – აღირიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ მუხლით წარმოქმნილი ტრანსფერული ხარჯები.

11^2. (ამოღებულია - 19.10.2026, №325).

12. ანგარიშზე – „ ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები გარდა პროცენტისა“ (5-74-0000) აღირიცხება დივიდენდები, კვაზი-კორპორაციების შემოსავლიდან ამოღებული თანხები, ინვესტირებულ საკუთრებაზე გადახდილი სარგებელი, რენტა და ხარჯები რეინვესტირებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. ამასთან, ქონებასთან დაკავშირებული ხარჯი წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულის მიერ არაწარმოებული აქტივის გამოყენებისათვის აქტივების მფლობელისათვის გადასახდელ თანხას, გარდა ქონებასთან დაკავშირებული პროცენტის ხარჯისა.

13. ანგარიშზე – „დაზღვევის (სიცოცხლის დაზღვევის გარდა) და სტანდარტული გარანტიის სქემით მიღებული პრემიები, ჩარიცხვები და მოთხოვნები“ (5-75-0000) აღირიცხება დაზღვევის (სიცოცხლის დაზღვევის გარდა) გასაცემ პრემიებს და გადასახადებს.

14. ანგარიშზე – „გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები (5-76-0000) აღირიცხება გრძელვადიანი ფინანსური და არაფინანსური აქტივების გაყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები.

15. ანგარიშზე – „შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებული ხარჯები“ (5-78-0000) აღირიცხება ისეთი ხარჯები, რომელიც მიიღება ერთეულის იმ კომპონენტიდან, რომელმაც უკვე შეწყვიტა საქმიანობა, გასხვისებულია ან გასაყიდად არის გამიზნული.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №355 - ვებგვერდი, 31.12.2025 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება №325 - ვებგვერდი, 20.10.2026 წ.

მუხლი 57. გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები

1. ანგარიში – კურსთაშორის სხვაობით და ფლობის შედეგად წარმოქმნილი სხვა ზარალი (5-80-0000) მოიცავს: უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებით ფლობიდან წარმოქმნილ ზარალს (5-81-0000) და ფლობის შედეგად გაწეულ სხვა ზარალს (5-82-0000).

2. ანგარიში – უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებით ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი (5-81-0000) მოიცავს: უცხოურ ვალუტაში აქტივების გადაანგარიშების (5-81-1000) და უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების გადაანგარიშების (5-81-2000) ანგარიშებს.

3. ანგარიში – უცხოურ ვალუტაში აქტივების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი (5-81-1000) მოიცავს: უცხოური ვალუტის ბანკნოტებისა და მონეტების (5-81-1100); ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში ნაშთების (5-81-1200); უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტებისა და სესხების (5-81-1300); უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის (5-81-1400); უცხოურ ვალუტაში გაცემულ კრედიტებზე და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტების (5-81-1500); უცხოურ ვალუტაში დაკისრებული მისაღები ჯარიმების, სანქციებისა და საურავების (5-81-1600); ერთ წელზე მეტი ვადით უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტებისა და სესხების (5-81-1700), უცხოურ ვალუტაში სხვა ფინანსური აქტივების (5-81-1800) და უცხოურ ვალუტაში დებიტორული დავალიანებების (5-81-1900) გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალის ანგარიშებს.

4. ანგარიშზე – „უცხოური ვალუტის ბანკნოტებისა და მონეტების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი“ (5-81-1100) აღირიცხება ერთეულის მფლობელობაში უცხოურ ვალუტაში არსებული ბანკნოტების და მონეტების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი

5. ანგარიშზე – „ ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში ნაშთების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქნილი ზარალი“ (5-81-1200) აღირიცხება ერთეულის ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი.

6. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტებისა და სესხების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი“ (5-81-1300) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტების და სესხების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი.

7. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი“ (5-81-1400) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი.

8. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში გაცემულ კრედიტებზე და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი“ (5-81-1500) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში გაცემულ კრედიტებზე და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან აწრმოქმნილი ზარალი.

9. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში პროცენტებზე დაკისრებული მისაღები ჯარიმების, სანქციების და საურავების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი“ (5-81-1600) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში პროცენტებზე დაკისრებული მისაღები ჯარიმების, სანქციების და საურავების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი.

10. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტებისა და სესხების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი“ (5-81-1700) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი.

10^1. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში სხვა ფინანსური აქტივების (5-81-1800) გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი“ - აისახება უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილი სხვა ფინანსური აქტივების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი.

10^2. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში დებიტორული დავალიანებების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი (5-81-1900) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში დებიტორული დავალიანებების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი.

11. ანგარიში – „უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი“ (5-81-2000) მოიცავს: ევრობონდების (5-81-2100), უცხოურ ვალუტაში მიღებული კრედიტების, სესხების და სხვა ვალდებულებების (5-81-2200) და უცხოურ

ვალუტაში კრედიტორული დავალიანებების და სხვა ვალდებულებების (5-81-2300) გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალის ანგარიშებს.

12. ანგარიშზე – „ევრობონდების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი“ (5-81-2100) აღირიცხება ევრობონდების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი

13. ანგარიშზე – „უცხოურ ვალუტაში მიღებული კრედიტების, სესხების და სხვა ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი“ (5-81-2200) აღირიცხება უცხოურ ვალუტაში მიღებული კრედიტებისა და სესხების და სხვა ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი.

13^1. ანგარიშზე - „უცხოურ ვალუტაში კრედიტორული დავალიანებების და სხვა ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი“ (5-81-2300) აღირიცხება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული კრედიტორული დავალიანებების და სხვა ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი.

13^2. (ამოღებულია - 23.08.2022, №281).

14. ანგარიში – ფლობის შედეგად გაწეული სხვა ზარალი (5-82-0000) მოიცავს კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების (5-82-3000) ფლობით წარმოქმნილი ზარალის ანგარიშს.

14^1**.** (ამოღებულია - 23.08.2022, №281).

15. (ამოღებულია - 23.08.2022, №281).

16. ანგარიშზე – „კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების ფლობით წარმოქმნილი ზარალი“ (5-82-3000) აღირიცხება ერთეულის მფლობელობაში არსებული კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების გადაფასების შედეგად ფლობით წარმოქმნილი ზარალი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020 წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022 წ.

მუხლი 58. სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან წარმოქმნილი ხარჯები

1. ანგარიში – სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან წარმოქმნილი ხარჯები (5-90-0000) მოიცავს: საეჭვო/უიმედო დებიტორული დავალიანებების და წინასწარი გადახდების (5-91-0000), მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირების (5-92-0000); ძირითადი აქტივების გაუფასურების (5-93- 0000), საინვესტიციო ქონების გაუფასურების (5-94-0000),

არამატერიალური აქტივების გაუფასურების (5-95-0000), შეღავათიანი მომსახურების ფარგლებში აქტივების გაუფასურების (5-96-0000), ფინანსური იჯარის ფარგლებში აქტივების გაუფასურების (5-97-0000), სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (5-98-0000) და ფინანსური აქტივების გაუფასურების (5-99-0000) ხარჯების ანგარიშებს.

2. ანგარიშზე – „საეჭვო/უიმედო დებიტორული დავალიანებების და წინასწარი გადახდების ხარჯები“ (5-91-0000) აღირიცხება საეჭვო და უიმედო დებიტორული დავალიანებების, ასევე, წინასწარი გადახდების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

3. ანგარიშზე – „მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირების ხარჯები“ (5-92-0000) აღირიცხება მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

4. ანგარიშზე – „ძირითადი აქტივების გაუფასურების ხარჯები“ (5-93-0000) აღირიცხება ძირითადი აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

5. ანგარიშზე – საინვესტიციო ქონების გაუფასურების ხარჯები“ (5-94-0000) აღირიცხება საინვესტიციო ქონების გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

6. ანგარიშზე – „არამატერიალური აქტივების გაუფასურების ხარჯები“ (5-95-0000) აღირიცხება არამატერიალური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

7. ანგარიშზე – „შეღავათიანი მომსახურების ფარგლებში აქტივების გაუფასურების ხარჯები“ (5-96-0000) აღირიცხება შეღავათიანი მომსახურების ფარგლებში არსებული აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

8. ანგარიშზე – „ფინანსური იჯარის ფარგლებში აქტივების გაუფასურების ხარჯები“ (5-97-0000) აღირიცხება ფინანსური იკარის ფარგლებში მიღებული აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

9. ანგარიშზე – „სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯები“ (5-98-0000) აღირიცხება სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან.

10. ანგარიშზე – „ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯები“ (5-99-0000) აღირიცხება ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები სხვა ეკონომიკური ნაკადებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

თავი VII. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

მუხლი 59. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

მუხლი 60. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

მუხლი 61. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 26 აგვისტოს ბრძანება №200 - ვებგვერდი, 27.08.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

მუხლი 62. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

მუხლი 63. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

მუხლი 64. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

მუხლი 65. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

მუხლი 66. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

მუხლი 67. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

მუხლი 68. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

მუხლი 69. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 26 აგვისტოს ბრძანება №200 - ვებგვერდი, 27.08.2020წ.
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

მუხლი 70. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

მუხლი 71. (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №281 - ვებგვერდი, 24.08.2022წ.

დანართი №2 (ამოღებულია)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №288 - ვებგვერდი, 02.12.2020წ.

დანართი №1

ახალი ანგარიში	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	ანგარიშის დასახელება
1-00-0000		აქტივები
1-10-0000		მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები
1-11-0000		ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
1-11-1000		ფულადი სახსრები სალაროში
1-11-1100	6212	ფულადი სახსრები სალაროში ეროვნულ ვალუტაში
1-11-1200	6222	ფულადი სახსრები სალაროში უცხოურ ვალუტაში
1-11-2000		ანგარიშები ხაზინასა და კომერციულ ბანკებში
1-11-2100	6212	ხაზინის ერთიანი ანგარიში ეროვნულ ბანკში
1-11-2110		სახელმწიფო ბიუჯეტის ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში
1-11-2111		სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში
1-11-2112		სახელმწიფო ბიუჯეტის არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში
1-11-2120		ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში
1-11-2121		ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში
1-11-2122		ავტონომიური რესპუბლიკების არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში
1-11-2130		მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში
1-11-2131		მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში
1-11-2132		მუნიციპალიტეტების არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში
1-11-2140		დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში
1-11-2190		სხვა ანგარიშები ხაზინაში
1-11-2200	6212	ხაზინის ანგარიშები უცხოურ ვალუტაში ეროვნულ ბანკში
1-11-2200	6212	ხაზინის სავალუტო ანგარიში ეროვნულ ბანკში
1-11-2220		დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში
1-11-2300	6212	ხაზინის ანგარიშები კომერციულ ბანკებში
1-11-2310		ხაზინის ანგარიში კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში
1-11-2320		ხაზინის ანგარიში კომერციულ ბანკში უცხოურ ვალუტაში
1-11-2400		საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშები კომერციულ ბანკებში
1-11-2410		საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიში კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში

1-11-2411		საბიუჯეტო ორგანიზაციის მიმდინარე ანგარიში კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში
1-11-2412		საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიში დეპოზიტებით კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში
1-11-2420		საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიში კომერციულ ბანკში უცხოურ ვალუტაში
1-11-2430		საბიუჯეტო ორგანიზაციის სხვა ანგარიში კომერციულ ბანკში
1-11-3000		ფულადი სახსრების ეკვივალენტები
1-11-3100	6212	სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში
1-11-3110	6212	საბიუჯეტო სახსრებით სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში
1-11-3120	6212	არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში
1-11-3200		სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში
1-11-3210		საბიუჯეტო სახსრებით სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში
1-11-3220		არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით სამ თვემდე ვადიანი საბანკო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში
1-12-0000		მოკლევადიანი (მიმდინარე) ინვესტიციები
1-12-1000	6214	ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები
1-12-1100	6214	საბიუჯეტო სახსრებით ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები
1-12-1110	6214	საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები
1-12-1120	6214	საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები
1-12-1200	6214	არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები
1-12-1210	6214	არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები
1-12-1220		არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტები და სესხები
1-12-2000	6214	გრძელვადიანი კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილი
1-12-2100	6214	საბიუჯეტო სახსრებით გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი
1-12-2110	6214	საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი
1-12-2120	6214	საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი
1-12-2200	6214	არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი

1-12-2210	6214	არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი
1-12-2220		არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში გაცემული გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი
1-12-3000	6214	ფინანსური იჯარიდან გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებების მიმდინარე ნაწილი
1-12-4000		მოკლევადიანი (მიმდინარე) ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა
1-12-9000	6214	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ინვესტიციები
1-13-0000	62182	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები
1-13-1000	62182	სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები
1-13-1100	62182	ხაზინის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები
1-13-1110		ხაზინის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საგადასახადო შემოსავლებიდან
1-13-1120		ხაზინის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები არასაგადასახადო შემოსავლებიდან
1-13-1130		ხაზინის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები შემოსულობებიდან
1-13-1200	62182	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ
1-13-1210	62182	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში
1-13-1220		საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით ეროვნულ ვალუტაში
1-13-1230	62182	საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში
1-13-1240		საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში
1-13-1250		საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით უცხოურ ვალუტაში
1-13-1260		საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში
1-13-1270		საბიუჯეტო ორგანიზაციების სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე)

		დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ
1-13-2000	62182	**მოკლევადიანი (მიმდინარე) საგადასახადო დებიტორული დავალიანებები**
1-13-2100	62182	საშემოსავლო გადასახადით მოთხოვნები
1-13-2200	62182	მოგების გადასახადით მოთხოვნები
1-13-2300	62182	ქონების გადასახადით მოთხოვნები
1-13-2400	62182	დამატებითი ღირებულების გადასახადით მოთხოვნები
1-13-2500	62182	აქციზის გადასახადით მოთხოვნები
1-13-2600	62182	იმპორტის გადასახადით მოთხოვნები
1-13-2700	62182	სხვა გადასახადებით მოთხოვნები
1-13-2800	62182	სხვა გადასახდელებით მოთხოვნები
1-13-3000	62182	**მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში**
1-13-3100		მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში დამსაქმებლის შენატანებით
1-13-3200	62182	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში დასაქმებულის შენატანებით
1-13-3300	62182	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში ბიუჯეტის შენატანებით
1-13-4000		**მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით**
1-13-4100	62182	საბიუჯეტო სახსრებით გაცემული სესხებისათვის მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები
1-13-4110	62182	საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხებისათვის მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები
1-13-4120	62182	საბიუჯეტო სახსრებიდან უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხებისათვის მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები
1-13-4200	62182	არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემული სესხებისათვის მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები
1-13-4210		არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემული სესხებისათვის მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები ეროვნულ ვალუტაში
1-13-4220		არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემული სესხებისათვის მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში
1-13-4300	62182	ანგარიშებზე, დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები
1-13-4400		**ფინანსური იჯარისათვის დარიცხული მოკლევადიანი (მიმდინარე) საპროცენტო მოთხოვნები**

1-13-4500	62182	სესხზე დაკისრებულ ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები
1-13-4510	62182	სესხზე დაკისრებულ ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები ეროვნულ ვალუტაში
1-13-4520	62182	სესხზე დაკისრებულ ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში
1-13-4600	62182	სხვა ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები
1-13-4610	62182	სხვა ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები ეროვნულ ვალუტაში
1-13-4620	62182	სხვა ჯარიმებზე, სანქციებსა და საურავებზე მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში
1-13-5000		**მოკლევადიანი (მიმდინარე) მისაღები დივიდენდები**
1-13-6000	62182	**საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები**
1-13-7000		**მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ**
1-13-7100	62181	წინასწარ გადახდილი თანხებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ
1-13-7200	62181	მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით მოკლევადიანი (მიმდინარე)მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ
1-13-7300	62181	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ
1-13-7400	62181	ანგარიშვალდებული პირებისგან მისაღები სხვა თანხებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები
1-13-7500	62181	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები მივლინებებით ქვეყნის შიგნით
1-13-7600	62181	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები მივლინებებით ქვეყნის გარეთ
1-13-7700	62182	სხვა მიზნებისათვის მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ
1-13-8000	62182	**მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გასვლით**
1-13-8100		ძირითადი აქტივების გასვლით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები
1-13-8200		სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გასვლით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები

1-13-9000		**სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები**
1-13-9200	62182	სადაზღვევო კომპანიებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები
1-13-9300	62182	ზარალის/დანაკლისის ანაზღაურების მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები
1-13-9400	62182	ზედმეტად/შეცდომით გადახდილი თანხებით მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები
1-13-9500		მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები ტრანსფერულ შემოსავლებთან დაკავშირებით
1-13-9600		მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები რენტით
1-13-9900	62182	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები
1-14-0000	612	**მატერიალური მარაგები**
1-14-1000	61221	**მასალები და მარაგები**
1-14-1100	61221	ნედლეული და მასალები
1-14-1400	61221	სხვა მასალები და მარაგები
1-14-1410	22	მცირეფასიანი აქტივები
1-14-1420	22	სხვა დანარჩენი მასალები და მარაგები
1-14-2000	61222	**დაუმთავრებელი წარმოება**
1-14-3000	61223	**მზა პროდუქცია**
1-14-4000	61224	**გასაყიდად ფლობილი საქონელი**
1-14-5000	61225	**სამხედრო მარაგები**
1-15-0000		**სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები**
1-15-1000		**მოკლევადიანი (მიმდინარე) წინასწარი გადახდები და ტრანსფერის უფლების აქტივი**
1-15-1100	62181	საქონლისა და მომსახურების შესაძენად წინასწარი გადახდებით მოკლევადიანი(მიმდინარე) მოთხოვნები
1-15-1200	62181	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები
1-15-1300	62181	**ტრანსფერის უფლების მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივი**
1-15-2000	62182	**მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გადაცემით**
1-15-2100		**მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით**
1-15-2200		**მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით**
1-15-3000	62182	**ბარტერული ოპერაციებიდან მისაღები აქტივებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები**
1-15-4000		**მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები ტრანსფერულ შემოსავლებთან დაკავშირებით**

1-15-5000		**მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისით**
1-19-1000		**მოკლევადიანი (მიმდინარე) ინვესტიციების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი**
1-19-1100	5214	ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი
1-19-1110	5214	საბიუჯეტო სახსრებით ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი
1-19-1111	5214	საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი
1-19-1112	5214	საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი
1-19-1120	5214	არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთ წლამდე ვადით კრედიტების და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი
1-19-1121	5214	არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტებისა და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი
1-19-1122		არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წლამდე ვადით გაცემული კრედიტებისა და სესხების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი
1-19-1200	5214	ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი
1-19-1210	5214	საბიუჯეტო სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი
1-19-1212	5214	საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი
1-19-1220	5214	არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი
1-19-1221	5214	არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი

1-19-1222		არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი
1-19-1300	5214	ერთ წელზე მეტი ვადით ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების მიმდინარე ნაწილის აკუმულირებული გაუფასურების ზარალი
1-19-1900	5214	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ინვესტიციების აკუმულირებული გაუფასურების ზარალი
1-19-2000		**საეჭვო მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნების ანარიცხები**
1-19-2100	52182	**ამოუღებადი გადასახადებით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები**
1-19-2110	52182	საშემოსავლო გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2120	52182	მოგების გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2130	52182	ქონების გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2140	52182	დამატებითი ღირებულების გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2150	52182	აქციზის გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2160	52182	იმპორტის გადასახადით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2170	52182	სხვა გადასახადებით საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2200	52182	**საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები**
1-19-2210	52182	საბიუჯეტო სახსრებით გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2211	52182	საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2212	52182	საბიუჯეტო სახსრებით უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2220	52182	არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2221		არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2222		არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2230	52182	ანგარიშების, დეპოზიტების და სხვა ფინანსური აქტივების საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2240	52182	ფინანსური იჯარის საეჭვო საპროცენტო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2250	52182	პროცენტებთან დაკავშირებული ჯარიმების, სანქციების და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2251	52182	ეროვნულ ვალუტაში პროცენტებთან დაკავშირებული ჯარიმების, სანქციების და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2252	52182	უცხოურ ვალუტაში პროცენტებთან დაკავშირებული ჯარიმების, სანქციების და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები
1-19-2260		სხვა ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები

